დასასრულს, შეგვიძლია განვახადოთ, რომ თბილისის სამოციქულო ნუნციატურა, წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის 30 წლიანი დიპლომატიური კავშირების აღნიშვნით, მთელი თავისი შუქ-ჩრდილებით, კვლავაც იმედიანად შეჰყურებს მომავალს და მზაობას გამოთქვამს ითანამშრომლოს ღია გამოწვევებში, მზად არის ყველას გაუზიაროს თავისი "კათოლიკური" გამოცდილება, იმისათვის, რომ უფრო მეტად ქმედითი კავშირურთიერთობები დამყარდეს, საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ.

#### **ბიბლიოგრაფია:**

„კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI ს.“, უნივერსალი, თბილისი, 2022 წ.

მანანა ქუთათელაძე, „კათოლიკობა საქართველოში, ლათინური წესი“, უნივერსალი, თბილისი, 2019 წ.

მურმან პაპაშვილი, „საქართველო-რომის ურთიერთობა“, გამომც. აღმაშენებელი, თბილისი 1995 წ.

ნოდარ გაბაშვილი, „საქართველო და რომი, ორიათასწლოვანი დიალოგი ქრისტიანთა შორის“, გამომც. Libreria Editrice Vaticana, 2003 წ.

თამარ გრძელიძე, „რომი და ქართველები: დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის (1992-2017)“, გამომც. Studium, 2018.

კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, 1, თბილისი, 2018, 2, 2019, 3-4, 2022.

EmbassyPages.com › Santa Sede › სამოციქულო ნუნციატურა თბილისში, საქართველო  
EmbassyPages.com › Georgia › წმიდა საყდრის სამოციქულო ნუნციატურა თბილისში

---

ვიზიტამდე 2010 წ.

32 კათოლიკე ეკლესიის ცხოვრების პანორამას შეგიძლიათ გაეცნოთ ყოველთვიურ მაცნე „საბა“-ს მეშვეობით, ასევე იხ. საანგარიშო მოხსენება მსოფლიოში რელიგიური თავისუფლების შესახებ, მომზადებული „გასაჭირში მყოფი ეკლესიის დახმარების“ ცენტრის მიერ Rapporto 2006 sulla Libertà Religiosa nel Mondo - ACS Italia <https://acs-italia.org> › sites › default › files › 2006-R... ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ რელიგიის თავისუფლებაზე მომზადებული საანგარიშო მოხსენება <https://www.ombudsman.ge>

**Gabriele Bragantini**

*Professor, sulxan saba orbeliani universiteti*

## **30 YEARS OF RELATIONS BETWEEN THE HOLY SEE AND GEORGIA**

The article briefly presents the 30 years of relations between the Holy See and Georgia (1992-2022), relations made official after the independence of Georgia, together with 10 other countries; it recalls the visits of the Popes John Paul II and Francis to Georgia; and of the presidents of Georgia to the Vatican (Shevardnadze, Saakashvili, Marvelashvili and Zurabishvili); as well as the positive and negative events that have occurred in this period of time.

**Keywords:** Holy See, Georgia, diplomatic relations.



დავით ხუფენია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

## თანამედროვე ევროპული დემოკრატიის ქრისტიანული საფუძვლები

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანობა, დემოკრატია, რომის ეკლესიის რეფორმები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საზოგადოების წარმოდგენაში ლიბერალიზმი და ქრისტიანობა ურთიერთდაპირისპირებულ ხედვებს წარმოადგენს (რაც, ჩვენი აზრით, ნეოლიბერალიზმის ბოლო ტალღის ახალი შეხედულებების გამო მოხდა), ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანის ბუნებრივ უფლებებს და მისგან გამომდინარე - კლასიკურ პოლიტიკურ ლიბერალიზმს და მის პოლიტიკურ საფუძველს - თანამედროვე დემოკრატიას ფუნდამენტურ დონეზე საფუძვლად უდევს ქრისტიანული სწავლება. ამის მაგალითია, რომ ადამიანის ბუნებრივი უფლების უმთავრეს დოგმატს და ლიბერალური დემოკრატიის საფუძველს, რომ ყველა ადამიანი კანონის მიმართ თანასწორია, წყაროდ უდევს ქრისტიანული დოგმატი, რომ ყველა ადამიანი თანასწორია ღმერთის წინაშე. საქართველოს პარლამენტის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ბუნებრივი უფლებები; ღვთივმიმადლებული უფლებები, რომლებიც ფუნდამენტურია ადამიანთათვის და ამის გამო განუყოფელია (მათი წართმევა შეუძლებელია)“<sup>1</sup>. მაშასადამე, ევროპული გაგებით, ადამიანებს შორის თანასწორობის მთავარი წყარო არის ღმერთი. რობერტ დალი თანასწორობის ქრისტიანულ გაგებაზე წერს: „თანასწორობა, როგორც პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთი პარამეტრი, შეიქმნა ქრისტიანობაში ადამიანის ბუნების გაგების საფუძველზე. ქრისტიანობამ ადამიანს ინდივიდუალური მორალური სტატუსი მიანიჭა: „ღმერთმა შექმნა ადამიანი და ყველა თანაბრად ღმერთის შვილია“<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, ამ ქრისტიანულმა შეხედულებამ, დროთა განმავლობაში, მორალურიდან გადაინაცვლა საზოგადოებრივ ნორმად, რაც საბოლოოდ საფუძვლად დაედო კლასიკური განმანათლებლების პოლიტიკურ შეხედულებებს და, მაშასადამე, პოლიტიკურ ინსტიტუციებს. ინგლისელი ფილოსოფოსი, ლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი და განათლებით ღვთისმეტყველი ჯონ ლოკი ერთ-ერთ ტრაქტატში წერს: „ყველა ადამიანი თანასწორია და დამოუკიდებელია, რადგან ყველა ადამიანი შეიქმნა ყოვლისშემძლე და უსასრულოდ ბრძენი შემოქმედის მიერ; ყველა მათგანი

1 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=19655> [18.08.2022]

2 Даль Р. Демократия и ее критики / Пер. с англ. Под ред. М.В.Ильина. М.: РОС-СПЭН, 2003, стр. 284.

ერთი უზენაესი უფლის მსახურია, რომელიც მისი ნებითა და ბრძანებით გაიგზავნა ამქვეყნად; ისინი არიან იმის საკუთრება, ვინც გამოაგზავნა ისინი... ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს შორის არის ისეთი დაქვემდებარების ტიპი, რომელიც გვაძლევს უფლებას ერთმანეთი გავანადგუროთ, თითქოს ჩვენ შექმნილნი ვიყოთ ერთმანეთის გამოყენებისათვის, ისევე, როგორც არსებობენ ცხოველები, რომლებიც შექმნილნი არიან ჩვენთვის“<sup>3</sup>. არცერთ ცივილიზაციასა თუ რელიგიაში არ ექცეოდა ასეთი მნიშვნელობა ადამიანთა პოლიტიკურ თანასწორობას. ჩვენი აზრით, ზუსტად ამის შედეგი იყო, რომ პირველად ქრისტიანულმა სამყარომ (ევროპამ) მოახერხა ფეოდალური სისტემის, როგორც სოციალური იერარქიის, გარდაქმნა. ხოლო ალტერნატივად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპელ თეორეტიკოსებს ესახებოდათ პოლიტიკურად თანასწორუფლებიანი საზოგადოება. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის დეკანი, პროფესორის გენრი სარდარიანი წერს: „სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, ადამიანის ქრისტიანულმა შეფასებამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის პიროვნების უნიკალურობას, როგორც აბსოლუტურ ღირებულებას. ამიტომ, სახარების თანახმად, ადამიანი არ შეიძლება იყოს სხვისი ინსტრუმენტი - საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალება“<sup>4</sup>. ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ქრისტიანულ დოგმატებს იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა შუა საუკუნეების, როგორც საზოგადოებრივ, აგრეთვე ინტელექტუალურ სფეროებში, რომ ისინი მეტწილად საფუძვლად დაედო ახალი ეპოქის პოლიტიკურ თეორიებს (ამ შემთხვევაში ლიბერალიზმისა და თანამედროვე დემოკრატიის იდეებს). თანამედროვე სახელმწიფო იდეის - წარმომადგენლობითობის, კანონის უზენაესობის, სუვერენიტეტის, სუვერენისა და სოციალური კონტრაქტის, ანუ, პოლიტიკური ლიბერალიზმის ფუნდამენტის შემქმნელი თეორეტიკოსი - თომას ჰობსი შემთხვევით არ ეძახის სახელმწიფოს - ლევიათანს - „მოკვდავ ღმერთს“. ფილოსოფოსის აზრით, სახელმწიფოს აქვს წმინდა საკრალური დანიშნულება, იგი წერს: „მე ამ ვაცს, ან ადამიანთა ამ საკრებულოს, რწმუნებას ვაძლევ და ვუთმობ ჩემი თავის მართვის უფლებას იმ პირობით, თუ შენც გადასცემ მას ასეთსავე უფლებას და ასეთსავე რწმუნებას. ამის შემდეგ, ერთ პიროვნებად გაერთიანებულ სიმრავლეს ერქმევა სახელმწიფო (commonwealth), ლათინურად – civitas. ამრიგად, იქმნება ის დიადი ლევიათანი (ან, უფრო მონივნებით თუ ვიტყვით, მოკვდავი ღმერთი), რომელსაც უკვდავი ღმერთის ხელში, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ვუმაღლით“<sup>5</sup>. ამის საფუძველზე კარლ შმიტი თვლიდა, რომ წიგნი „ლევიათანი“ თავისი არსით თეოლოგიური ტრაქტატია, და მისი ეს აზრი რომ გავავრცელოთ, შეიძლება თქვას, რომ კლასიკური პოლიტოლოგია თეოლოგიური ტექსტიდან იღებს საკუთარ საფუძველს. ასე, მაგალითად, პროფესორი არტემი მაგუნი წერს: „პოლიტიკური თეოლოგია არის ერთგვარად ახალი ეპოქის პოლიტიკური ცნებების „დაბადების ტრავმა“ და მისი ხალი. თანამედროვე პოლიტიკური ცნებები წარმოიშვა რელიგიური ცნებების საზოგადოებრივ ნიადაგზე გადატანის შედეგად, რაც მოხდა ეკლესიასთან და ზოგადად რელიგიასთან ბრძოლისა და მეტოქეობის

3 Локк Д. Сочинения в 3 томах. М.: Мысль, 1988, стр. 265.

4 Сардарян Г. Понятие, сущность и основные этапы развития католической социальной доктрины. Политика и общество, 2016, 5, 645.

5 Hobbes T. Leviathan or the Matter, Forme, & Power of a Common-wealth Ecclesiasticall and Civill. London, 1651, p. 253.

შედევად<sup>6</sup>. მაშასადამე, ვასკვნით, რომ თანამედროვე პოლიტიკური ცნებები, მათ შორის ლიბერალიზმი, შეიქმნა ქრისტიანული სწავლების გააზრების საფუძველზე.

თანამედროვე პოლიტიკური თავისუფლებების პარადიგმის შექმნაში ქრისტიანობის მნიშვნელობაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ოდითგანვე ეკლესიის მიერ ლიბერალიზმი (მეტწილად მერკანტილიზმი) კრიტიკის ობიექტი იყო. ჩვენი აზრით, უმთავრესად, ამის მიზეზი არის ის, რომ ლიბერალიზმი პრიორიტეტად აყენებს იმ ფასეულობებს და კონცეფციებს, რომლებიც ქრისტიანობაში არ არის პირველხარისხის. მაგალითად, ლიბერალურ პარადიგმაში თავისუფლების მნიშვნელობა განსხვავდება იმისგან, თუ როგორია ქრისტიანულ ორთოდოქსულ სწავლებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტს წარმოადგენს ქრისტიანული ეთიკა. ფილოსოფოსი სერ ლარი სიდენტოპი წერს: „განსხვავებები სახელმწიფოსა და საზოგადოებას, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს, კონფორმიზმსა და მორალურ ქცევას შორის, გამომდინარეობდეს და მოცემულია ქრისტიანობის ძირითად დებულებებში“.<sup>7</sup>

1959 წლის ვატიკანის მეორე საეკლესიო ყრილობაზე კარდინალურად შეიცვალა კათოლიკური ეკლესიის დამოკიდებულება დემოკრატიის პრინციპების მიმართ. რეფორმამ ფუნდამენტურ დონეზე შეცვალა კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაციული სახე, გახადა იგი ნაკლებად კლირიკანული, ანუ, უფრო ღია, ინკლუზიური და რეგიონალურად დამოუკიდებელი. გაიზარდა ეპისკოპოსების ჩართულობა ვატიკანის პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში და შეიძლება ითქვას, კათოლიკურმა ეკლესიამ გადმოიღო დემოკრატიის პრინციპები, რითაც აღიარა ისინი. იოანე პავლე მეორე წერს, რომ კათოლიკური „ეკლესია დადებითად აფასებს დემოკრატიულ სისტემას იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკურ არჩევანში და მოქალაქეებს გარანტირებას აძლევს აირჩიონ და აკონტროლონ მათი მმართველები, აგრეთვე, მშვიდობიანად გაათავისუფლონ ისინი, როდესაც ეს მიზანშეწონილად მიაჩნიათ“<sup>8</sup>. ამასთან დაკავშირებით სემუელ ჰანტინგტონი წერს: „ვატიკანის მეორე საეკლესიო ყრილობის შედეგად სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულმა არაერთმა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებამ, შესაძლებელი გახადა დანყებულებით „დემოკრატიზაციის მესამე ტალღა“ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი, უნგრეთი და ლათინური ამერიკის ქვეყნები“<sup>9</sup>. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკურმა ეკლესიამ აღიარა დემოკრატიის პრინციპები, რითაც ხელი შეუწყო საზოგადოებაში დემოკრატიის იდეალების მნიშვნელობის ზრდას, რაც, რა თქმა უნდა, სრულ თანხმობაში აღმოჩნდა ქრისტიანულ სწავლებასთან.

ჩვენ არ ვთვლით, რომ კათოლიკური ეკლესიის დემოკრატიული რეფორმები წარმოადგენდა ისტორიულ შემთხვევითობას, რომელიც პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული. ჩვენი აზრით, სიღრმისეულ დონეზე ქრისტიანულ რელიგიაში იყო თანამედროვე დემოკრატიული პრინციპების, როგორც დადებითი

6 Магун А. Единство и одиночество. Курс политической философии Нового времени. М.: Новое литературное обозрение, 2011, стр. 162.

7 Зидентоп Л. Демократия в Европе / Пер. с англ.; Под ред. В.Л. Иноземцева. М.: Логос, 2001, стр. 101.

8 Иоанн Павел II. Мысли о земном / пер. А. Кононова и В. Бурякова. М.: Новости, 1992, стр. 138.

9 Huntington S. P. The Third Wave: Democratization in the Late 20th Century. Oklahoma: University of Oklahoma Press; 1993, p. 264.



მოვლენის აღქმის დოგმატები. მეტიც, ზემოაღნიშნული მეცნიერების დაკვირვებების საფუძველზე, ვთვლით, რომ თანამედროვე დემოკრატიის ინსტიტუტების იდეები, არის დასავლური კოსმოლოგიური წარმოდგენების პრინციპებზე შექმნილი იდეები, რომლებიც, თავის მხრივ, მეტწილად, ქრისტიანულ ეთიკაზე საზრდოობენ. არტემი მაგუნი წერს: „ნამდვილად, თანამედროვე პოლიტიკური კონცეფციები და ინსტიტუტები (სუვერენიტეტი, წარმომადგენლობა, კერძო და საზოგადოებრივი სფეროების გამიჯვნა და ა.შ.) ქრისტიანული წარმოშობისაა და ქრისტიანულად ახსნადია. მაგრამ, ეს ნიშნავს თუ არა, რომ მათ შეინარჩუნეს თავიანთი საღვთისმეტყველო, პირველადი მნიშვნელობა (როგორც ჰეგელი, მარქსი, კარლ შმიტი და მრავალი სხვა ფიქრობდა), თუ რელიგიურის განადგურებამ (სეკულარიზაციამ) განაპირობა რაიმე თვისობრივად ახალი, ნეგატიური მოცემულობა (როგორც, მაგალითად, ჰანს ბლუმენბერგი ან კლოდ ლეფორტი ფიქრობდა)?“<sup>10</sup>. ამ შემთხვევაში, რთულია ვისაუბროთ, თუ რაოდენ არ შეესაბამებინ თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუტები პირველწყაროს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული მეცნიერებისთვის და ფილოსოფოსებისათვის ნათელია, რომ ქრისტიანულმა სწავლებამ შექმნა ევროპული პოლიტიკური ინსტიტუტების საფუძველი, როგორც მინიმუმ ქრისტიანობამ შექმნა გარემო სადაც აღნიშნული იდეები პოლიტიკურ ინსტიტუტებად გარდაიქმნენ. იურგენ ჰაბერმასის აზრით, „ქრისტიანობამ შესაძლებელი გახადა დასავლურ საზოგადოებაში განსაკუთრებული, "რბილი" ტიპის რელიგია შექმნილიყო, „რომელიც ხასიათდება სინდისის თავისუფლების, მეცნიერებების ავტორიტეტის აღიარებითა და ძალაუფლების ლეგიტიმაციის დემოკრატიული პრინციპების მიღებით“<sup>11</sup>.

მაშასადამე, ჩვენ ვასკვნით, რომ ქრისტიანული ეთიკის ფარგლებში, ევროპული ტიპის დემოკრატიის დროს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ლოგიკა ინდივიდისთვის გასაგებია და ინტუიციურად მისაღები (შეესაბამება საზოგადოების კოსმოლოგიურ წარმოდგენებს).

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ფილოსოფოსმა დეივიდ იუმმა შეიმუშავა თეზისი, რომ პროტესტანტული ეთიკის პრინციპებმა განსაზღვრა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების წარმატება<sup>12</sup>. ამ მიმართულებით დიდი კვლევა ჩაატარა სოციოლოგმა მაქს ვებერმა, რომელიც პროტესტანტიზმის ეთიკას უკავშირდება ევროპულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს და მათ წარმატებებს<sup>13</sup>. მაგრამ, მიუხედავად ფილოსოფოსების მიერ პროტესტანტიზმისა და კათოლიციზმის გაყოფისა, ისტორიულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ განსხვავებული ქრისტიანული კონფესიების მქონე ქვეყნებში ეკონომიკური სხვაობა, რომელიც თვალსაჩინო იყო XVIII-XIV საუკუნეებში, რეალურად აღარ არსებობს XX საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე ნახევარიდან. დღეს აღარ არსებობს ეკონომიკურ მონაცემებში სხვაობა კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებს შორის. მაგრამ, დღემდე თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები, უმთავრესად, ქრისტიანული წარსულის მქონე სახელმწიფოებია. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, თანამედროვე რეალობაში აღარ შეიძლება

10 Магун А. Единство и одиночество. Курс политической философии Нового времени. М.: Новое литературное обозрение, 2011, стр. 159.

11 Хабермас Ю. Будущее человеческой природы / пер. с нем. М.Л. Хорькова. М.: Весь мир, 2002, стр. 144.

12 Hume D. Of Superstition and Enthusiasm. Essays Moral, Political and Literary. London: Oxford University Press, 1963.

13 Weber M. The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism. London; New York: Routledge, 1995.

სახელმწიფოები კონფესიების მიხედვით გავეყოთ, მაგრამ, ამავედროულად, არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ ქრისტიანობა დაკავშირებულია ევროპის ეკონომიკურ წარმატებებთან.

თუ შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტურ დონეზე საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოებისთვის ქრისტიანული დოგმატები უმთავრესად განსაზღვრავენ საზოგადოების კოსმოლოგიურ წარმოდგენებს, მაშინ რატომ მოხდა ისე, რომ საქართველო ეკონომიკურად და პოლიტიკურად (ინსტიტუციურად) „დამწვეის“ პოზიციაზე აღმოჩნდა? დიპაკ ლალი ამაზე პასუხობს, რომ ქრისტიანობაში განხორციელდა რამდენიმე კოსმოლოგიური რეფორმა. ჯერ VI საუკუნეში, ხოლო შემდგომ დამოუკიდებელი კონფესიების (კათოლიკური - მართმადიდებლურის) დროს<sup>14</sup>. თუ პირველი კოსმოლოგიური რეფორმაცია (ნეტარი ავგუსტინესა და წმ. გრიგოლი დიდის) შეეხო აღმოსავლურ ეკლესიასაც, შემდგომი რეფორმები მოხდა დიდი სქიზმის მერე და ისინი უკვე იყვნენ რეგიონალური - დასავლეთევროპული. დიპაკ ლალის აზრით, დასავლეთ ევროპის წარმატების მთავარი მიზეზი იწყება VI საუკუნეში წმ. გრიგორი დიდის მიერ გატარებული რეფორმით. გრიგოლი დიდმა განახორციელა ოჯახის ინსტიტუტის რეფორმა, მან გამოაცხადა ინდივიდუალიზმის პრიორიტეტულობა, რითაც დაუპირისპირა იგი კომუნალიზმს. VI საუკუნემდე, კლასიკურ ევროპულ კოსმოლოგიურ წარმოდგენებში ოჯახის ინსტიტუტში დაშვებული იყო ახლო ნათესავების ქორწინება, ბავშვების გადაცემა ნაშვილებით, ურთიერთთანაცხოვრება და ახლო ნათესავის მიერ ქვრივის ცოლად მოყვანა (ჩვენი აზრით, ეს ახსნადია სოციალური დარღვივებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანები გადარჩენის პრინციპით ხელმძღვანელობენ და მაშასადამე, უშვებენ ზემოაღნიშნულ ფაქტებს შთამომავლობის დატოვების ალბათობის მაქსიმიზაციის). გრიგოლი დიდმა ყველა ზემოაღნიშნული პრეცედენტი კანონიკურად აკრძალა<sup>15</sup>. აგრეთვე, აღსანიშნია განქორწინების ინსტიტუტის აკრძალვა. მონოგამიური და მდგრადი ოჯახის ინსტიტუტის არსებობა, ჩვენი აზრით, აგრეთვე უკავშირდება საეკლესიო რეფორმას. აღსანიშნია, რომ დიპაკ ლალი ამას ხსნის იმით, რომ ეკლესია ასე ცდილობდა კაპიტალის დაგროვების, ანუ, მიწის მფლობელის მიერ შთამომავლების (მემკვიდრეების) არ არსებობის შემთხვევაში, ეკლესია ეუფლებოდა გარდაცვლილის მემკვიდრეობას, ეს ხორციელდებოდა, როგორც შემონირულობის სახით, აგრეთვე საკანონდებლო დონეზეც. მეცნიერი წერს, რომ „პაპის ამ რეფორმამ გამოიღო ის შედეგი, რომ ევროპაში დაახლოებით 40% ოჯახების უშუალო მემკვიდრის გარეშე რჩებოდა, ხოლო ქონება, რომლის კანონიერად გადაცემის უფლება არ ჰქონდა ოჯახს, უმთავრესად, ეკლესიას შეწირულობის სახით გადასცემდა საკუთრებაში“<sup>16</sup>. ამან გამოიწვია ის ფაქტი, რომ 1436 წელს ინგლისში ეკლესიას ეკუთვნოდა მიწების 20%<sup>17</sup>. აღნიშნული რეფორმით, ჩვენი აზრით, ადამიანების კოსმოლოგიურ შეხედულებებში განვითარდა ინდივიდუალიზმისა და ერთგული სიყვარულის (მონოგამიის) იდეები.

*ზემოაღნიშნული რეფორმაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ ქრისტიანული*

14 Lal D. Unintended Consequences: The Impact of Factor Endowments, Culture, and Politics on Long-Run Economic Performance. Cambridge MA: The MIT Press, 1998.

15 Straw C. Gregory the Great: Perfection in Imperfection. USA: University of California Press. 1991.

16 Лал Д. Возвращение «невидимой руки»: Актуальность классического либерализма в XXI веке. М.: Новое издательство, 2009, стр. 230.

17 Kriedte P. spätfеudalismus und handelskapital. Göttingen: Jahrhunderts, 1980, s. 118.

პარადიგმის პირობებში.

ჯერ კიდევ IV-V საუკუნეში, „დიდ სქიზმამდე“ - სადაც ქრისტიანული ეკლესია გაიყო კათოლიკურზე და მართმადიდებლურზე, ნეტარმა აგუსტინემ სქოლასტიკის ფარგლებში განავითარა ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი დოგმატები: ცოდვის ინდივიდუალურად მონანიება და პირველქმნილი ცოდვა. ნეტარი აგუსტინეს მოღვაწეობის შედეგად, ქრისტიანი ადამიანის კოსმოლოგიურ წარმოდგენებში დამკვიდრდა აპრიორი დანაშაულის, ცოდვილობის განცდა (პირველქმნილი ცოდვა) და დანაშაულის, ცოდვის მხოლოდ ინდივიდუალურად გამოსყიდვის, მონანიების საშუალება. ჩვენი აზრით, ამან უმთავრესად განსაზღვრა ევროპული ტიპის ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების გაგება. რადგან, ქრისტიანულმა პარადიგმამ განავითარა არა მხოლოდ მორწმუნის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, არამედ მისდამი დამოუკიდებლად (აპრიორი) არსებულმა პირველქმნილი ცოდვის მონანიების აუცილებლობა - თვითგვემა. ქრისტიანული პარადიგმაში ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატი - პირველქმნილი ცოდვა არ გამომდინარეობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან, ანუ, ქრისტიანი ადამიანი მონანიებს არამხოლოდ საკუთარი საქციელით გამოწვეულ ცოდვებს, არამედ მისდამი სრულიად დამოუკიდებლად არსებულს. პირველქმნილის ცოდვა იმდენად მნიშვნელოვანი დოგმატია ქრისტიანულ რელიგიაში, რომ წმინდა ილია მინიატისის სიტყვები - „მხოლოდ ღმერთია უცოდველი და უმნიკვლო“<sup>18</sup>, გვიჩვენებს, რომ ქრისტიანი ვალდებულია მუდმივად განიცდიდეს ცოდვილობას (დანაშაულის განცდას). ფრანგი ისტორიკოსი ჟან დელუმეაო წერს: „ეკლესიამ შეიმუშავა ძლიერი „დანაშაულის განცდის კულტურა“, რომელშიც ცენტრალურ ადგილს იკავებს პირველქმნილის ცოდვისა და ქრისტიანული მორალის კონცეფცია, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ქრისტიანული ღმერთის რწმენას“<sup>19</sup>. აგრეთვე, დელუმეაომ დაამკვიდრა ტერმინი - „გადაჭარბებულად დანაშაულის გრძნობს შთაგონება“, ხოლო, „გადაჭარბებული დანაშაულის გრძნობაში“ იგი გულისხმობს: „როდესაც ცოდვა უფრო მასშტაბურია მონანიებაზე“<sup>20</sup>. ფრანგი მეცნიერი დეტალურად შეისწავლის ქრისტიანულ სამყაროში დანაშაულის გრძნობის განვითარებას და ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს. ჩვენთვის საინტერესო ჭრილში რომ შევაჯამოთ მისი ნაშრომი, ვასკვნით, რომ „გადაჭარბებულად დანაშაულის განცდამ“ ქრისტიან ადამიანში განავითარა, როგორც საკუთარ საქციელზე, აგრეთვე სოციალურ მოვლენებზე პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა. რომელმაც, თავის მხრივ, წაახალისა ინდივიდები არსებული, მიუღებელი რეალობის უკეთესობისკენ გარდაქმნის სურვილში, რომლის უმაღლეს მწვერვალს ვხედავთ რენესანსის იდეებში. პროფესორი დიპაკ ლალის აზრით, ქრისტიანული დანაშაულის იდეამ (სოციალურმა პასუხისმგებლობამ) დიდი სტიმული მისცა ევროპაში ნოვატორულ იდეებს (რეალობის გარდაქმნის სურვილს), რომლის საფუძველზეც დიდ ბრიტანეთში ინდუსტრიალიზაცია დაიწყო, ანუ, ევროპის სახელმწიფოების დომინანტობა მთელ მსოფლიოზე.

კათოლიკურმა ეკლესიამ, ქრისტიანული დოგმატების განვითარებასთან ერთად, დაიწყო საკუთარი ორგანიზაციის ფარგლებში რომის სამართლის პრინციპების დანერგვა. არტემი მაგუნი წერს: „რომის სამართლის თავიდან გახსნამ, რომელიც

18 წმიდა მამები შურის შესახებ ცოდვათა განმარტებანი [http://orthodox.ge/book\\_part/wminda-mamebi-shuris-shesakheb/13/](http://orthodox.ge/book_part/wminda-mamebi-shuris-shesakheb/13/) [18.08.2022].

19 Delumeau J. Sin and Fear. N.Y.: St. Martins Press, 1990, p. 329.

20 Delumeau J. Sin and Fear. N.Y.: St. Martins Press, 1990, p. 9.

ქრისტიანულ მისტიციზმს - „ხალხის სხეულის“ იდეას დაემატა, გამოიწვია ხალხის მმართველობის (დემოკრატიის) დოქტრინის გავრცელება - რადგან, რომის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია - ხალხისგან ძალაუფლების წარმოშობა: *potestas in populo, auctoritas in senatu*<sup>21</sup>. ამგვარად, რომის ეკლესია იმ პერიოდში იყო ერთადერთი მსხვილი ორგანიზაცია, რომელშიც მოქმედებს ფორმალური (დანერვილი) კანონის უზენაესობა და თანამედროვე დემოკრატიის იდეა - ძალაუფლება წარმოიშობება ხალხისგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპელი ადამიანის კოსმოლოგიურ წარმოდგენებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს პირველქმნილ ცოდვასა და ინდივიდუალურ მონანიებას, რომლებმაც შექმნეს ევროპული ეთიკა და თავისუფლების გაგება, ხოლო მათ, თავის მხრივ, შექმნეს პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზმი და დემოკრატია (თანასწორობა, თანაბარუფლებიანობა და სოციალური პასუხისმგებლობა - სამოქალაქო საზოგადოება), რომლის დამახასიათებელი ინსტიტუტების ტრანსპლანტაციას ცდილობს საქართველო.

დიდი გრიგოლის რეფორმა, რომელიც მიმართული იყო ინდივიდუალიზმის განვითარებაზე, ევროპული ცივილიზაციისათვის მისაღები გახლდა - იგი სრულიად პასუხობდა ქრისტიანული წარმოდგენების ფუნდამენტალურ არსს. მაშასადამე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს საზოგადოებაში - ქრისტიანულ, მართმადიდებლურ პარადიგმაში, აგრეთვე დევს თანამედროვე ევროპული ინდივიდუალიზმის, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებების წარმოდგენა. ხოლო, რაც ეხება იმას, რომ, თუ რატომ არის დღეს საქართველო „დამწვევის“ პოზიციაზე, ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ისტორიულად იბრძოდა გადარჩენისთვის (სახელმწიფოებრიობისათვის), რის გამოც პოლიტიკური ინსტიტუტები, უმეტესწილად, მიმართული იყო გადარჩენის იდეებზე. აგრეთვე, აღსანიშნია, რომ ისტორიულად საქართველოში სახელმწიფოებრიობა უტოლდებოდა თვითგადარჩენას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული იდეები საქართველოში ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეში გაჩნდა, რომლებსაც რეალურად სჭირდებოდა დრო განვითარებისათვის, ანუ ფორმალური (ორგანიზაციული) და არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუციური ფორმის მიღებისათვის. მაგრამ, შემდგომ XII საუკუნიდან მოყოლებული მოვლენების შედეგად საქართველომ მრავალი საუკუნე ომიანობასა და გადარჩენისთვის ბრძოლაში განვლო, რის გამოც პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიური და ინსტიტუციური განვითარება ვერ მოხდა.

ადრეულ შუა საუკუნეებში ეკლესიის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებულმა რელიგიურმა დოგმატებმა, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ, მალევე მიიღეს ინსტიტუციების სახე (ორგანიზაციული და კანონების დონეზე განერვილი). შუა საუკუნეების ეკლესიაზე და მის გარდაქმნაზე ჯონ ნევილ ფიგვისი წერს: „შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია არ იყო უბრალოდ ერთ-ერთი სახელმწიფო; ის იყო ერთადერთი ჭეშმარიტი სახელმწიფო. სამოქალაქო ხელისუფლება სხვა არაფერი იყო, თუ არა ეკლესიის პოლიციის განყოფილება. ეკლესიამ რომის იმპერიისგან მემკვიდრეობით მიიღო უმაღლესი ხელისუფლების უნივერსალური იურისდიქციის თეორია და აქცია იგი რომის პაპის *plenitudo*

21 Магун А. Единство и одиночество. Курс политической философии Нового времени. М.: Новое литературное обозрение, 2011, стр. 174.

potestatis-ის დოქტრინად. ამგვარად, რომის პაპი ხდებოდა კანონის უზენაესი არბიტრი, ღვთისმოსაობის (სამეფო ღვთისმოსაობის ჩათვლით) და კანონიერი უფლებამოსილების ერთადერთი მინიერი წყარო. რელიგიური პრინციპების შემოქმედი, საუნივერსიტეტო ხარისხების მიმნიჭებელი, უზენაესი "მოსამა-რთლებებისა და მსაჯულების" დამნიშვნელი, საერთაშორისო სამართლის მცველი, შურისმაძიებელი ქრისტეს სისხლისათვის<sup>22</sup>. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ეკლესია, სამოქალაქო ხელისუფლებასთან ერთად, უზრუნველყოფდა საჯარო საქმიანობას, რომელიც დღეს ჩვენთან მხოლოდ სახელმწიფოსთან ასოცირდება. ეკლესია, უმეტესწილად, ახორციელებდა მომსახურეობას განათლებასა და სხვა სოციალურ სფეროებში (მაგ.: სიღარიბესთან ბრძოლა, საავადმყოფოები მშენებლობა, კატასტროფების შემდგომ შემწეობის გაცემა და ა.შ.). ხოლო, მართლმსაჯულების აღსრულებას ეკლესია საერო ხელისუფლებასთან ერთად ინაწილებდა. სამართლებრივად ქონებისა და მიწის მართვა და პოლიტიკური ერთეულების ყოველდღიური მართვა, ასევე საეკლესიო და საერო ხელისუფლებს შორის ნაწილდებოდა.

დუგლას ნორტი წერს, რომ პოლიტიკურ საკითხში ეკლესიას დიდი ადგილი ეკავა - „მანისის, ტრირისა და კიოლნის მთავარეპისკოპოსები იყვნენ მათ შორის, ვინც ირჩევდა წმიდა რომის იმპერიის იმპერატორს. ინგლისის მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები იყვნენ ლორდთა პალატის წევრები. საფრანგეთში ეკლესიის მსახურები იყო უმაღლესი წოდების სოციალური კლასი. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამდე, ეკლესია ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას სახელმწიფოსთან ფისკალურ საკითხებში. სიმეტრიულად, კარლ დიდი მოუწოდებდა თავის ვასალებს რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერისაკენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისტემის რეფორმირების მცდელობებს მოჰქონდა საერო და საეკლესიო ხელისუფლებებს შორის შეტაკებები, რომელთაგან ყველაზე მასშტაბური ინვესტიტურის კრიზისი იყო... მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ინიშნებოდნენ მეფეებისა და უბრალო ბატონების მიერ. ისევე, როგორც არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები ახდენდნენ ფისკალურ და პოლიტიკურ გავლენას საერო ხელისუფლებებზე. შეუძლებელია კარლ დიდიდან რეფორმაციამდე ევროპული ისტორიის გაგება ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ბუნებისა და დომინანტური კოალიციის სეკულარული ელემენტების გაცნობიერების გარეშე<sup>23</sup>. აგრეთვე, აღსანიშნია, რომ VII-X საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ისეთ დიდ სავაჭრო ქალაქებში, როგორებიცაა რეიმსი, ვერდუნი, სტრასბურგი, მაგდებურგი, მანისი, კიოლნი, ბაზელი და ფრანკფურტი მოქმედებს თეოკრატიული მმართველობის ფორმა. საფრანგეთის მეფის კანცლერი ტრადიციულად სასულიერო პირი იყო. თავის მხრივ, ყველა სახის ბარონები, გრაფები, მარკიზები და დუკები თავიანთ მიწაზე თვითონ ნიშნავდნენ ეპისკოპოსებს.

შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეებში ევროპას მართავდა არისტოკრატებისა და საეკლესიო ხელისუფლების მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კოალიცია.

მოძლიერებული კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში აქტიურ როლს თამაშობდა საერთაშორისო არენაზეც, საკუთარი პოზიციების გაძლიერებისთვის იგი

22 Figgis J. N. Studies of political thought from Gerson to Grotius 1414–1625, second edition. Cambridge: Cambridge University Press, 1923, p. 4.

23 North D. C. Wallis J. J. Weingas R. B. Violence and Social Orders: A Conceptual Framework for Interpreting Recorded Human History. Cambridge: Cambridge University Press, 2012, p. 113.

განიცდიდა შიდა ტრანსფორმაციას, რომლის წყაროდ მას ჰქონდა ქრისტიანული სწავლება. პროფესორი დიპაკ ლალის აზრით, რომის ეკლესიას, რომელსაც სურდა უფრო გაეზარდა საკუთარი ავტორიტეტი და კანონის დონეზე დაეცვა ეკლესიის მიწები და გავლენა, განახორციელა მეორე მსხვილი რეფორმაცია, რომელიც ეხებოდა ფორმალურ - საკანონდებლო მხარეს. აღნიშნულის მიზნით, რომის ეკლესიამ აღადგინა რომის სამართალი. გრიგოლ VII-მ 1075 წელს გამოაცხადა რომის პაპის პოლიტიკური და იურიდიული დომინირება მთელ ეკლესიაზე და სასულიერო პირები დამოუკიდებელი გახდა საერო ხელისუფლებისაგან. მისი რეფორმების შედეგად, ეკლესიის საკუთრება საკანონდებლო დონეზე გახდა ხელშეუხებელი. აგრეთვე, გრიგოლ VII-ს სურდა კანონის დონეზე გამოეცხადებინა რომის პაპის დომინირება სამოქალაქო საკითხებში საერო ხელისუფლებაზე და აგრეთვე, მეფეებისა და იმპერატორების გადაყენების უფლებას ითხოვდა.

ეკლესიის აქტიურმა მონაწილეობამ სამოქალაქო საკითხებში მოითხოვა, რომ მას შეექმნა ყველა ის აუცილებელი სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტიტუციების ატრიბუტები, რომელიც დღეს დემოკრატიულ ქვეყნებსა და საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს. დიპაკ ლალი წერს: „ეკლესიის მიერ შეიქმნა თანამედროვე კომერციული და ინდუსტრიული ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი - იურიდიული ინფრასტრუქტურა“<sup>24</sup>. მეცნიერის აზრით, ეკლესია-სახელმწიფო, რომელიც საკუთარი სარგებელისკენ მიისწრაფოდა, შენდებოდა, როგორც კანონის უზენაესობის მქონე ორგანიზაცია. თანდათანობით, ეს საერო ხელისუფლებებმაც გადმოიტანეს. მეცნიერი წერს: „ინსტიტუციონალისტი ეკონომისტები დღეს იტყობენ, რომ საერო ხელისუფლებებმა ისესხეს ეკლესიის მიერ შექმნილი ინსტიტუტები“<sup>25</sup>. ზუსტად ამ მომენტიდან იწყება გარდატეხა, როდესაც დასავლეთ ევროპა, სხვა სამყაროსგან განსხვავებით, წავიდა უნიკალური ტრაექტორიით და საბოლოოდ შექმნა თანამედროვე ტიპის ლიბერალური დემოკრატია. ხოლო, რაც ეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, დიპაკ ლალი წერს: „თუ ლათინურ ეკლესიას სურდა ღმერთისთვის გადაეცა, როგორც ღმერთის, აგრეთვე კვისრისაც, მისი ბერძენი და დათანხმდა კვისრისთვის მიეცა ორივე - ღმერთისაც და კვისრისაც“<sup>26</sup>.

გრიგოლი VII რეფორმის შედეგად, შუა საუკუნეების ბოლოს, კათოლიკური ეკლესია იყო ერთადერთი მსხვილი ორგანიზაცია, რომელსაც მკაცრად, ფორმალური კანონების დონეზე, ჰქონდა განწერილისაკუთარისტრუქტურა და იერარქია. ამპერიოდის ეკლესიამ პირველად აჩვენა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ინსტიტუტები, მან პირველმა მოახერხა შეექმნა მსხვილი, უპიროვნო (Impersonality) ორგანიზაცია, რომლის წევრების ურთიერთობები და ორგანიზაციული იერარქია კონტროლდებოდა ფორმალური (დანერვილი) კანონმდებლობით. ეს იყო ფორმალური კანონის უზენაესობის პირველი მაგალითი. იმდროინდელ ევროპულ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ შეექმნათ ასეთი მასშტაბის რთული ორგანიზაციები, რადგან მათში ძალაუფლების განაწილება და მმართველი კლასის (ელიტის) ლეგი-

24 Lal D. Unintended Consequences: The Impact of Factor Endowments, Culture, and Politics on Long-Run Economic Performance. Cambridge MA: The MIT Press, 1998, p. 103.

25 Лал Д. Возвращение «невидимой руки»: Актуальность классического либерализма в XXI веке. М.: Новое издательство, 2009, стр. 23.

26 Lal D. Unintended Consequences: The Impact of Factor Endowments, Culture, and Politics on Long-Run Economic Performance. Cambridge MA: The MIT Press, 1998, p. 117-118.

ტიმაცია კვლავაც საზრდოობდა პიროვნულ და ოჯახურ ურთიერთთანხმობაზე, ანუ, ევროპულ ელიტებს შორის არაფორმალური მოლაპარაკებები წარმოადგენდა სახელმწიფო სისტემის არსებობის წყაროს (ბუნებრივი სახელმწიფოს საფუძველს). იგორ გაიდარი ფეოდალური სახელმწიფოების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორზე, ჯარზე, წერს: „ფეოდალური არმია არის ჯარისკაცების „ფხვიერი“ კოალიცია, რომელიც სწრაფად შექმნილია სხვადასხვა დონის ფეოდალების მიერ და იგი არ არის ცენტრალიზებული სამხედრო ორგანიზმი, რომელიც კონტროლდება ერთის ნებით. ამიტომ, ყოველთვის რჩება გარედან დაპყრობის რისკი, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა სოფლების განადგურება, მასიური ძარცვა და სიღატაკე“<sup>27</sup>. ასეთ, ორგანიზაციულად მარტივ სახელმწიფოებს არ შეეძლოთ გაენიათ სერიოზული კონკურენცია რომის ეკლესიასთან, ეს გამოიხატებოდა, როგორც საერთაშო-რისო დონეზე, აგრეთვე სახელმწიფოს შიგნით საჯარო მომსახურებების (public goods) განვებაზე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლებები იძულებულნი იყვნენ ეკლესიასათვის გადაეცათ მრავალი საზოგადოებრივი ფუნქცია - ქველმოქმედება, განათლება, ჯანდაცვა, სამართალმცოდნეობა (კანონიკური სამართლიდან გამომდინარე), იურიდიული სამართალწარმოება (რომელსაც ახორციელებდნენ კვალიფიციური სასულიერო პირები - იურისტები) და ახალი მიწების ათვისება (რომლითაც იყო დაკავებული ცისტერციანების ორდენი). შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტების წარმატებები განსაზღვრავდნენ რეგიონში დომინანტ ორგანიზაციას. შემდგომი ინფორმაციული და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, სახელმწიფოებმა გადმოიღეს რომის ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურის პრინციპები და უკვე თავის ქვეყნების საზღვრებში დემოკრატიული სოციალური წყობისთვის დამახასიათებელი რთული პოლიტიკური ინსტიტუტები. ამის შედეგად, დიდი ბრიტანეთი და შემდგომ მთელი ევროპა, საკუთარი ეფექტიანი ინსტიტუტების ხარჯზე, ხდება მსოფლიოს განმგები.

ეკლესია იაზრებდა საკუთარი ადგილისა და თავისი რთული ორგანიზებული სტრუქტურის სიძლიერეს. აქედან გამომდინარე, იგი ყოველთვის ებრძოდა ნებისმიერ მცდელობას ევროპის კონტინენტზე შექმნილიყო ძლიერი (ორგანიზაციულად რთული) სახელმწიფო - კონკურენტი. ეკლესია ცდილობდა ყოფილიყო მონოპოლისტი რთული ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნაში. მაგალითისთვის, როდესაც ფრიდრიხ II შტაუფენმა შექმნა თანამედროვე ევროპის ისტორიაში პირველი ცენტრალიზებული სახელმწიფო და საკუთარი გადანყვეტილებით დაარსა ნეოპოლიტანური უნივერსიტეტი (პირველად ისტორიაში მეფემ რომის პაპის ბულის გარეშე შექმნა უნივერსიტეტი), ეკლესიამ, ამაზე პასუხად, 1245 წელს იგი ტახტიდან გადააყენა, ხოლო ლეონის საეკლესიო ყრილობამ იგი ანტიქრისტედ გამოაცხადა. დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, ავტორმა მეფე ფრიდრიხი გახადა ერესიარქი - ერესის მბრძანებელი. საბოლოო ჯამში ეკლესიამ გაიმარჯვა მეფეზე და საღვთო რომის იმპერიაში იწყება „ფეოდალური დაქუცმაცების ხანა“.

## დასკვნა

გემოაღნიშნულ დაკვირვებებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ახალი დროის ევროპულმა სახელმწიფოებმა არა მხოლოდ რომის ეკლესიის ქრისტიანულ

<sup>27</sup> Гайдар Е. Долгое время. Россия в мире. Очерки экономической истории. М.: Corpus, 2015, стр. 108.

პრინციპებზე შექმნილი ინსტიტუტების იმიტირება დაიწყო, არამედ ფუნდამენტურ დონეზე სახელმწიფოს ფუნქციონირება გადაიყვანეს ქრისტიანულ პრინციპებზე: სეკულარიზაციის შედეგად მოხდა რომის პაპთან გაიგივებული სუვერენიტეტის პრინციპის გადატანა საერო ხელისუფალზე (1648 წ.), პირველ რიგში მეფეზე (მმართველზე). ხოლო შარლ ლუი მონტესკიეს მოღვაწეობის შემდგომ, სუვერენი გახდა თვითონ ხალხი; მოხდა რომის ეკლესიის იურიდიული პრინციპების გადატანა სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოების კონსტიტუციად გარდაიქმნა; მოხდა ქრისტიანული პრინციპებით „სოციალური ატომიზმი“ (ზემოაღნიშნული ქრისტიანული ინდივიდუალიზმის შედეგად), რითაც ინდივიდი გახდა პოლიტიკური აქტორი - სამართლის სუბიექტი. და კიდევ მრავალი სხვა ფაქტი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ - ახალი დროის ევროპული სახელმწიფო გვევლინება, როგორც ქრისტიანული პოლიტიკური იდეის განხორციელება.

### ბიბლიოგრაფია:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=19655> [18.08.2022]

Даль Р. Демократия и ее критики / Пер. с англ. Под ред. М.В.Ильина. М.: РОС-СПЭН, 2003

Локк Д. Сочинения в 3 томах. М.: Мысль, 1988

Сардарян Г. Понятие, сущность и основные этапы развития католической социальной доктрины. Политика и общество, 2016,5,645

Hobbes T. Leviathan or the Matter, Forme, & Power of a Common-wealth Ecclesiasticall and Civill. London, 1651

Магун А. Единство и одиночество. Курс политической философии Нового времени. М.: Новое литературное обозрение, 2011

Зидентоп Л. Демократия в Европе / Пер. с англ.; Под ред. В.Л. Иноземцева. М.: Логос, 2001

Иоанн Павел II. Мысли о земном / пер. А. Кононова и В. Бурякова. М.: Новости, 1992

Huntington S. P. The Third Wave: Democratization in the Late 20th Century. Oklahoma: University of Oklahoma Press; 1993

Хабермас Ю. Будущее человеческой природы / пер. с нем. М.Л. Хорькова. М.: Весь мир, 2002

Hume D. Of Superstition and Enthusiasm. Essays Moral, Political and Literary. London: Oxford University Press, 1963

Weber M. The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism. London; New York: Routledge, 1995.

Lal D. Unintended Consequences: The Impact of Factor Endowments, Culture, and Politics on Long-Run Economic Performance. Cambridge MA: The MIT Press, 1998.

Straw C. Gregory the Great: Perfection in Imperfection. USA: University of California Press. 1991.

Лал Д. Возвращение «невидимой руки»: Актуальность классического либерализма в XXI веке. М.: Новое издательство, 2009, стр. 230

Kriedte P. spätfeudalismus und handelskapital. Göttingen: Jahrhunderts, 1980

წმიდა მამები შურის შესახებ ცოდვათა განმარტებანი [http://orthodox.ge/book\\_part/wmindamamebi-shuris-shesakheb/13/](http://orthodox.ge/book_part/wmindamamebi-shuris-shesakheb/13/) [18.08.2022]

Delumeau J. Sin and Fear. N.Y.: St. Martins Press, 1990

Figgis J. N. Studies of political thought from Gerson to Grotius 1414–1625, second edition. Cambridge: Cambridge University Press, 1923



North D. C. Wallis J. J. Weingas R. B. Violence and Social Orders: A Conceptual Framework for Interpreting Recorded Human History. Cambridge: Cambridge University Press, 2012

Лал Д. Возвращение «невидимой руки»: Актуальность классического либерализма в XXI веке. М.: Новое издательство, 2009

Гайдар Е. Долгое время. Россия в мире. Очерки экономической истории. М.: Corpus, 2015

**Davit Khupenia**

*Assistant professor, Georgian Technical University*

## **CHRISTIAN FOUNDATIONS OF MODERN EUROPEAN DEMOCRACY**

**Key-words:** Christianity, democracy, reforms of the Roman Church

The organizational effectiveness of the European Church in politics has led states to imitate its complex organizational structure, which ultimately required the states to develop a strong bureaucratic apparatus that would be prescribed (protected) at the legislative level, therefore, we believe, in this way, principles of political and economic equality have been developed at the legislative level in Europe. In our opinion, as a result of high competition between states on the European continent, it became necessary for states to develop effective institutions, as a result of which modern democracy has taken the form of the most effective political system. We believe that the historical development of European political systems mainly serves the search for the most effective political regime, in which the institutions of democracy will be most fully represented, and the need for transformation is historically determined by interstate - international competition.



**Gvantsa Evaniseli**

*TSU, PHD student*

**გვანცა ევანისელი**

თსუ, დოქტორანტი

## **THE FIRST CATHOLIC MISSIONARIES IN GEORGIA WITHIN THE CONTEXT OF GEORGIAN FOREIGN POLICY TOWARD EUROPE**

### **პირველი კათოლიკე მისიონერები საქართველოში ევროპული საგარეო პოლიტიკის კონტექსტში**

Since the 30s of the 13th century, the Curia of the Pope of Rome started sending missionaries to Georgia. The first data about sending of the Franciscan mission to us is available in the letter sent by Pontifex Gregory IX to queen Rusudan. After the Order of Friars Minor, the missionaries of the Dominican Order are already appearing in Georgia. The existing correspondence between the Georgian kings and the Popes of Rome confirms the opinion that Mtskheta Catholicosate can not have been separated from Rome at that time, therefore, it is natural that the Pope would not send the order of Franciscans and Dominicans to Georgia to convert Georgians. A logical question arises: why did the leaders of the Catholic Church send such a number of missionaries to Georgia, a state that is not so big in terms of territory?

With this paper, we will try to substantiate the opinion that the constant increase in the number of Franciscan and Dominican missionaries in Georgia was connected with the most important mission of the eastern policy of the papacy - first in the Ilkhanate Khanate and then with the spread of Catholic Christianity in the Ulus Juchi, while Georgia was paving the way for Latin missionaries to Proselytism. Recognition of Catholicism by the Mongols would be beneficial not only for the Latins, but also for the Georgians. Consequently, the Georgian kings supported the Franciscans and Dominicans in their activities as much as possible and did not persecute them.

Thus, during the mentioned period, Georgia became a kind of springboard for the spread of Catholic Christianity in the territory of the Golden Horde and the Ilkhanate Khanate.

The First Catholic Missionaries in Georgia within the Context of Georgian Foreign Policy toward Europe

**Key Words:** Papacy, Georgia, Missionaries

The papacy started sending missionaries to Georgia in the first half of the 13th century. Franciscan nuns were the first to arrive here, as it is evident from the letter of Pope Gregory IX dated April 16, 1234.<sup>1</sup> The Pope also mentions the name of the brother who came to Georgia before 1234 and who was told about the benevolent attitude shown by the queen Rusudan towards the missionaries. It was Jacob de Russano, a brother of the Order of Minorities.<sup>2</sup> From the same letter, we also learn the purpose of sending the followers of the Order - to preach Catholicism to “*Christian people, even those who have not perceived the Lord and have not taken the name of the Lord in vain*”.<sup>3</sup> In his work, Prof. Murman Papashvili formulates the opinion according to which brother Jacob de Russano must have arrived in Georgia before that, in 1221 and 1228.<sup>4</sup>

Despite the Mongol invasion of Georgia in 1235 and our conquest, they did not prevent Catholic missionaries from staying here. This can be explained by the religious tolerance of the pagan Mongols, who considered the will of their first commander, Genghis Khan. They did not oppress the representatives of other religions for economic or political-religious reasons and allowed the population to freely practice their confession even on the conquered lands.<sup>5</sup> This should also be evidenced by the fact that Pope Gregory IX sent eight more missionaries to Georgia in 1240, who founded their own monastery after arriving here.

In the same year, Dominican nuns also arrived in Georgia. Their number further increased in 1245 at the initiative of Pope Innocent IV. Unfortunately, the data about exact number of Franciscan and Dominican missionaries in Georgia at that time is unavailable, although their number was quite large, since it was constantly growing from the 30s of the 13th century.<sup>6</sup> Their arrival to the Georgians continued unceasingly until 1258. This year, a new wave of Catholic missionaries arrived in Georgia by the order of Pope Alexander IV.<sup>7</sup>

Logically, the question emerges: what was the need to send nuns of two orders to Georgia, which is not so big in terms of territory? What were the goals of the popes when they constantly increased the number of missionaries with us? It is obvious that their mission was not only to convert Georgians to the Catholic faith. Especially considering that in the beginning of the 30s of the 13th century it is obvious from the epistolary legacy between the popes and the Georgian monarch Rusudan - the ecclesiastical unity between Mtskheta and Rome should not have been broken yet.

To answer these questions, we consider it necessary to recall and connect several significant events. First of all, it should be noted that by the end of the 1240s, rumors spread in Europe that the Mongols believed in one God, and their leaders were Christians or sympathetic to

---

1 Tabaghua, I. 1984. „Georgia in European Archives and Libraries. (XIII-XVI cc.)“, v. I. Tbilisi, p. 184-185

2 Papashvili M. Relations of Georgia and Rome VI-XX cc. p. 83-84.

3 Tabaghua I. 1984. „Georgia in European Archives and Libraries. (XIII-XVI cc.)“, v. I. Tbilisi, p.185.

4 Papashvili M. 2019. “Georgia in the context of the west’s Eastern policy and the union of churches (XIII-XIV centuries)”, Tbilisi, Sachino, p.146.

5 Evaniseli G. 2022. The religious toleration policy of the Mongols and its diplomatic significance for relations with the Holy See in the thirteenth century. *Tsuti. The international scientific journal of Humanities*. Tbilisi. Georgia. №1. P. 127-134.

6 Papashvili M. Relations of Georgia and Rome VI-XX cc. p. 84=85.

7 Tamarashvili M. 1902. “History of Catholicism among Georgians with introduction and explanation of real documents from the XIII century to the XX century.” Tbilisi. p. 18.

Christianity.<sup>8</sup> Until the 40s of the 13th century, the Pope of Rome could not pay proper attention to the Mongols, because he also had a serious problem in Europe due to the ongoing conflict with Friedrich II Staufen. Nevertheless, after the restoration of stability, Pope Innocent IV convened a church council in Lyon, where one of the main issues for discussion was the Mongols, that is, the same Tatars.

Archbishop Peter, the representative sent by Mikhail son of Vsevolodi - the Prince of Chernigov was also present at the Lyon church council convened in 1245. Chief Michael, visiting Hungarian King Béla IV for the sake of kinship<sup>9</sup> considered it necessary to send a church steward to the Pope to find out whether Europe could provide adequate assistance against the Mongols.<sup>10</sup> The above-mentioned Archbishop Peter answered ten questions regarding the Mongols. The narrative about the beliefs of the “barbarians” is especially important for us out of his answers. When asked what the Mongols believe, church steward replies that when the conquerors sent a herald to them, they passed on the following words: „*God and his son - in heaven, Chiar Khan<sup>11</sup> - on earth.*“<sup>12</sup> Based on the story of Archbishop Peter, one circumstance is very interesting. In particular, after so many years (more than ten years have passed since the battle of Kalka) their knowledge of the foreign people has not been enriched at all,<sup>13</sup> since they describe the religion of the unknown people like Christianity

These vague reports about the Mongols showed the participants of the Lyon church council that, first of all, it was necessary to urgently send a man to them to solve the church-religious problems. It was for this purpose that Plano Carpini was sent by Innocent IV. This is evidenced by the Pope’s Epistle, the content of which is conveyed by the Franciscan monk himself. According to him, the Pope only wants Tatars and Christians to live peacefully together. They should be ascended and saved, that is, to accept Christianity.<sup>14</sup>

After the journey of the Franciscan monk Plano Carpini with the Mongols, the rumors spread in Europe about the recognition of one god by the Mongols were further strengthened, as the latter noted in his work: „*They [Mongols G.E.] believe in one God, whom they consider to be the creator of everything visible and invisible...*“<sup>15</sup> Franciscan monk Guillaume Rubrouck, who came to the Mongols almost ten years later, wrote about the same thing: „*We [The author attributes the mentioned words to Mangu, the great Khan of the Mongols G.E.] Mongols believe, that there is only one God, who alone gives life and death...*“<sup>16</sup>

Franciscan missionaries bringing similar messages from the East and spreading them to new people opened the way for Latin missionaries - Dominicans and Franciscans to Proselytism.

---

8 Jackson P. 2014. „The Mongols and The West, 1221 – 1410“. New York. 256.

9 Chief of Chernigov Mikhail son of Vsevolodi married Anna, daughter of Bela IV.

10 Pashuto, V.T.. 1950. “Essays on the history of Galicia-Volyn Rus.” Moscow. page 62

11 According to Archbishop Peter, the Tatars had 12 leaders, the eldest of whom was Tatarkhan, and his son was the aforementioned Chiarkhan, who in turn had three sons: Tesirkhan, Churikhan and Batatarkhan. Bird J. Peters E. Powell J. M. 2013. “Crusade and Christendom: Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of Acre, 1187-1291”. Philadelphia. P. 327.

12 Pashuto, V.T.. 1950. “Essays on the history of Galicia-Volyn Rus.” Moscow. page 63; Bird J. Peters E. Powell J. M. 2013. “Crusade and Christendom: Annotated Documents in Translation from Innocent III to the Fall of Acre, 1187-1291”. Philadelphia. P. 328.

13 Pashuto, V.T.. 1950. “Essays on the history of Galicia-Volyn Rus.” Moscow. page 64-66

14 Carpini, P. 1942. “History of the Mongols, whom we call Tatars.” Tbilisi p. 48

15 Ibid. 10

16 Rubrouck G. 1942. “Journey to Eastern Countries”. Tbilisi p. 147.

They had high hope to convert Mongols to Christianity through active preaching.

The mentioned reason was added to the desire of cooperation with the Western Catholic world on the part of the Ilkhanate Empire - one of the political units formed as a result of the collapse of the Mongol Empire. This was due to the defeat of the latter against the Egyptian Sultanate in the battle of Ain Jalut. This showed the Mongols that without help they would not be able to deal with the enemy.<sup>17</sup> Thus, there was a desire for collaboration on both sides, which was determined by the fight against a common enemy (the Egyptian Sultanate).<sup>18</sup>

In 1253-54, by the orders of Louis IX – the king of France Guillaume Rubrouck and Bartholomew of Cremona were with the Mongols. In addition to preaching Christianity to the Mongols, they were designated to involve the latter in the anti-Egyptian campaign. As it is obvious, the main task of the missionaries was to spread Catholicism in the East and promote the political goals of the West.

The Franciscans settled earlier than the Dominicans both in the kingdom of the Ilkhanate and in the Golden Horde. After 1298, they reached Kaffa, which was the most important Genoese trade city in the northern Black Seaside. Kaffa became the stronghold of both orders for preaching to the Golden Horde. As for the Ilkhanate, they had such centers in Sivas, Salmas and Tabriz in the 1270s, and the Dominicans - in Sivas and Baghdad.<sup>19</sup>

In 1295, Ilkhanate Khan of Kazan converted to Islam, thus Europe lost an ally against the Sultanate of Egypt. Although the same Kazan Khan and his heir Oljait tried not to spoil the relationship with the Catholic West, the religious difference, in our opinion, still put a serious strain on their relationship. Especially the trust factor was affected. It should be noted here that the preaching of Catholic Christianity with the Ilkhans continued even after that.

1992 წელს წმინდა საყდარმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო და თბილისში თავისი სრულუფლებიანი დესპანი - არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი მოაწვინა. 1993 წელს, როდესაც წმინდა საყდრის არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი შეუდგა თავის საქმიანობას საქართველოში, პირველი რაც მან გააკეთა ეს იყო სამოციქულო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და ზრუნვა სასულიერო პირების მოწვევისათვის<sup>5</sup>. ერთ-ერთი პირველთაგანნი, ვინც გამოეხმაურენ არქიეპისკოპოსის ამ მოწვევას გახლდნენ წმინდა სტიგმელთა კონგრეგაციის ახალგაზრდა მღვდლები, ქალაქ ვერონიდან. მათ შორის გახლდათ ადმინისტრაციის დღევანდელი მმართველი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. სტიგმელებმა მღვდლებმა მალევე შეისწავლეს ქართული ენა და 1994 წლიდან შეუდგნენ დასავლეთ საქართველოში წმინდა მისიის აღსრულებას. 1996 წელს მამა ჯუზეპე პაზოტოს, ჟან-პოლ გობელმა სამოციქულო ადმინისტრაციის მართვაც დაავალა<sup>6</sup>. ამ პერიოდიდან მოყოლებული სამოციქულო ადმინისტრაციამ მისი მმართველის ხელმძღვანელობით მრავალი საქმე ითავა, რათა სამრევლოების საქმიანობა გამოეცოცხლებინა და გაეძლიერებინა.

მიზეზები, რომელთა გამოც რომელიმე განსაზღვრული არეალი არ იქცევა ეპარქიად, არამედ სამოციქულო ადმინისტრაციად ყალიბდება, უნდა ვეძებოთ იმ განსაკუთრებულ სირთულეში, რაც წარმოიქმნება წმიდა საყდარსა და იმ კონკრეტულ სახელმწიფოს შორის, რომლის ტერიტორიაზეც ფუნქციონირებს სამოციქულო ადმინისტრაცია, ანდა მიზეზი შეიძლება იყოს ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის საზღვრების შეცვლა, რაც არ ინვესტ უკვე არსებული ეპარქიების საზღვრების ცვლილებას. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთის ანექსიის შემდგომ, დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის მიწების ოკუპაციისას, ან უბრალოდ იმ ვითარების გამო, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში კათოლიკე ეკლესიის სტრუქტურა ჯერ კიდევ სუსტია და შეუძლებელია ნამდვილი ეპარქიის ჩამოყალიბება. ამის ანალოგია გვქონდა გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის ფედერაციაში, სადაც თავდაპირველად სამოციქულო ადმინისტრაცია დაფუძნდა და შემდგომ არქიეპისკოპოს თადეუშ კონდრუსევიჩის ძალისხმევით რუსეთში უკვე 4 ეპარქია ჩამოყალიბდა.<sup>7</sup>

4 [https://www.vatican.va/archive/cdc/index\\_it.htm](https://www.vatican.va/archive/cdc/index_it.htm)

5 სამოციქულო ადმინისტრაციის იურისდიქციაში საქართველოსთან ერთად აზერბაიჯანი და სომხეთი გაერთიანდა და მას სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია ეწოდა ხოლო ადმინისტრაციის რეზიდენციად კი თბილისი დადგინდა.

6 პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX საუკუნეებში. გამომცემლობა „აღმაშენებელი“ თბილისი 1995 წ. გვ.338.

7 <https://www.embassypages.com/russia-ambasciata-santasede-santasede>

მეორე კითხვა, რომელიც ასევე ძალზე პოპულარულია საზოგადოებასათვის, შემდეგია: როდის დაარსდა საქართველოში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაცია?

1993 წლის 30 დეკემბერს ეპისკოპოსთა კონგრეგაციის მიერ გაცემული დეკრეტით Quo Aptius. სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციაში თავდაპირველად გაერთიანებული იყო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. 2000 წლის 11 ოქტომბერს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაარსდა ბაქოს მისია Sui Juris (ამჟამად აზერბაიჯანის სამოციქულო პრეფექტურა).<sup>8</sup> დღეს სამოციქულო ადმინისტრაცია თავის უფლებამოსილებას განავრცობს ლათინური წესის ყველა კათოლიკეზე, ვინც საქართველოსა და სომხეთში, ცხოვრობს. სამოციქულო ადმინისტრატორი იმყოფება ქალაქ თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მისი რეზიდენცია მდებარეობს ნეტარ ღვთისმშობელ მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში. ტერიტორია დაყოფილია სამ, აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს სადეკანოდ.<sup>9</sup> სადაც მოქმედებს 1996 წლის 29 ნოემბრიდან სამოციქულო ადმინისტრაციის მმართველი გახლავთ ჯუზეპე პაზოტო (CSS – წმიდა სტიგმატების კონგრეგაცია).<sup>10</sup>

**წატომ სამოციქულო ადმინისტრაცია და არა თბილისის ეპარქია?**

ამის მიზეზი ის ფაქტია, რომ კათოლიკე ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიას ჭეშმარიტ ეკლესიად აღიარებს, მიუხედავად იმისა რომ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები ზიარებაში არ იმყოფებიან კათოლიკე ეკლესიასთან; აღიარებს ასევე მის იერარქიას, რის გამოც, ნიკეას კრების (325) მერვე კანონის მიხედვით, არ შეიძლება ერთ ქალაქში იმყოფებოდეს ორი ტიტულოვანი ეპისკოპოსი; <sup>11</sup>ეს არის ძლიერი საეკლესიო და ეკუმენური ნიშა მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. ნიკეას კრების ეს კანონი აღიარებული და ყოველთვის დაცულია კათოლიკე ეკლესიის მხრიდან. რაც შეეხება მართლმადიდებელ ეკლესიებს, ისინი 1920 წლამდე იცავდნენ ამ კანონს.

**რა განსხვავებაა ეპარქიასა და სამოციქულო ადმინისტრაციას შორის, ეპარქიის ეპისკოპოსსა და სამოციქულო ადმინისტრატორს შორის?**

წმინდა საყდრის კანონიკური სამართლის კოდექსის 369-ე მუხლის მიხედვით (იგივე, რაც Cristus Dominus 11): „ეპარქია არის ღვთის ხალხის დანაყოფი, რომლის სამწყსო ზრუნვა აკისრია ეპისკოპოსს, სამღვდელთაგანთან თანამშრომლობით, იმგვარად, რომ საკუთარ მწყემსთან კავშირში მყოფი და მის მიერვე შეკრებილი, სახარებისა და ევანჯელიის მეშვეობით სული წმიდაში აყალიბებს ადგილობრივ ეკლესიას, სადაც ჭეშმარიტად ჩანს და მოქმედებს ქრისტეს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. ხოლო სამოციქულო ადმინისტრაცია, როგორც ზემოთ განვმარტეთ, „არის ღვთის ხალხის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც საგანგებო და განსაკუთრებულად ღრმა მიზეზთა გამო არ არის დაარსებული ეპარქიად უმაღლესი პონტიფიქსის მიერ და მასზე სამწყსო ზრუნვა ეკისრება სამოციქულო

<sup>8</sup> <https://easydiplomacy.com/en/ambasciate-straniere/embassy-of-azerbaijan-to-the-holy-see/>

<sup>9</sup> სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის იურისდიქცია დე იურე და ასევე დე ფაქტო ვრცელდება აფხაზეთის ტერიტორიაზეც. 2000 წლებიდან სოხუმში ამოქმედდა წმ. სიმონ კანანელის კათოლიკური საკრებულო.

<sup>10</sup> <https://vaticange.org/ka/>

<sup>11</sup> ლიდი სჯულის კანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987 წ. გვ.121.

ადმინისტრატორს“.<sup>12</sup>

ამ ორი კანონის მიხედვით, სამოციქულო ადმინისტრაცია „გაიგივებულია“ ეპარქიასთან და ამიტომაც არის „ღვთის ხალხის განსაზღვრული ნაწილი“; სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსისგან განსხვავებით, აღასრულებს საკუთრივ თავის ფუნქციას, აღასრულებს „ვიკარიუსის“ (მოადგილის) ფუნქციას, ამ შემთხვევაში „დიდი პონტიფექსის სახელით“.<sup>13</sup> შეიძლება ითქვას, რომ პაპი არის სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის პირდაპირი ეპისკოპოსი და ადგილობრივი მმართველი ეპისკოპოსი, თავის მსახურებას ეწევა პაპზე და მის თანაშემწეებზე დამოკიდებულებით.

**რატომ დააარსა პაპმა იოანე XXII-მ საეპისკოპოსო ტახტი თბილისში?**

ფიქრობენ, რომ თურქების მიერ 1329 წელს საბოლოოდ დაპყრობილი ქალაქ სმირნის (დღევანდელი იზმირი) უძველესი საეპისკოპოსო კათედრის შესანარჩუნებლად, ამ კათედრის უსაფრთხო ადგილას გადატანა იქნებოდა ერთადერთი მართებული გამოსავალი. ასეთ უსაფრთხო ქვეყნად იმხანად მოიაზრებოდა საქართველოც, რომელიც, გიორგი ბრწყინვალეს გონიერი პოლიტიკის წყალობით, მონღოლთა ბატონობიდანაც გათავისუფლდა და ძველ დიდებასა და საერთაშორისო ავტორიტეტს იბრუნებდა. ამ ეპოქაში საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად აღიქმებოდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად. თბილისის სტრატეგიული მდებარეობა, მასზე გამავალი ჩინეთთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზები როგორც ახლა ასევე იმ შორეულ ეპოქაშიც, განსაზღვრავდა დასავლეთ ევროპის დაინტერესებას საქართველოთი.

მნიშვნელოვანია, რომ თავად გიორგი ბრწყინვალის უდიდესი სურვილი გახლდათ დასავლეთ ევროპასთან დაახლოება (თანამედროვე ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ინტეგრაცია), რაც დღესაც ასევე აქტუალურია. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის კათოლიკური აღმსარებლობის ევროპის ქვეყნებთან დაახლოებაში, წმინდა საყდრის და პაპების ავტორიტეტი გადამწყვეტი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ წმინდა საყდართან ურთიერთობის გამყარება, რაც თბილისში საეპისკოპოსო კათედრის დაფუძნებაში გამოიხატებოდა, ფაქტობრივად, ევროსაბჭოში განწევრიანების ტოლფასი მოვლენადაც შეიძლება განვიხილოდ. საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვა საქართველოში ამ გადანწყვეტილებას? გამოხატა თუ არა პროტესტი საქართველოს საპატრიარქომ? იმ წლებში პატრიარქები იყვნენ მიქაელ V (1325-1330) და ბასილ V (1330-1350). იმდროინდელი წერილებიდან ეს არ ჩანს (ი. ტაბაღუა, გვ. 37-48); უფრო მეტიც, პაპი მეფეს ურჩევს, რომ კარგად მიიღოს მის მიერ გაგზავნილი ეპისკოპოსი. ამ დროიდან საქართველოში შეიძლება საუბარი რომის კათოლიკე ეკლესიასა და მცხეთის კათოლიკე ეკლესიას შორის გაყოფაზე; ქართველი მეფეების პაპისადმი გაგზავნილი წერილებიდან, 1240 წლის შემდეგ, შეიძლება იმის მიხედვრაც, რომ გაყოფა უკვე არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზები ჯერ კიდევ მკაფიოდ არ იკვეთებოდა. ფაქტობრივად, ორმაგი იერარქიის (მართლმადიდებლური და ლათინური წესის კათოლიკური) არსებობა ქრისტიანულ ქვეყანაში იმაზე მიაჩნებოდა, რომ ეკლესიებს შორის უკვე აღარ იყო სრული თანაზიარება, რამდენადაც ეკლესიის იმ ნაწილის იერარქიას, რომელიც აღარ

<sup>12</sup> <https://vaticange.org/ka/>

<sup>13</sup> <https://vaticange.org/ka/>



ცნობდა რომის ეპისკოპოსის ავტორიტეტს, არ შეეძლო მიეღო ეკლესიის ის ნაწილი, ვისაც სურდა რომის ეპისკოპოსთან ზიარების შენარჩუნება; აქედან იჩენს თავს ახალი იერარქიის, ახალი ტახტის აუცილებლობა; საეპარქიო ტახტის გადმოტანა თბილისში აჩვენებს როგორც პატივისცემას მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მიმართ, ასევე სამწყსო ზრუნვის აუცილებლობას რომის პაპთან ზიარებაში მყოფი მორწმუნეების მიმართ. სამწუხაროდ, როდესაც ერთიანი საქართველოს სამეფო დაიშალა, ფეოდალურ შინაომებში ჩაერთო და რეგიონალური მნიშვნელობა დაკარგა, ქრისტიანული მისიისთვის ხელშეწყობაც აღარ შეეძლო, წმინდა საყდარი იძულებული გახდა თბილისის კათედრა გადაეტანა უფრო უსაფრთხო და კომუნიკაციის მხრივ მოსახერხებელ ქალაქში.<sup>14</sup>

თუკი სამოციქულო ადმინისტრაციის **30 წლის** თავს აღვნიშნავთ, გამოდის, რომ კათოლიკე ეკლესია მანამდე არ არსებობდა საქართველოში?

ცხადია, არა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას მერე, რაც საქართველოში სახარების ქადაგება დაიწყო (პირველი საუკუნე და შემდეგ მეოთხე საუკუნე), იმ დროიდან შეიძლება და უნდა ვსაუბრობდეთ კიდევ ეკლესიის არსებობაზე, რომელიც შეუძლებელია კათოლიკე არ ყოფილიყო, რადგანაც სამოციქულო მრწამსის მალიარებელი იყო. დასაწყისში არავინ ყოფდა ეკლესიებს იმგვარად, როგორადაც დღეს, ანუ მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებად; ვინაიდან, საეკლესიო სწავლების თანახმად, თუ ეკლესია ჭეშმარიტია, მაშინ ის არის ერთიანი, წმინდა, სამოციქულო; მხოლოდ ამ შემთხვევაში ეკლესია არის კათოლიკე და, ამასთანავე, მართლმადიდებელი. ეკლესიის სახელდება კათოლიკედ ან მართლმადიდებლად მე-11 საუკუნეში გაჩნდა დიდი სქიზმის შედეგად. თუმცა, როგორც ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მამა ივ კონგარი წერს, მანამდეც, მთელი პირველი ათასწლეულის მანძილზე, რომსა (დასავლეთის ანუ ლათინური ეკლესია) და კონსტანტინოპოლს (აღმოსავლეთის ბერძნული ეკლესია) შორის ურთიერთობებს თითქმის 500 წელი სხვადასხვა განხეთქილებები აფერხებდა. მრავალრიცხოვანი ისტორიული წყაროების თანახმად, საქართველოში არსებულ ეკლესიასა და რომის ეკლესიას შორის კავშირები მუდამ არსებობდა და ეს ურთიერთობები ხშირად ინტენსიურ ორმხრივ სახეს იძენდა.

**და ბოლო, მნიშვნელოვანი კითხვა: განვლილი 29 წლის მანძილზე კერძოდ რისი განხორციელება შეძლო კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში?**

ძნელია ყველა იმ საქმისა და აქტივობის ჩამოთვლა, რაც განვლილი პერიოდის მანძილზე სამოციქულო ადმინისტრაციამ განახორციელა, თუმცა უმთავრესი გაფანტული და მოძღვრის გარეშე დარჩენილ კათოლიკეთა მოძიება და ახალი საკრებულოების შექმნა (დღეისათვის 30-მდე მოქმედი ლათინური წესის საკრებულოა; გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე 17 სომხური წესის და ასურულ-ქალდეური წესის ორი საკრებულო მოქმედებს). საბჭოთა რეჟიმის დროს მთელ კავკასიაში მხოლოდ წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარი ფუნქციონირებდა; სხვა კათოლიკური ეკლესიები დაიკეტა და არამიზნობრივად გამოიყენებოდა... ეს იყო ძალიან კარგი პერიოდი რწმენის დამოწმებისათვის, თუ როგორ უფრო ხილდებოდა და იცავდა რეპრესიების პერიოდში თავის რწმენას კათოლიკეთა არცთუ მცირე რიცხვი. აქვე

<sup>14</sup> ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019წ. გვ. 22-23.

აღვნიშნავ, რომ სამხრეთ საქართველოში, ქართველმა და სომეხმა კათოლიკეებმა თითქმის ყველა სატაძრო ნაგებობა შეინარჩუნეს, 80-იან წლებში შეაკეთეს კიდეც და იქ სახელმწიფოს მხრიდან არარეგისტრირებული, მაგრამ, ფაქტობრივად, მოქმედი რელიგიური გაერთიანებები ფუნქციონირებდა. არ გვინდა ვინმემ ჩაგვითვალოს მიკერძობებაში, მაგრამ მსგავსი პრეცედენტი, ისევ საბჭოთა ხელისუფლების მონაცემებით, მხოლოდ კათოლიკე აღმსარებლობის მიმდევრებში ფიქსირდებოდა<sup>15</sup>.

სამოციწეულო ადმინისტრატორის უპირველეს ამოცანად 1937 წელს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული წმ. მარიამის ზეცად აღყვანების ტაძრის დაბრუნება, საფუძვლიანი რესტავრაცია და ამოქმედება დაისახა. ქართველ და იტალიელ არქიტექტორებისა და სპეციალისტების მონაწილეობით ტაძარი საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა და 1999 წელს პაპის საგანგებო წარმომგზავნილმა არქიეპისკოპოსმა ჟოვანი ბატისტა რემ ახლად აკურთხა ტაძარი. იმავე წლის 9 ნოემბერს, თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პაპმა იოანე-პავლე II-მ ეპისკოპოსობა უბოძა მამა ჯუზეპე პაზოტოს. ეპისკოპოსად ხელდასმის ცერემონია კი შედგა 2000 წლის 6 იანვარს, რომში წმ. პატრეს ტაძარში... ამით აღსრულდა მრავალსაუკუნოვანი სურვილი საქართველოს კათოლიკე მრევლისა, რომ თბილისში კვლავ ყოფილიყო კათოლიკე მღვდელმთავარი.

სამოციწეულო ადმინისტრაციის დამსახურებაა სტრუქტურულად გამართული საეკლესიო ცხოვრება: სამრევლოები, კურია, სამწყსო საბჭოები, ბერ-მონაზვნური საკრებულოები, კომისიები, ფორმაციული შეხვედრები, კატექიზაციები, პილიგრი-მობა, სამეცნიერო სიმპოზიუმები, საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა; მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 2006-7 წლებში სინოდური კრების გამართვა. სამოციწეულო ადმინისტრაციამ მოამზადა, თარგმნა და გამოსცა ლიტურგიის წიგნები, კატექიზმები, თეოლოგიური ლიტერატურა, ააგო სამღვდლო და სამრევლო სახლები, მოაწყო სამლოცველოები იქ, სადაც სატაძრო ნაგებობა არ იყო (ბორჯომი, უნა, სანავარდო, აბასთუმანი...), სახლები საზაფხულო შეხვედრისათვის (წეროვანი, ორპირი, ხიზა-გურგენიანი, ხელვაჩაური), აიგო ახალი ტაძრები: ახალშენში, ბათუმში, ვარგაშში, ოზურგეთში, ჭიათურაში, გასულ წელს კი ქ. რუსთავში; საფუძვლიანი რეკონსტრუქციები ჩაუტარდა თბილისის ქალწულ მარიამის ზეცად აღყვანების, არლის, ვალეს, რაბათის ტაძრებს, ქვეყნდება ეპისკოპოსის ყოველწლიური სამწყსო ეპისტოლეები, სისტემატურად გამოიცემა ყოველთვიური კათოლიკური მაცნე „საბა“; დააფუძნა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, მხარი დაუჭირა და გააძლიერა კარიტასის ქსელის საქმიანობა, დააფუძნა წმ. კამილოს სამკურნალო პოლიამბულატორია, სისტემატურად ზრუნავს ადგილობრივ მღვდელმსახურთა მომზადებაზე, თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან და მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს სამოციწეულო ეკლესიასთან თანამშრომლობას (შეხვედრები კათოლიკური ეკლესიის საკუთრებაში არსებული ქონების დაბრუნების საკითხებზე, გადანათვლის პრობლემები, შერეული ქორწინებები, პატროლოგიურ, ბიოეთიკურ, ოჯახის საკითხებზე გამართული ერთობლივი სიმპოზიუმები და სხვ.). ვფიქრობთ, რომ ეს ცოტა არ არის ეკლესიისათვის, რომლის მრევლიც ქვეყნის მოსახლეობის 1%

<sup>15</sup> ბარდაველიძე ნ. კათოლიკური ეკლესია საქართველოში, მოკლე ქრონოლოგიური ინფორმაცია, კრებ. რელიგია და საზოგადოება III, თბილისი 2004. გვ.65.

შეადგენს და თავისუფალი საქმიანობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს.

მიუხედავად სიმციროსა, კათოლიკე მრევლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს კულტურასა და ისტორიაში. საუკუნეების მანძილზე, კათოლიკე მისიონერებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ფასდაუდებელი ისტორიული და ეთნოლოგიური მასალა შემოგვინახეს. ისინი ექიმები და მხატვრები იყვნენ, თავისი განათლებითა და სულიერებით იზიდავდნენ მეფე-მთავრებსა თუ სასულიერო იერარქებს. მათ ყველაზე მეტად ენდობოდნენ საქართველოს მეფეები, ანდობდნენ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მიმონერას; როდესაც საქართველოსა და ევროპას შორის ერთიანობის აღგენა და დაახლოება უკვე რეალობად იქცა, ისინი იყვნენ პირველი დესპანები ქრისტიანულ ევროპასა და მტრებით გარშემორტყმულ საქართველოს შორის. განსაკუთრებული მადლიერება გვიპყრობს ქრისტეს რწმენისათვის თავგანწირული იმ ათეულობით კათოლიკე მღვდლისადმი, რომლებიც შუა საუკუნეებისა თუ ახალი დროის ძნელბედობის უამს, კეთილი მწყემსივით თავს დებდნენ საქართველოსთვის. ქვეყნისთვის, რომელიც მტრულ გარემოში მედგრად ინარჩუნებდა მაცხოვრის რწმენას და მის ეკლესიას. კათოლიკე ეკლესია საქართველოში დღესაც ამ საუკუნოვანი ტრადიციების ერთგული დამცველია და საქართველოს კათოლიკეებს თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყნის ცხოვრებაში და ევროინტეგრაციულ პროცესებში.

მოხსენება გვსურს დავასრულოთ 2016 წლის 30 ოქტომბერს, თბილისში ვიზიტისას, პაპ ფრანცისკეს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს წარმოთქმული სიტყვებით: „საქართველოში კათოლიკე ეკლესიას საუკუნეების მანძილზე შეჰქონდა თავისი დიდი წვლილი საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში. ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენი საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართა სასიკეთოდ გაჩეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით“<sup>16</sup>.

### ბიბლიოგრაფია

- ვატიკანის მეორე კრება, კონსტიტუციები, დეკრეტები, დეკლარაციები, თბილისი 2006წ.  
კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო, Libreria Editrice Vaticana, Citta del Vaticano. 1997.  
პეტროზილო, პ. ქრისტიანობის ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამოც., 2011წ.  
პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX საუკუნეებში. გამომცემლობა „აღმამენებელი“ თბილისი 1995 წ.  
დიდი სჯულის კანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987 წ.  
ბარდაველიძე ნ. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი 2019 წ.  
კრებ. რელიგია და საზოგადოება გამომცემლობა „კავკასიური სახლი“  
ჟურნალი „საბა“, საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე.

<sup>16</sup> პაპის ვიზიტი საქართველოში, ჟურ. „საბა“: N10 (250),. 2016..6.

**Gabriele Bragantini**

*Professor, Sulkhani-Saba Orbeliani University*

**Nugzar Bardavelidze**

*Professor, Georgian Technical University*

## **APOSTOLIC ADMINISTRATION OF THE CATHOLIC CHURCH IN GEORGIA FROM THE FOUNDATION TO THE PRESENT DAY**

**Key words:** Holy See, Apostolic Administration, Latin Rule, Catholic Church, Diocese of Tbilisi.

### **Abstract**

In 2023, the thirty years of the restoration of the apostolic administration of the Catholic Church in Georgia will be completed, this is a kind of small anniversary, although it may be an insignificant date for the history of Christianity, but it is an important date in the life of the Catholic Church of the Latin rule in our country. After the declaration of Georgia's independence and recognition of our sovereignty at the international level, it became possible for the Holy See to open a diplomatic representation - embassy in Tbilisi. Vatican - after Germany, the USA, neighboring countries (this list also includes UN and OSCE missions), it is the tenth state that has established permanent diplomatic relations with Georgia.

After the establishment of the diplomatic mission, it became possible to restore the apostolic administration of the Catholic Church in Georgia and the South Caucasus. The Roman Catholic Church, which was subjected to unprecedented persecution and harassment in Georgia first by the Russian tsarism and then by the Soviet regime, was given the opportunity to develop freely after gaining independence. If until the 90s of the last century, there were only two or two registered Catholic churches and two Catholic priests in the entire Caucasus, after just twenty years, more than thirty Catholic councils of the Latin order have been established in Georgia, and ten monastic missions are operating.

After the independence of Georgia, the Armenian and Assyrian Catholics were given the opportunity to restore the right that was taken away during the Soviet regime, to have Armenian-Catholic and Assyrian-Chaldean Catholic councils. A new Assyrian-Chaldean temple was built in Tbilisi and the Assyrian Culture Center was opened. Currently, there are 19 Armenian-Catholic and 2 Assyrian-Chaldean parishes operating on the territory of Georgia, which also have their own church buildings.

The Catholic Church of the Latin Order was able to regain its centuries-old niche, becoming the flagship of education in the Caucasus. Georgian youth received priestly ordination and are engaged in fruitful pastoral service in different regions of the country; All this is the fruit of the tireless service of the apostolic administration and its manager, Bishop Giuseppe Pazzoto, who, with the support of the Holy See's ambassador, is engaged in his pastoral mission in Georgia and the South Caucasus.

The merit of the apostolic administration is the structured church life: parishes, curia, pastoral councils, monk-monastic councils, commissions, formation meetings, catechizations,

pilgrimages, scientific symposia, participation in international meetings; The holding of the synod meeting in 2006-7 should be considered an important event. The apostolic administration prepared, translated and published liturgy books, catechisms, theological literature, built priest and parish houses, organized chapels where there was no church building.

Despite the small size, the Catholic parish played an important role in the culture and history of Georgia. Over the centuries, Catholic missionaries have brought us invaluable historical and ethnological material about different parts of Georgia. They were doctors and artists, with their education and spirituality, they attracted kings and princes or religious hierarchs. The kings of Georgia trusted them the most, they trusted them with important diplomatic correspondence; The Catholic Church in Georgia is still a faithful defender of these centuries-old traditions, and Georgian Catholics make their modest contribution to the country's life and European integration processes.



მურმან პაპაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## XI-XVIII საუკუნეების საქართველოს ორიენტაცია ევროპაზე წმინდა ტახტთან ურთიერთობის კონტექსტში

(ფაქტები, წყაროები, დასკვნები)

შესავალი. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას რელიგიური ფაქტორი განსაზღვრავდა, რომელიც ქართულ სინამდვილეში არასოდეს ქმნიდა ეკლესიათა შორის ურთიერთობის პრობლემებს. უფრო სწორად, რელიგიური ფაქტორი, და არა კონფესიური, იყო ის ფუნდამენტი, რომელზეც შენდებოდა ევროპული საგარეო პოლიტიკა. ამის გარკვევა და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ პაპობასთან ურთიერთობის კონტექსტში.

ურთიერთობის სათავეებთან. წმინდა ტახტსა და საქართველოს შორის საკვანძო ისტორიული მნიშვნელობის ურთიერთობა ჯვაროსნული ომების ხანაში დაიწყო და მან გამოავლინა: პირველი, ევროპის ქვეყნების მსგავსად, ჯვაროსანთა მოძრაობამ შეაღწია საქართველოს რელიგიურ, სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართულ მენტალიტეტში იგი საერთო მტრის წინააღმდეგ მოქმედების საზიარო იდეალს ასრულებდა. ამ ბრძოლაში საქართველო ლათინური დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირეა,<sup>1</sup> მაგრამ ქართული სახელმწიფო იმ საზღვრებში მოქმედებდა, სადაც მისი ინტერესების დაცვა იყო შესაძლებელი; მეორე, საქართველოს მეფეს დავით IV აღმაშენებელს (1089-1125) ჯვაროსნებთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა.<sup>2</sup> პირდაპირ ბრძოლის ველზე გაეცნო ევროპა და საქართველო დიდგორის ომში. ამ მსოფლიო ღონის ბრძოლაში (1121 წ.) 200 ევროპელი რაინდის მონაწილეობა მუსლიმთა ფართო კოალიციის წინააღმდეგ საერთო ქრისტიანულ საქმეს წარმოადგენდა და ამით ამ ომს საერთაშორისო მნიშვნელობა ეძლეოდა.<sup>3</sup> დიდგორმა საქართველო მუსლიმთა წინააღმდეგ "...წინა ბურჯად..."<sup>4</sup>, ანუ დასავლური ქრისტიანობის ფორპოსტად აქცია.

1 ავალიშვილი, ზ. (1989). „ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, გვ. 30-32.

2 ავალიშვილი, ზ. (1989), გვ. 45.

3 პაპაშვილი, მ. (2011). „საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში“, პრომები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, გვ. 127-128.

4 ავალიშვილი, ზ. (1989). გვ. 18.

ამდენად, წმინდა ტახტსა და დასავლელ ჯვაროსან მესვეურებს საქართველოსთან ურთიერთობა აღქმული ჰქონდათ საერთოქრისტიანულ და საერთოევროპულ კონტექსტში. მესამე, IV ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1202-1204) ბიზანტიის წინააღმდეგ ჯვაროსნებისა და საქართველოს სამეფო კარის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა.<sup>5</sup> ჯვაროსანთა მეთაურების მიერ კონსტანტინოპოლის პირველმა ალემამ (1203 17 ივლისი) კატალიზატორის როლი შეასრულა თამარ მეფის (1184-1213) კარის მიერ საქართველოს გავლენას დაქვემდებარებული ტრაპიზონის იმპერიის დაარსების გეგმის შემუშავებაში, რაც ბიზანტიის დედაქალაქის საბოლოო დაპყრობის შემდეგ წარმატებით დაგვირგვინდა; საკუთრივ, ლათინთა იმპერიის დაარსება, მეტი ალბათობით, საქართველოსათვის უფრო სასურველი იყო, ვიდრე ბიზანტიის აღდგენა, რადგან იგი შესაძლოა, უფრო რეალური მოკავშირე აღმოჩენილიყო თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის საფუძველს წმინდა ტახტის ჯვაროსნული იდეა ქმნიდა, რადგან პაპობა ერთნაირად გამოდიოდა აღმოსავლელი ქრისტიანების დასაცავად. ამიტომ სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ პაპი ინოკენტი III ჯვაროსნული მიზნით “დაუკავშირდა საქართველოს, რომელიც წინ მიიწევდა დიდ სომხეთში მუსლიმების დამორჩილების ხარჯზე”;<sup>6</sup> ასევე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საქართველოს სამეფო კარი კონსტანტინოპოლის ალემას, რომლის პროვოცირებაც თავად ბიზანტიამ მოახდინა,<sup>7</sup> უპრეცედენტო მოვლენად არ განიხილავდა. პირიქით, ლათინურ დასავლეთთან და მის სულიერ მეთაურთან საქართველოს არანაირი რელიგიური პრობლემა არ ჰქონდა.<sup>8</sup>

პირველი შედეგები. პირველი ოთხი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში განვითარებულმა ურთიერთობებმა რელიგიურად გამოკვეთა, რომ საქართველოსა და დასავლურ ქრისტიანულ სამყაროს შორის დიდი სულიერი და ბუნებრივი კავშირი არსებობდა. რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი შენარჩუნებული იყო. ქართველთა სავანეებს ლათინები პალესტინაში არ შეეხებინ. უფრო მეტიც, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის ალემის შემდეგ (1204) ათონის ქართველებმა პაპის იურისდიქცია აღიარეს და ჟამის წირვის უფუარი პურით შესრულება დაიწყეს, რისთვისაც ბერძნებმა მათთან კავშირი განწყვიტეს.<sup>9</sup> წმინდა მინაზე არსებული ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, მაგრამ ამან გავლენა ვერ მოახდინა მათ თვითმყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჯერ კიდევ არ შეიმჩნეოდა ანდა არ ამჩნევდნენ. <sup>10</sup> თუმცა წმინდა

5 დანვრ. იხ: პაპაშვილი, მ. (2019). „საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები)“, გამომცემლობა „საჩინო“, თბილისი, გვ. 96-126.

6 Richard, Jean. 1996. “Histoire des croisades. Le grand livre du mois”. Librairie Arthème Fayard, p. 306.

7 დანვრ იხ: Harris, Jonathan. 2014. “Byzantium and the Crusades”. Second Edition. London-New Delhi-New York-Sydney, pp.150-152; Queller E. Donald and Madden F. Thomas. (1997). “The Fourth Crusade: The conquest of Constantinople”. Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press, pp. 102-172;

8 პაპაშვილი, მ. 2019. გვ. 126..

9 თარხნიშვილი, მ. (1994). „წერილები“ „კანდელი“, თბილისი, გვ.38.

10 მეტრეველი, ე. (2007). „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა)“. წიგნში: „ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, ნაკვეთი I, „არტანუჯი“, თბილისი, გვ. 135-136, 138; მეტრეველი, ე. (1997). „ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებელით“. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 255-259; წურნუშია, მ. (2010). „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის

ტახტისათვის ნათელი იყო, რომ ქართული ეკლესია ბერძნულ წესებს მისდევდა.<sup>11</sup> თუ კონსტანტინოპოლისა და რომის ეპისკოპოსებმა ერთმანეთი ამოიღეს დიპტიქიდან XI საუკუნეში, ქართულმა ეკლესიამ მას ხელი არ ახლო XVII საუკუნის დასაწყისამდე.<sup>12</sup> მართალია, დიპტიქში პაპის სახელის მოხსენიება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან გაერთიანებული იყო,<sup>13</sup> მაგრამ იგი ნათლად ავლენდა რომის ეკლესიისადმი პატივისცემასა და კეთილგანწყობას.<sup>14</sup> “სწორედ ეს მიჯნავდა საქართველოს ბიზანტიური ანტილათინიზმისაგან”.<sup>15</sup> ამ ფაქტორს, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, როცა საქართველო ლათინთა ბუნებრივი მოკავშირეა,<sup>16</sup> ხოლო ბიზანტიელები განიხილებიან “მოღალატეებად”, როგორც მიზეზი წარუმატებლობისა,<sup>17</sup> შეუძლებელია პაპობაზე დიდი გავლენა არ მოეხდინა და ეს უკანასკნელი ქართული ეკლესიის მიმართ სქიზმამდელი გრძობებით არ განეწყოს.

საქართველომ ჯვაროსნობა იტვირთა. საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშამ (1213- 1223) პაპ ჰონორიუს III-ის მოწოდებით გადაწყვიტა, მიმხრობოდა მეხუთე ჯვაროსნულ (1217-1221) ლაშქრობას. ამ უკანასკნელმა ქვეყნის ინტერესები რელიგიური თვალსაზრისით გამომა და ჯვაროსნობა იტვირთა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს უმთავრესად ნაკარნახევი იყო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ მუსლიმთა მზარდი აგრესიის შედეგების გათვალისწინებით. მაშინ, როცა მუსლიმური საფრთხე “.XIII საუკუნის დასაწყისიდან...ქრისტიანთა კარზე აკაკუნებდა...”<sup>18</sup> რაინდი მეფე აღმოსავლეთში წმინდა მიწის დაცვისათვის ბრძოლაში რომის წმინდა ტახტის მესაჭესთან მოკავშირეობას საქართველოს სამხედრო-რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევდა. ეს მიზნები განუხორციელებელი დარჩა.

გიორგი IV ლაშას პოლიტიკა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში გააგრძელა მისმა დამ რუსუდან მეფემ (1223–1245), რომელმაც ასევე ჯვაროსნობა იტვირთა. “პირადად მე ვაპირებ,-წერდა რუსუდანი პაპს,- წმ. მიწებისათვის ომში მონაწილეობის მიღებას 40 ათასი მებრძოლით, რადგან, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე და ჩვენი ქვეყნის ბევრმა წარჩინებულმა თავადმა ჯვარი მივიღეთ.”<sup>19</sup>

სანამ მოტანილი წყაროს ინტორმაციის საფუძველზე დავასკვნით, მოკლედ გავიხსენებთ: როგორც ვიცით, ბიზანტიაში ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გააძლიერეს გაუგებრობები, ხაზი გაუსვა განსხვავებებს და დაადასტურა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის იდეოლოგიური გაყოფა.<sup>20</sup> საკუთრივ “...ჯვაროსნული ლაშქრობის

ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“, ქართველოლოგია 6, „უნივერსალი“, თბილისი, გვ. 69-95.

11 თვარაძე, ა. (2004). „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“, შპს „სეზანი“, თბილისი, გვ.139, 141, 142, 147.

12 ჯავახიშვილი, მ. (1997). „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV საუკუნეებში“. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, გვ. 46.

13 თინიკაშვილი, დ. (2015). „ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში“. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, გვ. 77.

14 იქვე.

15 იქვე.

16 ავალიშვილი, გ. (1989). გვ. 32.

17 Tyrenan, Christofer.( 2007). „God’s War: A New History of the Crusades“. London, p. 336.

18 Top Paul Dan. (2016). Doctoral Thesis: „Pope Innocent III (1198-1216)“ (Summary). Sibiu, p. 15.

19 ტაბაღუა, ი. (1984). „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში ( XIII-XVI სს.)“, I, „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 179; თამარაშვილი, მ. (1902). „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, „ქართ. წიგნ. გამ. ამხ.“, ტფილისი, გვ. 7-8.

20 Nicol M. Donald. (1975). “The Byzantine View of Western Europe”. M. Purcell’s Papal Crusading Policy 1244-1291, Leideo, p. 329.



მთელი დასავლური კონცეფცია, როგორც რელიგიური იდეალი, არსებითად უცხო იყო ბიზანტიური გონებისათვის.<sup>21</sup> 1204 წლის ტრაგიკულმა მოვლენამ კი განსაკუთრებული იმპულსი შესძინა ჯვაროსნულ ლაშქრობას და საბოლოო გახდა ეკლესიათა განყოფილება.<sup>22</sup> ამიერიდან ბიზანტიელებმა დასავლეთი მტრულ ბლოკად ჩათვალს,<sup>23</sup> თუმცა ეს „...არ უნდა მივიჩნიოთ იმად, რომ ბიზანტიელებმა საბოლოოდ უარი თქვეს ლათინებზე“.<sup>24</sup> წმინდა ტახტისადმი ბიზანტიელთა დამოკიდებულების ამ კონტექსტში, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, საქართველოში პაპობასთან ერთიანობის გრძნობა მეტად განამტკიცა და ეს უფრო გასაგები უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ დროს, კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა ლათინთა იმპერიის დედაქალაქს. ცხდია, ასეთ ვითარებაში ბიზანტიის თვალეებით არ შეხედავდა ქართული ეკლესია სქიზმას, არც პაპობას და არც ფილიოკვეს. ლაკონურად რომ ვთქვათ, ბიზანტიის საპირისპიროდ, რუსუდანის სამეფო კარი აღიარებდა აღმოსავლეთზე პაპის კანონიკურ პრიმატს და მას მიიჩნევდა ქრისტიანული სამყაროს სულიერ მამად.<sup>25</sup> ეს არ იყო პოლიტიკური მიზნით შემუშავებული აზრი, რადგან ასეთი საჭიროება მისი გამოთქმის დროს (1223 წ.) საქართველოს არ ედგა და რომთან ეკლესიურ კავშირს ინარჩუნებდა. წმინდა ტახტთან რეგულარული კავშირის დამყარების მიზნით რუსუდან მეფემ პაპს საქართველოში კათოლიკე მისიონერების გამოგზავნა სთხოვა.

პირველი კათოლიკე მისიონერები. პაპმა გრიგოლი IX-მ დააკმაყოფილა რუსუდან მეფის თხოვნა და საქართველოში გამოგზავნა 11 ფრანცისკელი მისიონერი, რომელთაც 1234 წლის მეორე ნახევარში დაიდეს აქ ბინა. თუ ამოვალთ იქიდან, რომ „...XIII საუკუნეში მათ ეკისრებოდათ ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგება...“<sup>26</sup>, საქართველოში, ალბათ, ამ მიმართულებითაც ეწეოდნენ საქმიანობას. სრულიად მისაღებია აზრი, „...საქართველოში წარმოგზავნილ არც ერთ მისიონერს არ უფიქრია...“, რომ კათოლიკური ეკლესიის დამაარსებლის წოდება მიეღო. „..... არც ერთ პაპს არ მიუვლენია მისიონერი ან თავისი ლეგატი საქართველოში იმ მიზნით, რომ კათოლიკე ეკლესია დაეარსებინა“.<sup>27</sup> აქედან გამომდინარე, „ამ მისიას მხოლოდ უკვე ცოცხალი რწმენის გასაძლიერებლად, კრიზისის ან სხვადასხვა “მტრების” შემოტევისას და რომის ეპისკოპოსებთან კავშირების გასაძლიერებლად მიმართავდნენ ან ქართველი მეფეების, მთავრებისა და კათოლიკოსების ამა თუ იმ თხოვნას აკმაყოფილებდნენ“.<sup>28</sup>

ფრანცისკელი მამების დაფუძნებიდან ექვსი წლის შემდეგ (1240 წ.) საქართ-

21 Nicol M. Donald. (1975), p. 329.

22 Papadakis Aristides. (1983). „Ecumenism in the Thirteenth Century“: The Byzantine Case. St. Vladimir's Theological Quarterly. Vol. 27, №3, p. 207.

23 Nicol M. Donald. (1975). p. 330.

24 Dąbrowska Małgorzata. (2015). „Drugie oko Europy. Bizancjum w Średniowieczu“: Chyomocon Wydawnictwo. Wrocław, p.49.

25 თამარაშვილი, მ. (1902). გვ. 7; Tamarati Michel. (1910). „L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos jours“. Rome, p. 415; ტაბალუა, ი. (1984). გვ. 176.

26 Paviot Jacques. (2009). „L'idée de croisade à la fin du Moyen Âge“. In: Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 153e année, N. 2, p. 868.

27 ბრავანტინი გაბრიელე. (2018). „კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს“? კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. 1. „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, გვ. 25-26.

28 იქვე, გვ.26.

ველოში დამკვიდრდა დომინიკელთა მისიონი<sup>29</sup> 1245–1258 წლებში საქართველოში გამოგზავნილ მისიონერთა ახალ ნაკადს უნდა ეზღუდა ეკლესიათა ერთიანობის მისაღწევად,<sup>30</sup> მაგრამ უცნობია, თუ რას აღწევდნენ ამ მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დროგამოშვებით, მაგრამ მაინც აგზავნიდნენ პაპები საქართველოში მისიონერებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მონღოლთა უღელ ქვეშ მოქცეული ქართველო პოლიტიკოსები და სასულიერო იერარქები პაპის სახით შესაძლებელ მოკავშირეს ხედავდნენ და ამ იმედით მისიონერთა საქმიანობას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ. რაც შეეხება ეკლესიათა გაერთიანების საქმეს, მასზე ქართველ საეკლესიო იერარქებს აღარ უზრუნიათ. მიუხედავად ამისა, ორ კონფესიას შორის ურთიერთობებს საქართველოში სპეციფიკური ხასიათი არ შეუძენია. დოქტრინალურ დონეზე კამათი არ გამართულა.

**კათოლიკობის წარმატებები.** კათოლიკე მისიონერებმა თბილისში XIII საუკუნის 60-იან წლებში „წმინდა მარტინის ქართული მონასტერი“ და მის გარდა კიდევ ოთხი მონასტერი დაარსეს.<sup>31</sup> ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ პაპობა საქართველოში მისიონერებს არ აგზავნიდა კათოლიკე ეკლესიის დასაარსებლად. თუ შუა საუკუნეების ლათინური სამყაროს მონასტრების რაობიდან ამოვალთ, რომლებიც „...საკვანძო როლს ასრულებდნენ დასავლური ცივილიზაციის განვითარებაში“,<sup>32</sup> საქართველოში დაარსებული მონასტრები, ალბათ, დასავლური კულტურით ავსებდნენ ქართულ მართლმადიდებლურ სივრცეს. ამაში უდავო დამსახურება ქართული ეკლესიის მესვეურთა პოზიტიურ ტოლერანტობასა და საქართველოში მართლმადიდებლობის მიმართ კათოლიკეთა კონფესიურ-კულტურულ ურთიერთობებს მიუძღვოდათ. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ საქართველოსა და პაპობას შორის საქმე არ მისულა კრიზისამდე. ქართველებს არ სურდათ ელიარებინათ, რომ ქართული ეკლესია ბიზანტიის სქიზმაზე შეჩერდა. ამაზე არც ერთ წერილში არაა საუბარი და რომთან “სულიერი სახლის შეერთებით” საქართველოს სამეფო კარს სურდა, თუ შესაძლებელი იყო, სქიზმამდელი დროის საათების დაბრუნება<sup>33</sup>.

**უნიის კიდევ ერთი მცდელობა.** 1303-1313 წწ. საქართველოში მოღვაწე მისიონერთა მთავარი ამოცანა ეკლესიათა უნიის საკითხის მომზადება იყო. ამას დაეფუძნა პაპ იოანე XXII-ის (1316-1334) 1322 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომ ქართული მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების უნიის მისაღწევად მოეწვია მსოფლიო საეკლესიო კრება.<sup>34</sup> ეს შეიძლება მივიჩნიოთ იმ ფაქტად, რომ ბიზანტიაში ლიონის უნიის (1274) უარყოფის შემდეგ პაპობისთვის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავისი მნიშვნელობით კონსტანტინოპოლის ადგილს იკავებდა. კიდევ მეტი, ქართულ-მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების უნია პაპობას შეეძლო ბიზანტიაზე ზემოქმედების იარაღადაც გამოეყენებინა. უცნობია რით უპასუხა საქართველოს მეფე გიორგი

29 თამარაშვილი, მ. (1902). გვ. 17; Tamarati Michel. (1910), p. 430.

30 თამარაშვილი, მ. (1902). გვ. 8.

31 ტაბალუა, ი. (1984). გვ. 90; პაპაშვილი, მ. (1995). „საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს“. „აღმამეურნეული“, თბილისი, გვ. 86.

32 Томас, Вудс. (2010). „Как католическая церковь создала западную цивилизацию“. Пер. с англ. В. Кошкина, Москва, с. 33.

33 პაპაშვილი, მ. (2019). გვ. 162.

34 თამარაშვილი, მ. (1902), გვ. 29-21; ტაბალუა, ი. (1984). გვ.207-208; პაპაშვილი, მ.(2019), გვ. 203-204.

V ბრწყინვალემ (1318-1346) რომის პაპის მოწოდებას. სავარაუდოა, უნიის იდეას საქართველოში ჰქონდა საყრდენი, მაგრამ იგი არარეალური გამოდგა. ეს იმიტომ, რომ მას მაინც ფრთხილად ეკიდებოდნენ და რომის ანალოგიურ მიზნებში თანმიმდევრულად ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იცავდნენ. ცხადია, ამას შეეძლო დასავლეთთან კავშირის განწყვეტა მოჰყოლოდა, რაც ქართველ მესვეურებს არ სურდათ. ამიტომ კათოლიკე მისიონერებს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. უნიის მოთხოვნის კონტექსტში ამის ასრულება ძნელი არ იყო და ამავე დროს უნიაზე უარის კომპენსაციას ახდენდა. ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა პაპმა იოანე XXII-მ 1328 წლის 9 აგვისტოს ბულით “Rex Regum Altissimus”<sup>35</sup> გააუქმა სმირნის საეპისკოპოსო და აღნიშნული კათედრა თბილისში გადმოიტანა<sup>36</sup>; უდავოა, პაპ იოანე XXII-ის ეკლესიათა უნიის იდეა მჭიდროდ უკავშირდებოდა მის მიერ სირია-პალესტინის დასაბრუნებლად ჩატვირთული ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმას, რომელსაც მხარს უჭერდა საფრანგეთის მეფე ფილიპ VI (1328-1350) ვალუა. ამ უკანასკნელმა პაპის რჩევით მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გიორგი V ბრწყინვალე თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაება. საფრანგეთის მეფის წერილობით წინადადებას საქართველოს მეფემ ირიბად მიანიშნა, რომ კათოლიკურ დასავლეთთან საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად დაემთხვეოდა ერთმანეთს მათი საგარეო პოლიტიკური ინტერესები და რამდენად რეალური იქნებოდა ფილიპ VI წამოწყება. გიორგი V ბრწყინვალე რეალურ ვითარებაში უარს არ ამბობდა ჯვაროსნულ იდეაზე, რომელიც ემყარებოდა კათოლიკური ევროპის პრაქტიკულ და აქტიურ სამხედრო მოქმედებას, რაც ჯერჯერობით მხოლოდ თეორიული მსჯელობის საგანი იყო.<sup>37</sup>

ამგვარად, საქართველოსა და წმინდა ტახტს შორის ურთიერთობებში ეკლესიათა უნიის სურვილი, თუნდაც პოლიტიკური მიზანდასახულობით, იყო ის ფუნდამენტი, რომელზეც იგებოდა ორმხრივი სამხედრო-რელიგიური და პოლიტიკური მიზნები. ევროპულ სამყაროში საქართველო საეკლესიო უნიის სურვილითა და ანტიმუსლიმური დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირის სახით იყო წარმოდგენილი.

**ორმხრივი გაუფორმებელი კავშირის გაგრძელება.** 1329-1507 წწ. პერიოდში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჩარჩოებში გაგრძელდა საქართველოში მისიონერთა და თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის საქმიანობა. ხილული ისტორია იცნობს ამ კათედრის 14 ეპისკოპოსის სახელს.<sup>38</sup> ეს ფაქტი ცხადად მეტყველებს, რომ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას 180 წლის მანძილზე უწყალოდ არ ჩაუვლია. ქართველთა შორის ბევრმა საერო და სასულიერო პირმა მიიღო კათოლიკობა, რაც ქართველთა მხრიდან არ გაკიცხულა და დაგმობილა. ეს ფაქტი ასევე გვაფიქრებინებს, რომ ქართველები რელიგიური შემწყნარებლობით შეხვდნენ უნიატურ იდეებს, რომლისადმი ტრადიციულად ფრთხილი დამოკიდებულება გააგრძელეს და პაპის პრიმატი საცილოდ არ გახადეს. ამდენად, უნიის გარეშეც ქართული სახელმწიფო და მისი ეკლესია აღიარებდა რომის კათედრისა და პაპის ძალაუფლების პრიმატს. ამ თვალთახედვით უყურებდა საქართველო შუა საუკუნეების

35 Tamarati Michel. (1910). p. 439.

36 თამარაშვილი, მ. (1902). გვ.32; პაპაშვილი, მ.(1995). გვ.94.

37 დანვრ. იხ: პაპაშვილი, მ.( 2019), გვ.193-240.

38 პაპაშვილი, მ. (1995). გვ.98-99.

პაპობას. მართალია, საეკლესიო ანუ რწმენაში უნიისაკენ საქართველოს მუდმივი სწრაფვა უფრო პოლიტიკური ფაქტორი იყო, ვიდრე გულწრფელი რელიგიური მიზანი, მაგრამ იგი შუა საუკუნეებში ევროპასთან კულტურული ერთობის ნიშნადაც აღიქმებოდა.

“ოსმალეთის რკინის ფარდა”. XV ს-ის II ნახევრიდან XVII ს-ის I მესამედამდე სამეფო სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს გადარჩენის ურთულესი პერიოდი ედგა. მთელი XVI ს-ის განმავლობაში საქართველო გამუდმებულ ბრძოლაში იყო ჯერ სპარსეთთან, შემდეგ კი ოსმალეთთან.<sup>39</sup> ორივე იმპერია ერთმანეთს მეთოქეობდა მედგრად მებრძოლი პატარა ქვეყნის დამორჩილებაში, რომელსაც დამხმარე-მოკავშირე არ ჰყავდა. ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა საქართველოში კათოლიკობას, რადგან ოსმალეთმა ჩაკეტა ევროპიდან საქართველოში მიმავალი გზა. საქართველოსათვის “ოსმალეთის რკინის ფარდამ” ყველაზე მეტად გაამძაფრა დასავლეთში მოკავშირის ძიების პრობლემა. აქ ისტორიული ხსოვნა მეტად მტკიცე აღმოჩნდა პაპობასთან კავშირში. ამას ნათლად ადასტურებს ქართლის მეფეების ლუარსაბ I-ისა (1527-1556) და ოსმალების წინააღმდეგ 22 წლის მანძილზე უშიშრად მებრძოლი სიმონ I-ის (1556-1569; 1578-1599) მიერ პაპობასთან დიპლომატიური კავშირის აღდგენა. წმინდა ტახტი (პაპი სიქსტუს V და კლიმენტი VIII) დიპლომატიურ ხერხებს არ იშურებდა, რომ ევროპის ანტიოსმალური პოლიტიკური ძალებისათვის საქართველოს ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ საერთაშორისო ევროპული პოლიტიკის კონტექსტში წარმოედგინა.

რომისაგან სულიერი დახმარების მოლოდინი. შაჰ აბას I-ის (1587-1629) ლაშქრობების (1614, 1616, 1617, 1625) შედეგად აღმოსავლეთ საქართველო უკიდურესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ცნობილ პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) საოცრებად მიაჩნდა პატარა ქრისტიანული საქართველოს ურიცხვი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი სიმტკიცე და გამძლეობა.<sup>40</sup> წყაროებიდან ჩანს, სასონარკვეთილი სასულიერო მესვეურები ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოში გზა გაეხსნათ კათოლიკეთა მისიონისათვის.<sup>41</sup> ქართველ სასულიერო პირთა პოზიციას პოლიტიკურად ამაგრებდა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1606-1648) მცდელობა, რომ საქართველოში გზა გახსნოდათ კათოლიკე მისიონერებს.<sup>42</sup> ეს ფაქტები იძლევა შემდეგი დასკვნის საშუალებას: შექმნილ უმძიმეს ვითარებაში ქართველი სასულიერო პირები პაპობისგან მოელოდნენ სულიერ დახმარებას, ხოლო პოლიტიკოსები მისიონერების მეშვეობით დასავლეთთან დიპლომატიური კავშირების აღდგენას და ამ გზით იზოლაციის გარღვევას. საკუთრივ პაპობას ქართველთა ინიციატივა აძლევდა იმის საფუძველს, რომ ერთის მხრივ, დაეარსებინა საქართველოში მისიონი და მეორე მხრივ, აქ კათოლიკობის გავრცელებისათვის მიენიჭებინა უპირატესობა.

თეატინელი მამები საქართველოში. XVII ს-ის პირველ მესამედში წმინდა

39 ჯავახიშვილი, ი. (1967). „ქართველი ერის ისტორია“, ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, გვ.341.

40 დანჯრ. იხ: Papashvili, M. (2017). „Pietro Della Valle e I Georgiani“. Roma e I Georgiani. Le relazioni diplomatiche tra la Georgia e la Santa Sede (1992-2017), „Studium“, Roma, pp. 199-212.

41 თამარაშვილი, მ. (1902), გვ. 85.

42 Гиви Жордания, Зураб Гамезардашвили. (1994). Римско-католическая миссия и Грузия, часть I. Издательство Тбилисского Университета, Тбилиси, с. 355.

ტახტსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელშიც ორმხრივი რელიგიურ-დიპლომატიური ინტერესები გამოიკვეთა. კერძოდ, პაპობამ დიდი ადგილი დაუთმო საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას, ხოლო ქართულმა სამეფო-სამთავროებმა პაპობასთან, ვითარცა ევროპის სულიერ ძალასთან, კავშირის მეშვეობით სცადა პოლიტიკური იზოლაციის გარღვევა და მისიონერთა დახმარებით საქართველოში მონინავე ევროპული იდეების დანერგვა. აქედან გამომდინარე, ქართველ მესვეურებს პაპის წარმომადგენლების ნებისმიერი ფორმით გამოჩენა ჩვენს ქვეყანაში მომავლის იმედს უნერგავდა.<sup>43</sup>

1628 წლის მიწურულს საქართველოში დამკვიდრებულმა თეატინელმა მისიონერებმა აქ 70 წელი იღვანეს. მათ (დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დონ კლემენტე გალანო, დონ კრისტოფორო კასტელი, დონ არქანჯელო ლამბერტი) თავიანთ ნაშრომებში (რელაციონები, ნახატები, წიგნები) ევროპელ მკითხველებს აჩვენეს, რომ ქართველთა მენტალობა, ნიჭიერება, ზნე-ჩვეულებები (მიუხედავად განსხვავებებისა), პაპობასთან სარწმუნოებრივი კავშირისადმი ლტოლვა დიდად არ განასხვავებდა ამ ხალხს ევროპელებისაგან. უფრო სწორად, ისინი მოფიქრებულად, ღრმა მინიშნებებით წარმოსახავენ ქართველთა სიახლოვეს დასავლეთ ევროპელებთან, რაც, ჩანს, მათი თანამედროვეებისათვის დანვრილებით ახსნას არ საჭიროებდა.<sup>44</sup>

განუზომლად დიდი იყო თეატინელი მამების როლი კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე. მათ მიერ დაარსებულ სკოლებში (გორი, ოზურგეთი, ზუგდიდი) სწავლა-განათლებას იღებდნენ ქართველი ახალგაზრდები. ალბათ, თეატინელთა წიფურიას (ზუგდიდი) სკოლაში მიიღო განათლება ანტონ (ანტონიო) ჯერემიამ, რომელიც 1644 წლის 8 დეკემბერს მიიღეს რომში კონგრეგაციის კოლეჯში. აქ 7 წლის სწავლით მან 22 წლის ასაკში დაიწვა დისერტაცია თეოლოგიურ მორალში.<sup>45</sup> ეს ფაქტი ნათლად ასახავს იმ ვითარებას, რომ ქართულ ნიჭსა და გენს თანაბარ პირობებში, ცივილიზებულ გარემოში, შეეძლო სწავლა-განათლების საქმეში ევროპელისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოეფლინა: დაუღალავი შრომისმოყვარეობა, საზრიანობა, მიზანდასახულობა, სწავლისადმი სიყვარული, სახელის მოხვეჭის ნიჭი და უნარი.

კაპუცინი მამები საქართველოში. XVII საუკუნის 60-იან წლებიდან წმინდა ტახტსა და საქართველოს ტრადიციულ ორმხრივ რელიგიურ-დიპლომატიურ ურთიერთობებში ახალი დინამიკური პროცესი დაიწყო, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსიურობით XIX ს-ის შუა ხანებამდე გაგრძელდა. პირველწყაროების მიხედვით, ქართლის სამეფოში კაპუცინი მამა-მისიონერების საქმიანობა ორი-საგანმანათლებლო და მისიონერული მიმართულებით გაიშალა. ამ ჭრილში ძალიან საინტერესოდ გამოიკვეთა ქართულ-ევროპული იდენტობის ერთი მახასიათებელი. კათოლიკე მამის ბერნარდო მარია და ნაპოლის დახასიათებით, ქართველები აღმოსავლეთის ყველა ხალხს

43 დაწვრ. იხ: თამარაშვილი, მ. (1902). გვ. 84-132; ტაბალუა, ი.(1987). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბილისი, გვ. 18-219; Гиви Жордания, Зураб Гамезардашвили.(1994). сс. 15-37; პაპაშვილი, მ. (1995). გვ.142-165.

44 პაპაშვილი, მ. (2011). გვ.139.

45 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №80, ფურც.23; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. 2014. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. „უნივერსალი, თბილისი, შენიშვნა 26.

შორის ყველაზე ცივილიზებული, ყველაზე უფრო განათლებული, ყველაზე უფრო კეთილშობილური, ყველაზე უფრო გამჭრიახი გონებისანი არიან.<sup>46</sup> ამავე მისიონერის ღრმა დაკვირვებით, ქართველი სასულიერო და საერო მესვეურები ორი კონფესიის განმასხვავებელ დოქტრინებზე მწვავედ, მტრულად და სიძულვილით, არასოდეს დაობდნენ.<sup>47</sup>

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში კათოლიკობამ საქართველოში ახალ სიმაღლეებს მიაღწია. პირველ რიგში ეს განპირობა, თავიდან ქართლის გამგებლის (1703-1714), ხოლო შემდეგ მეფის, ვახტანგ VI-ის (1716-1724) ევროპულმა ორიენტაციამ.<sup>48</sup> წყაროები უეჭველად ადასტურებენ, რომ სულხან-საბა ორბელიანი ის პირველი ქართველია, რომელმაც კათოლიკურ ევროპეიზმს დაუდო სათავე. მისი გეგმით ეკლესიათა უნიას საქართველოსათვის უნდა მოეტანა შემდეგი პროგრესი: პირველი, საქართველოში გზა უნდა გახსნოდა ევროპულ კულტურას, განათლებას, სამხედრო მომზადებას, ტექნიურ მიღწევებს, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და გაერთიანებას; მეორე, უნია ხელს შეუწყობდა ქართული მართლმადიდებელი სამღვდლოების კულტურის დონის ამაღლებას. ამით მართლმადიდებლობა კი არ დაკარგავდა თავის წეს-ჩვეულებებს, არამედ გამდიდრდებოდა და განმტკიცდებოდა.

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1744-1798) მმართველობის დროს, რომელიც კათოლიკობისადმი ფარულ სიმპათიას ავლენდა, კაპუჩინმა პატრებმა გარკვეული დიპლომატიური ფუნქციები შეიძინეს. ერეკლე მეფის ევროპული საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ კაპუჩინი მამები სავსებით სწორად ხედავდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში კათოლიკობის წარმატებისათვის საქართველოსა და ევროპის პოლიტიკურ დაახლოებას. მათ რეალურად გაითვალისწინეს ის მომენტიც, რომ დასავლეთისაგან პრაქტიკული დახმარების მიღების შემთხვევაში საქართველოს ევროპულ პოლიტიკაში კათოლიკობისადმი მხარდაჭერა განმსაზღვრელ როლს შეასრულებდა. ამიტომ პატრები (დომინიკე ტრიესტელი, მაურო ვერონელი) თავის უნარს, ენერგიასა და შესაძლებლობას არ აკლებდნენ, რომ M ევროპაში მათი მისია წარმატებით დაგვირგვინებულიყო, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა. საგულისხმოა კიდევ ერთი: კაპუჩინთა მისიონის პრეფექტი ანდრეა პალერმოელი სწორად ჭვრეტდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა გეორგიევსკის ტრაქტატს და რუსეთის რელიგიურ პოლიტიკას კათოლიკობის მიმართ. კერძოდ, რუსეთი, რომელიც თავის სახელმწიფოში არ იწყნარებდა კათოლიკურ სარწმუნოებას, ყოველმხრივ შეეცდებოდა, საქართველოს კათოლიკური ეკლესია მოგილევის საეპისკოპოსოსათვის დაექვემდებარებინა და ამით გაეწყვიტა საქართველოსა და წმინდა ტახტს შორის კავშირი.

დაბოლოს, ქართველი პოლიტიკოსები და არქიელები კარგად ხედავდნენ, რომ

46 ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). 2018. იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან ჰაპაშვილმა, ელდარ მამისთვალაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, „საჩინო“, თბილისი, გვ.117.

47 იქვე.

48 დანვრ. იხ: ტაბალუა, ი.(1972). „საქართველო საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი)“, „მეცნიერება“, თბილისი, გვ.110-138; ჰაპაშვილი, მ. (1991). საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 27-58.

საქართველოს იზოლაციის გარღვევის, საქართველოს ქრისტიანულ დასავლეთთან კავშირის, ქვეყნის დასავლურ კულტურასთან ზიარებისა და საბოლოოდ ამის საფუძველზე, ქვეყნის აღორძინების, სამხრეთ საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნების ერთადერთი გზა წმინდა ტახტთან კავშირზე გადიოდა.

### დამოწმებანი:

ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989.

ბრეგანტინი გაბრიელე., კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? კრებ.: „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“. 1. „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2018.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. „უნივერსალი, თბილისი, 2014.

ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, „საჩინო“, თბილისი, 2018.

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, „ქართ. წიგნ. გამ. ამხ.“, ტფილისი, 1902.

თარხნიშვილი მ., წერილები, „კანდელი“, თბილისი, 1994.

თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“, შპს „სეზანი“, თბილისი, 2004.

თინიკაშვილი დ., ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2015.

მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლით“. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, თბილისი, 1997.

მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა)“. წიგნში: „ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, ნაკვეთი I, „არტანუჯი“, თბილისი, 2007.

პაპაშვილი მ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. „აღმაშენებელი“, თბილისი, 1995.

პაპაშვილი მ., საქართველო შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროში, შრომები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011.

პაპაშვილი მ., საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), გამომცემლობა „საჩინო“, თბილისი, 2019.

ტაბალუა ი., საქართველო საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), „მეცნიერება“, თბილისი, 1972.

ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში ( XIII-XVI სს.), I, „მეცნიერება“, თბილისი, 1984.

ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, „მეცნიერება“,

თბილისი, 1987.

წერეთი მ., ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, ქართველოლოგია 6, „უნივერსალი“, თბილისი, 2010.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №80.

ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967.

ჯავახიშვილი მ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV საუკუნეებში. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1997.

Dąbrowska Małgorzata., *Drugie oko Europy. Bizancjum w Średniowieczu*. Chyomocon Wydawnictwo. Wrocław, 2015.

Nicol M. Donald., *The Byzantine View of Western Europe. M. Purcell's Papal Crusading Policy 1244-1291*, Leideo, 1975.

Paviot Jacques., *L'idée de croisade à la fin du Moyen Âge*. In: *Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres*, 153e année, N. 2, 2009.

Papadakis Aristides., *Ecumenism in the Thirteenth Century: The Byzantine Case*. *St. Vladimir's Theological Quarterly*. Vol. 27, 1983, №3,

Papashvili M., *Pietro Della Valle e I Georgiani. Roma e I Georgiani. Le relazioni diplomatiche tra la Georgia e la Santa Sede (1992-2017)*, „Studium“, Roma, 2017.

Richard Jean., *Histoire des croisades. Le grand livre du mois*”. Librairie Arthème Fayard, 1996.

Tamarati Michel., *L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours*, Rome, 1910.

Harris Jonathan., *Bizantium and the Crusades*”. Second Edition. London-New Delhi-New York-Sydney, 2014.

Tyrenan Christofer., *God's War: A New History of the Crusades*. London, 2007.

Queller E. Donald and Madden F. Thomas., *The Fourth Crusade: The conquest of Constantinople*”. Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press, 1997.

Top Paul Dan., *Doctoral Thesis: Pope Innocent III (1198-1216), (Summary)*. Sibiu, 2016.

Томас Вудс., *Как католическая церковь создала западную цивилизацию*. Пер. с англ. В. Кошкина, Москва, 2010.

Гиви Жордания, Зураб Гамезардашвили. *Римско-католическая миссия и Грузия, часть I*. Издательство Тбилисского Университета, Тбилиси, 1994.



**Murman Papashvili**

*Doctor of Historical Sciences,*

*Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**EUROPEAN ORIENTATION OF GEORGIA IN THE XI-XVIII  
CENTURIES IN THE CONTEXT OF RELATIONS WITH THE HOLY  
SEE (FACTS, SOURCES, CONCLUSIONS)**

**Abstract**

**Key words:** European orientation, Crusade, Catholic missionaries, European diplomacy.

**Introduction.** The article is devoted to the religious policy that determined Georgia's orientation towards Europe in the 11th-18th centuries. For the first time in historiography, the role of Catholic missionaries in European foreign policy, the efforts of the union of churches and the place of the Holy See in the establishment of diplomatic relations between Georgia and Western states are studied. **Materials and methods.** The study is based on primary sources, as well as the latest specialized literature. The study of the presented work was carried out using a critical analysis of sources, historical-comparative and historical-genetic methods of analysis. **Results.** Relations between Georgia and the Holy See began in the era of the Crusades, and the military-political union between these two worlds arose on the basis of a religious factor. In the 13th-18th centuries, in the fight against external enemies, the Holy See was a natural ally of Georgia and was the only channel of communication between Georgian politicians and Western states. It is emphasized that Catholic missionaries consistently introduced the idea of uniting churches in Georgia, but the Georgian side did not go for it, although it was never a subject of dispute. The opinion was expressed that Georgia is presented in the European world as a natural ally of the anti-Muslim West, with a desire for church union. **Conclusion.** The author confirms that Catholic missionaries played a decisive role in Georgia's political rapprochement with Europe. The Georgian church, subordinate to the state, shared the pro-Western policy of the political leadership of the country and maintained full tolerance towards Catholic missionaries. She understood very well that this connection in itself determined the well-being of the Georgian Church. Georgian politicians and clergy clearly saw that, having overcome the isolation of the country, uniting Georgia with the Christian West, joining Western culture and, finally, reviving Georgia on this basis, the only way was to maintain contact with the Holy See.



**ზაალ ქორთუა**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## **ოდიშის სამთავრო მე-17 ს. პირველ ნახევარში - გზი ევროპული ცივილიზაციისაკენ**

### **ანოტაცია:**

მე-17 ს. პირველი ნახევარი ოდიშის სამთავროს საგარეო პოლიტიკური კურსის კვლევის თვალსაზრისით მეტად საინტერესო პერიოდია, რადგან დასავლეთ ევროპასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებით გამოირჩევა. ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) 35 წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ატარებდა ევროპულ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც სამეგრელოში ჩამოსული კათოლიკე მისიონერების მეშვეობით ახორციელებდა. ისინი მაშინდელი კათოლიკური ევროპის პირველ პოლიტიკურ და კულტურულ წარმომადგენლებად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ მათი მეშვეობით უკავშირდებოდნენ საქართველოს პოლიტიკური მესვეურები ევროპას, ეცნობოდნენ ცივილიზებული სამყაროს მიღწევებს, ითხოვდნენ მისგან დახმარებასა და თანადგომას, გამოხატავდნენ ერთგულებას ევროპული კურსისადმი. წარმოდგენილ სტატიაში ნაჩვენებია მე-17 ს. პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროს ევროპული საგარეო პოლიტიკური კურსი და ამ მხრივ გატარებული ღონისძიებები. ლევან დადიანის ევროპული კურსი უპრეცედენტოა გვიანდელი საქართველოს სამეფო-სამთავროთა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. რაც მას განასხვავებს აღნიშნული ეპოქის სხვა პოლიტიკურ მესვეურთაგან.

**საკვანძო სიტყვები:** ლევან II დადიანი, საქართველო-ევროპის ურთიერთობები, ვატიკანი.

ევროპის ქვეყნებთან საქართველოს კონტაქტები საუკუნეთა სიღრმიდან იწყება. „მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის, პომპეუსმა საქართველოში რომი შემოიყვანა და უკვე I საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა შემოიჭრა...“ წერს ევროპაში ცნობილი იურისტი, პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი თავის სტატიაში „საქართველო და ევროპა“<sup>1</sup> (Moskheli 1953:2).

ოთხი საუკუნის წინ, ოდიშის დიდი მთავრის, ლევან II დადიანის (1611-1657) კარზე თავი მოეყარა ცივილიზებული ევროპის უგანათლებულესი ქვეყნის, იტალიის წარმომადგენლობას - სასულიერო პირებს (ბერებს\*), მკურნალ-ექიმებს, მწერლებს, მხატვრებს. როგორც უცხოური საისტორიო წყაროები მეტყველებენ, მათი ჩამოყვანა

თვით დადიანის მოწადინებით მომხდარა. ჭკვიანი მთავარი სწორად აფასებდა რეალობას. აღმოსავლეთი საქართველო ისლამის საშიშროების წინაშე დამდგარიყო; ირანი ქართლსა და კახეთს გაქრობით ემუქრებოდა. ოსმალეთი გასაქანს არ აძლევდა დასავლეთ ქართულ სამეფო-სამთავროებს, ასეულობით ტყვეს ითხოვდა მოჩვენებითი მშვიდობის საფასურად. ოდიშის სამთავრო, ისევე როგორც დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროები, სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ იზოლაციაში ექცეოდა. ოდიშის განათლებული მთავარი სწორედ ევროპელი სასულიერო პირების, მისიონერების მეშვეობით აპირებდა შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის გარღვევას და დაკავშირებას მოწინავე სამყაროსთან. დადიანის კარზე მოღვაწეობდნენ ცნობილი იტალიელი მისიონერები: არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, ქრისტოფორო კასტელი, კლემენტე გალანო და სხვები. უპირველესი ფუნქცია, რომელიც მისიონერებს ეკისრებოდათ, ეს იყო სპეციალური ინსტრუქციის საფუძველზე ადგილობრივი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და სარწმუნოებრივ-კულტურული ყოფის შესწავლა.

მოხერხებული დიპლომატიის გამოყენებით დადიანმა სიუზერენთან - ოსმალეთის იმპერიასთან მშვიდობიანი პოლიტიკა შეინარჩუნა. ის დაუკავშირდა ოსმალეთის დაუძინებელ მტერს - სპარსეთს, დაამყარა მასთან სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობები და ისწრაფოდა ამ კავშირების განმტკიცებისაკენ. ლევან II დადიანის საგარეო-პოლიტიკური მიმართულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ოსმალეთის იმპერია;
2. სპარსეთის იმპერია;
3. რუსეთის იმპერია;
4. დასავლეთ ევროპა (იტალია, ვატიკანი)

აღსანიშნავია დადიანის რუსული პოლიტიკა. თუ ის 1636 წ. რუსეთთან კონტაქტების დამყარების მიზნით ელჩობას აგზავნის (გაბრიელ გეგენავა\*), 1639 წელს რუსეთიდან გამოგზავნილ ელჩებს (ელჩინი, ზახარიევი\*) უკვე შეცვლილი ნარატივით ხვდება და უარს ამბობს სამი წლის წინ დასახულ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების კურსზე. ამ პოლიტიკურ ცვლილებას ჰქონდა თავისი საფუძველი, რაც გამოიხატებოდა სიუზერენთან (ოსმალეთთან\*) ურთიერთობის შედარებით დასტაბილურებით და ახალი ძლიერი პოლიტიკური პარტნიორის - სპარსეთის გამოჩენით. რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის ჩამნაცვლებელ ძალად შესაძლოა დადიანი კათოლიკურ ევროპას მიიჩნევდა, რომელიც ქრისტიანობის დროში შემოდიოდა და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების იმედებს იძლეოდა. 1639-1640 წწ. ევროპული მისიონი სამეგრელოში უკვე მყარად იდგა ფეხზე და ევროპასთან მიმონერაც სტაბილურად წარმოებდა.

დადიანის პროევროპული პოლიტიკური კურსი ნათლად ჩანს მის სიტყვებში, რომელიც მან დომინიკანელ ჯოვანი ჯულიანო და ლუკასთან წარმოთქვა: „ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელს მსოფლიოში. ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი ენახათ და გვერდით ჰყოლოდათ ამ ერის წარმომადგენლები“<sup>2</sup> (ტაბალუა, 1987; 161) 1615 წელს ის იეზუიტ მღვდელ ლუი გრანჟესთან აღნიშნავს რომ ის „დიდ პატივს სცემს რომის ეკლესიას და მის მთავარს – პაპს...და რამდენადაც პაპი მორწმუნეთა

მამაა, ყველა მას უნდა დაემორჩილოს.<sup>43</sup> (თამარაშვილი; 139; ტაბალუა; 49).

მშვიდი და სტაბილური შიდა გარემოს შექმნით ლევან დადიანმა ხელსაყრელი პირობები შექმნა სამთავროს განვითარებისთვის. განვითარდა სამეგრელოს ცენტრი, შეიქმნა ახალი სავაჭრო ქალაქი რუხი, რომელიც საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობის ქსელში უნდა ჩართულიყო. ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის შემდეგ პირველად იქნა საფუძვლიანად განახლებული ქართული კულტურის ცენტრი - ჯვრის მონასტერი იერუსალიმში.

თეატინელი მისიონერები 1632 წლის ივლისში ჩამოვიდნენ საქართველოში. მალე ისინი გორიდან ჯერ გურიაში, შემდეგ კი სამეგრელოში გადმოვიდნენ სამოღვაწეოდ. თუ აღმოსავლეთ საქართველოში ისინი ადგილობრივ სასულიერო პირთა მძაფრი კრიტიკის საგანი იყვნენ, სამეგრელოში მათ საეკლესიო მესვეურთაგან შედარებით ტოლერანტული დამოკიდებულება დახვდათ. დადიანმა მათ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა საცხოვრებლად და სამუშაოდ. როგორც აღინიშნა, მათი დახმარებით დადიანი დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის დამყარებას ისახავდა მიზნად, აქ საერთაშორისო მასშტაბის არა ერთი ეკონომიკური პროექტი უნდა განხორციელებულიყო, რომელიც სამთავროს დიდ მოგებას მოუტანდა. ზემოთხსენებული პიროვნებები იყვნენ ლევან II დადიანის დიპლომატიური წარმომადგენლები იტალიაში, პაპის კარზე. დადიანი მათი მეშვეობით ინფორმირებული იყო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. მან კარგად იცოდა პაპის დიდი გავლენისა და ავტორიტეტის შესახებ ევროპის მმართველ წრეებში. ასრულებდნენ რა ლევან დადიანის ამა თუ იმ დავალებას, მისიონერები ხშირად დიდ რისკზე მიდიოდნენ, რადგანაც მაშინდელ სამყაროში მეტად საშიშ საქმეს წარმოადგენდა უცხო ქვეყანაში გადაადგილება, მით უმეტეს დესპანის მისიის შესრულება. ოსმალეთში ჯაშუშობის მოტივით დაპატიმრებული ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელიც ლევან II დადიანის მიერ ელჩად იყო წარგზავნილი იტალიაში, 1643 წელს დარდანელში, თურქთა ტყვეობაში გარდაიცვალა.

მიუხედავად ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ ხელშეწყობისა, რთული იყო გვიანთფეოდალურ სამეგრელოში უცხო ტომელის ჩამოსვლა და დიდი ხნის განმავლობაში საცხოვრებლად დარჩენა. მისიონერები ნათლად წერენ აქ არსებული სიძნელეების შესახებ. მათ შეისწავლეს ქართული და მეგრული ენები და ხალხში მრავალგვარ სამუშაოს ასრულებდნენ. კათოლიკური რომის ხელმძღვანელობა უდიდეს ყურადღებას აქცევდა მისიონერთა მოღვაწეობას აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. ამ მისიით მათი მომზადების ერთ-ერთი საფუძველი იყო სპეციალური კოლეჯის დაარსება რომში ქართველი ახალგაზრდების განსანათლებლად. როგორც ცნობილია, 1627 წელს რომში იტალიელი სტეფანე პაოლინისა და თეიმურაზ I-ის ელჩის ნიკიფორე ირბახის მიერ ქართულ-იტალიური ლექსიკონიც მომზადდა. ეს ლექსიკონი უნდა დახმარებოდა საქართველოსკენ მომავალ მისიონერებს ქართული ენის შესწავლაში. დიდი იყო მისიონერთა ინტერესი ჩვენი ქვეყნის, მისი კულტურისა და ისტორიის მიმართ. შესაბამისად, მათ ვრცელი ინფორმაცია დააგროვეს ჩვენი ქვეყნის შესახებ, სწავლობდნენ ქართულ საეკლესიო მღვდელმსახურებას, საგალობლებს, ცხოვრების წესს, იწერდნენ ადგილობრივ მნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს. ხშირად მიუთითებდნენ ნაკლოვანებებზე და სახავდნენ მათი გამოსწორების გზებს. ცნობილია

მათი შეურიგებელი პოზიცია ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. მისიონერები, როგორც კათოლიკე მღვდელმსახურნი, თვითონ კათოლიკურ წესზე წირავდნენ და ამ მხრივ გარკვეულ პროპაგანდასაც ეწეოდნენ, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ისინი კათოლიკე ბერები იყვნენ და კათოლიკობის პროპაგანდა ევალებოდათ. მათი მწვავე შენიშვნები ზოგჯერ სიკეთის მომტანი იყო საზოგადოებისთვის, როგორც გამომათხიზლებელი საშუალება. მისიონერთა ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს მათი უშუალო, სიყვარულით გამთბარი დამოკიდებულება საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი.

აღსანიშნავია საქართველოზე ამაგდარი იტალიელების - დონ არქანჯელო ლამბერტისა და დონ ქრისტოფორო დე კასტელის უდიდესი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით. დონ ქრისტოფორო დე კასტელიმ საქართველოში დაახლოებით 20 წელი დაჰყო. აქედან გორში – 1 წელი, გურიაში - 5-6, სამეგრელოში –14. „სხვა მისიონერებთან ერთად, რომელნიც აქ სამ–ოთხ წელს დაჰყოფდნენ ხოლმე, მე ვიცხოვრე და დღე და ღამე ვმუშაობდი, ჩემი მკლავები და ჯანი შევალე ამ საქმეს, ოცდაექვსი წლის განმავლობაში ხალხის წყლულების სამკურნალოდ მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარე იმათ, ვინც აქ ცხოვრობს“ – წერდა ის (გიორგაძე 1977: 53). ხალხი ნათლად ხედავდა მისიონერთა უშუალობას, გულწრფელ დამოკიდებულებას, მათ ღვთის კაცები – „ღორონთიმ კოჩი“ უწოდეს.

1649 წელს არქანჯელო ლამბერტი 18-წლიანი განმორების შემდეგ მშობლიურ ნეაპოლში დაბრუნდა, სადაც მან ორი შესანიშნავი წიგნი გამოსცა საქართველოზე: „ცნობები კოლხეთზე სამეგრელოდ წოდებულზე“ (1654 წ.) და „წმიდა კოლხეთი“ (1657 წ.) ხუთი წლის შემდეგ საქართველოდან იტალიაში დაბრუნდა ქრისტოფორო კასტელი. მისი იტალიაში დაბრუნება, ისევე როგორც ლამბერტისა, დიდი დანაკლისი იყო სამთავროსათვის. ფასდაუდებელი ღირებულებისაა მის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატი და ჩანაწერი. მან დაგვიტოვა მთელი გალერეა XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოლიტიკური ელიტისა თუ უბრალო ხალხის წარმომადგენლებისა, ეთნოგრაფიული ყოფისა და ისტორიულ–გეოგრაფიული მნიშვნელობის ჩანახატები. რომ არა კასტელი, დღეს საქართველოს ისტორიას არ ექნებოდა თეიმურაზ I–ისა და მისი ოჯახის, როსტომ მეფის, ლევან II დადიანის, იმერეთის მეფე ალექსანდრე III–ის, ვამიყ ლიპარტიანის, მარიამ დედოფლის, გიორგი სააკაძის, უნდილაძეების, აფხაზთა მთავრის სეტემან შარაშიას, სხვა ქართველი დიდებულებისა და უბრალო ხალხის წარმომადგენელთა ასობით პორტრეტი. მის ნახატებზე თერთმეტ სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერები გვხვდება, უმეტესად იტალიურ ენაზე; ზოგიერთი სიტყვა სიცლიურ დიალექტზეა, არაიშვიათად ლათინურზე და რამდენიმეჯერ - ბერძნულსა და თურქულზედაც კი. <sup>4</sup>(გიორგაძე 1977:6).

კასტელის შემუშავებული ჰქონია საკუთარი სადამწერლობო სისტემა, მის მიერ საკუთარ ნახატებზე გამოყვანილი ასო–ქარაგმები ჯერჯერობით გაუმიტრავია. მისი ამოკითხვა ბევრ საინტერესო მასალას გვპირდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კასტელის ნახატების ერთი ნაწილი იტალიაში დაბრუნების დროს გზაში განადგურდა. საკმაო დრო დასჭირდა მხატვარს მათი აღდგენისათვის.

ცნობილია ის გარემოება, რომ ფეოდალურ საქართველოში და უფრო ადრეც,

მიუხედავად დიდი კულტურული პოტენციალისა, ფერწერა, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი დარგი, არ არსებობდა. მაღალ დონეზე იდგა ხატწერა, რომელიც მკაცრ კანონიკაზე იყო დაფუძნებული. ეკლესიის კედლებზე გამოსახული ფრესკები, რომელიც მართლმადიდებლური ხატწერის კანონიკის მიხედვით არის შესრულებული, არ შეიძლება ჩაითვალოს ფრესკაზე გამოსახული პიროვნების ზუსტ ფიზიკურ პორტრეტად. მაგალითად; დღემდე მოაღწია ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის ფრესკულმა გამოსახულებებმა (წალენჯიხის ტაძრის ფრესკა<sup>4</sup>). კასტელის მიერ შესრულებული ლევან დადიანის პორტრეტული გამოსახულება, შესაძლოა, გარკვეულ მსგავსებაში იყოს აღნიშნულ ფრესკასთან, თუმცა მისგან განსხვავებულია. გაუცნობიერებელი თვალისთვის მათი დედნის იდენტობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია ამ ორ გამოსახულებაში ერთი და იმავე პიროვნების შეცნობა.

ქრისტოფორო დე კასტელი და არქანჯელო ლამბერტი ტაძრების მოხატვის ოსტატებიცყოფილან, მათარაერთიეკლესიამოუხატავთსამეგრელოში.საინტერესოა, თუ როგორ ახერხებდნენ კათოლიკე მხატვრები მართლმადიდებლური ტაძრების მოხატვას მართლმადიდებლური კანონიკის სრულად დაცვით. ერთი რამ ფაქტია, რომ ისინი აქაც კვალიფიციური ოსტატების რეპუტაციით სარგებლობდნენ, რადგანაც ამ ფრესკად მნიშვნელოვან საქმეს ანდობდნენ. სამუხაროდ, მათ მიერ შესრულებულმა ფრესკებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. არსებულ ფრავმენტებში კი მათი ნამუშევრების იდენტიფიცირება შეუძლებელია. კასტელი, როგორც მხატვარი, რელიგიურ თემატიკაზე იტალიაში ცხოვრების პერიოდშიც მუშაობდა. დონ ბართლომეო ფეროს თანახმად, საქართველოში წამოსვლის წინ, იტალიის ბევრმა ეკლესიამ კასტელის შეუკვეთა ღვთაებრივი შინაარსის სურათები და ყველა თხოვნა შეასრულა <sup>5</sup>(ტაბალუა 1987: 144).

კასტელი საქართველოში წამოსასვლელად დიდი მონდომებით ემზადებოდა. 1632 წლის 25 აპრილს ის თავის ბიძას - გრეგორიო კასტელის, გალიანის გრაფს სწერდა: „ოთხ დღეში, უფლის წყალობით, ჩვენ ალექსოდან გავალთ და გავემგზავრებით ჩვენს ძვირფას საქართველოში“. ის სთხოვდა თავის ბიძას, გამოეგზავნა მისთვის საქართველოში რაც შეიძლება მეტი რაოდენობით სხვადასხვა ფერის საღებავი, ასევე ფუნჯები, რათა ბევრი სურათი დაეხატა <sup>6</sup>(ტაბალუა 1987: 144)

მთავარი მეტად აფასებდა მის კარზე მყოფ ევროპელებს. „დადიანს ისე მიაჩნდა პატრები, რომ მათ თვლიდა თავისი სამთავროს ძვირფას სამკაულად. როდესაც მასთან უცხო ვინმე მოვიდოდა, მაშინვე წაიყვანდა მათ სანახავად და ეუბნებოდა, რომ თავის სამთავროში მათზე უკეთესი სხვა არავინ გააჩნდა“ <sup>7</sup>(თამარაშვილი 1902: 196).

საინტერესოა ლევან დადიანის ტოსკანის მდიდარ საჰერცოგოსთან დაკავშირების მცდელობა, რომელიც სამეგრელოში მკურნალებისა და სამედიცინო საშუალებების გამოგზავნას ისახავდა მიზნად. ურთიერთობის ეს ხაზი მისიონერების, კონკრეტულად კი იტალიაში დაბრუნებული არქანჯელო ლამბერტის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო <sup>8</sup>(Majorana 1990: p.135).

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამთავროში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. 1672 წელს თეატინელ მისიონერთა პრეფექტი სამეგრელოში ჯოზეფ მარია ძამპი წერდა თავის ხელმძღვანელობას რომში, რომ სამეგრელოში ძალაუფლება

ხელში ჩაიგდო მეფის (მთავრის\*) მინისტრმა კაცია ჩიქოვანმა და ბევრი უსამართლობა ჩაიდინა, რის გამოც უამრავი გაჭირვება გამოვიარეთო <sup>9</sup>(თამარაშვილი 1902: 204).

სამეგრელო იმერელი და აფხაზი ფეოდალების რბევის ობიექტი გახდა. მოიშალა ლევან II დადიანის მიერ შექმნილი უსაფრთხოების სისტემა. საყოველთაო შიშინანობისა და ანარქიის პირობებში ევროპული ორიენტაცია რეალურად საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა. თეატინელთა სამეგრელოს მისიონმა, როგორც ევროპასთან დამაკავშირებელმა ერთადერთმა საშუალებამ, 1701 წელს შეწყვიტა არსებობა. მისიონერთა დიდი ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი სამოღვაწეოდ სხვაგან გადავიდა ან სამშობლოში დაბრუნდა.

ასეთიანად, უშედეგოდ დამთავრდა ლევან დადიანის ევროპასთან დაკავშირების ცდები. სამეგრელოში შექმნილმა ფეოდალურმა ანარქიამ და მთის ელემენტის გაძლიერებულმა მონოლამ ქვეყანა გაუსაძლის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდო, რამაც დიდი ხნით შეაჩერა მონინავე სამყაროსთან დაახლოების პერსპექტივა.

ევროპასთან, ამჯერად კი საფრანგეთთან სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური და კულტურული კავშირების აღდგენა-განახლება აღწერილი მოვლენებიდან 150-200 წლის შემდეგ, მხოლოდ სამთავროს არსებობის ბოლო პერიოდში იქნა შესაძლებელი.

ამრიგად, ლევან II დადიანი ფეოდალური ხანის საქართველოს სინამდვილეში გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერია, რომელმაც მიუხედავად მაჰმადიანური გარემოცვისა, აქტიურად მოჰკიდა ხელი ევროპასთან ურთიერთობების დამყარებას და მცირე დროის მონაკვეთში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ის გადაჭრით აღდა დასავლეთ ევროპული ორიენტაციის გზას, რომელსაც ატარებდნენ საქართველოს სხვა მეფე-მთავრები თუ კათალიკოსები (თეიმურაზ II, კათალიკოსი ზაქარია, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ\*).

### **ბიბლიოგრაფია**

Moskheli 1953: Moskheli Michel, La Georgie et L, Europe „Bedi Kartlisa” N 15 Paris 1953.

გიორგაძე 1977: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ თბ. 1977.

საისტორიო ვერტიკალები XVIII თბ. 2009

თამარაშვილი 1902: მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსებისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ. 1902 წ.

ტაბალუა 1987: ილია ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში III, თბ. 1987 წ.

Majorana 1990: Bernadette Majorana, La Gloriosa Imprasa, Palermo 1990.

## **ODISHI PRINCIPALITY IN THE FIRST HALF OF THE XVII CENTURY - WAY TO EUROPEAN CIVILIZATION**

**Key words** : Levan II Dadiani, Georgia-European relations, Vatican.

First half of the 17th century is a very interesting period to study the foreign policy of Odishi Principality which had been having close relationship with Western Europe. Head of Odishi Principality, Levan II Dadiani (1611-1657) coherently pursued a European policy for 35 years supported by catholic missionaries who had arrived in Samegrelo. In Georgian historiography, there are several scientific works and researches about European catholic missionaries who carried out their activity in the late feudal age in Georgia. Great interest is taken in their life and activity today as well. These people were sent by the Pope and they were well-educated in different fields of science and art. They were writers, artists, doctors and people with secular education. Missionaries in Georgia also had the function of political emissaries. They can be considered the first political and cultural representatives of Catholic Europe. They linked the Georgian political leaders with Europe to learn about the achievements of civilized world, to request help and support and express their loyalty to the European policy. The presented article shows the European foreign policy of the Odishi Principality in the first half of 17th century and the measures taken in this direction.





**მარინე მესხია**

ისტორიის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## **ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებების გავლენა ქართველ მოაზროვნეებზე**

**საკვანძო სიტყვები:** განმანათლებლობა, კათოლიკე მისიონერები

ქართული საზოგადოება და ქართული კულტურა ყოველთვის ახლო იყო ევროპასთან. კავკასიაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ცივილიზაცია - აღმოსავლური და დასავლური. ამ ორი ცივილიზაციის თანაცხოვრების შედეგად რეგიონში ერთგვარი ინტერკულტურული გარემო ჩამოყალიბდა, სადაც დასავლურ ფასეულობებს ხშირად ერწყმოდა აღმოსავლური კულტურის ელემენტები. თუმცა, საქართველო ყოველთვის ევროპული ფასეულობებისკენ იხრებოდა.

ევროპულ სამყაროსთან კავშირი ჯერ კიდევ ძვ. წ. IV-ე საუკუნიდან დაიწყო. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ საქართველო ელინისტური სამყაროს ნაწილი გახდა. ძვ.წ. I-დან რომის იმპერიამ საქართველო მოაქცია თავისი გავლენის ქვეშ. მას მერე რაც საქართველომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ევროპასთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა. 554 წელს, ეგრისის მეფის გუბაზის ბიზენტიელების მიერ მკლელლობის შემდეგ, ლაზ წარჩინებულთა კრებამ მაინც ბიზანტიასთან ურთიერთობა არჩია და უარი თქვა სასანიან ირანთან კავშირზე. ასევე, მოგვიანებით, არაბთა ბატონობის პერიოდში, აშოტ კურაპალატი არაბთა კონტროლირებადი ტერიტორიიდან ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი ტაო-კლარჯეთში გადავიდა და იქ სამეფო ჩამოაყალიბა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტია არასდროს აღიქმებოდა წმინდა ევროპულ სახელმწიფოდ, თუმცა ყოველთვის იყო ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი<sup>1</sup>.

XI-XIII საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან კიდევ უფრო ღრმავდება.. მონღოლთა ბატონობის პერიოდში (XIII-XIV სს,) ეს ურთიერთობა მკვეთრად სუსტდება და მხოლოდ გიორგი V (XIV საუკუნე) მეფობის პერიოდში შესაძლებელი ხდება ამ კავშირების აღდგენა. XV-ე საუკუნეში საქართველო უერთდება რომის პაპის მიერ ორგანიზებულ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მოწოდებას, ხოლო XVI საუკუნეში, სიმონ I, ქართლის მეფე, ცდილობს დაამყაროს დიპლომატიური კავშირები ესპანეთის მეფესა და რომის პაპთან.

<sup>1</sup> ისტორიანი #1. საქართველო და ევროპა. 2017

XVIII.უკიდურესი სირთულეების მიუხედავად კონტაქტები ევროპასთან მთლიანად არ წყდება.ამ პერიოდში არაერთი მისია იგზავნება ევროპაში სამხედრო თუ პოლიტიკური კავშირის დამყარების თხოვნით. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში კაპუცინების კათოლიკური ორდენების ბერები მოღვაწეობდნენ, ხოლო დასავლეთში თეატინელები. მათ ძირითადი საქმიანობა, კათოლიციზმის პროპაგანდასთან ერთად, იყო მკურნალობა და სკოლების დაარსება ,სადაც ქართველი ახალგაზრდები ღებულობდნენ განათლებას.

XVIII საუკუნეში საქართველოსა და ევროპას შორის კავშირი გრძელდება - მიმდინარეობს ევროპასთან დიპლომატიური კავშირების დამყარება და ურთიერთობების გაღრმავება. ქვეყანაში ყალიბდება მოაზროვნეთა ჯგუფი, რომელიც იზიარებს ევროპულ ღირებულებებს და ცდილობს მათ დამკვიდრებას საქართველოში.

სამწუხაროდ, ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში ნაყოფიერად წარმოებდა საქართველოში, თითქმის მთლიანად ჩაკვდა ვახტანგ VI-ის რუსეთში გადახვევნისა და შემდგომ პერიოდში საქართველოში გამეფებული ძნელბედობის შედეგად. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა გადანაცვებით და მონღოლებით დაიწყო შეწყვეტილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღდგენა, რასაც უდიდესი ყურადღება დაუთმო მეფე ერეკლე II-მ და საქართველოს კათოლიკოსმა ანტონ I-მა. ეს უკანასკნელი კარგად იცნობდა ბერძენ ფილოსოფოსთა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებს, კლასიკური ხანის ქართულ ფილოსოფოსთა მოძღვრებებს, თანამედროვე ფრანგ და გერმანელ ფილოსოფოსთა იდეებს. მანვე თარგმნა გერმანელი განმანათლებლების ქრისტიან ვოლფისა და ბაუმისტერის თხზულებები. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ენციკლოპედიური ხასითის თხზულება“სპეკალი“, რომელიც სამეცნიერო ცოდნის სისტემატიზებული გადმოცემის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა. ნაშრომში აღწერილია ანტიკური ხანის მოაზროვნეთა ფილოსოფიური სისტემები, განხილულია იოანე პეტრიწისა და სომეხი ფილოსოფოსის ჯულფელის ნააზრევი. ერის აღორძინების საქმეში ანტონ კათოლიკოსი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას, ამიტომ თავისი მოღვაწეობის პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის თარგმანებს.

ერეკლე II-ის მეფობის ხანა ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობის პერიოდს წარმოადგენდა. საქართველოში ვრცელდებოდა ევროპული იდეები, რასაც ხელს უწყობდა ერეკლე. გ.კალანდია აღნიშნავდა, რომ „ მან კარგად იცოდა განათლებული ევროპის სარგებელი... მან საიდუმლოდ იმოგზაურა დასავლეთში და საკუთარ ქვეყანას ახალი ღირებულებები შესძინა“. იოანე ბატონიშვილი წერდა: “50-იანი წლებიდან ევროპა გაეცნო ერეკლეს, როგორც ეპოქის გამოჩენილ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს”. მის დროს ქვეყანაში თვალსაჩინოდ განვითარდა ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება, რომელმაც შეითვისა ევროპული კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კულტურული განვითარების ეს პროცესი სწორედ ეროვნული ტრადიციების დაცვის საფუძველზე მიმდინარეობდა. ქართველი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში იღებდა. ერეკლე მეფის თაოსნობით, 1749 წელს მოხდა ქართული სტამბის აღდგენა-განახლება. საგანმანათლებლო-

კულტურულ კერებს საკუთარი ბიბლიოთეკებიც გააჩნდა. მაგალითად, დავით გარეჯის მონასტრის, თბილისის სიონის, მცხეთის შიომღვიმის წიგნთსაცავები და სხვა.

ერეკლე II-ის შთამომავალნი ქართველი ბატონიშვილები უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ევროპული კულტურის შესწავლასაც. ამ პერიოდში ითარგმნა “მსოფლიო ისტორიის სპეციალური კურსი”, “ისტორიული ნარკვევები საბერძნეთის ისტორიიდან”, კვინტოს კურციუსის “ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება”, შარლ როდენის “ძველი ისტორია”, გილმარ კურასის “საყოველთაო ისტორია”, რუდოლფ ოსტრაპტოს “ევროპის მეგზური” და სხვ<sup>2</sup>. ევროპული კულტურით დაინტერესება პასუხობდა როგორც ეპოქის მოთხოვნილებას, ისე იმდროინდელ მკითხველთა და მთარგმნელთა იდეურ განწყობილებებს, რაც უდავოდ გულისხმობდა ქვეყნის კულტურულ-იდეურ პროგრესს. ვენეციაში დაიბეჭდა “შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნები”-ს რუკა, რაც ნათლად მოწმობს იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენდნენ უცხოელი მეცნიერები საქართველოს მიმართ.

ქართველმა მოაზროვნეებმა შეიმუშავეს საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, რაც სათავეს იღებდა, როგორც ქართული სინამდვილიდან, ისე ევროპისა და რუსეთის განმათავისუფლებელი იდეებიდან. ქართველ ინტელიგენტთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება წარმოადგენდა. პეტერბურგში დავით ჯორჯაძის გადმოცემით, მას ყოველთვის ესმოდა “ბაასი თავისუფლების შესახებ, მოჰყავდა რა სანიმუშოდ ხან საფრანგეთი და მათი კანონები, ხან (ევროპის) თავისუფალი ქალაქები...”<sup>3</sup>. ევროპა ქართველ მოაზროვნეებს ორი ფაქტორის გამო აინტერესებდათ. პირველ შემთხვევაში, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები განიხილებოდა, როგორც მოკავშირე და დამხმარე ძალა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მეორე შემთხვევაში კი – ევროპა მათთვის იყო სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური განვითარების საუკეთესო ნიმუში, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო ქვეყანა. კერძოდ, კონსტიტუციური მონარქიის ფორმით უნდა მომხდარიყო ქართული სახელმწიფოს დემოკრატიზაცია, მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული შედეგებით<sup>4</sup>. “არა თვისა თავისათვის... არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნოს ივერია საშუალობით წერილითა სარწმუნოთ”.

ქართველი მოაზროვნენი ევროპული იდეოლოგიას კათოლიკე მისიონერთა მეშვეობითაც ითვისებდნენ. პროფ. შ. ლომსაძე აღნიშნავს: “ჩვენში შემოსულ მისიონერთა დიდი ნაწილი... იცნობდა ევროპის ახალ მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში და მათ მიერ გახსნილ სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად, ამ ახალ მიღწევებზეც ესაუბრებოდნენ ქართველ ახალგაზრდობას. ქართველი მეფე-მთავრები და საეკლესიო მოღვაწენი მისიონერთა ამგვარ საქმიანობას ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ”. კათოლიკური მისიების წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოს კარგი მემკვიდრეებიც აღმოჩნდნენ, შემოგვინახეს უტყუარი ცნობები ქვეყნის პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწეობის შესახებ, აღწერეს

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973. გვ. 786

3 ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1800-1921, თბილისი., 1986. გვ. 39

4 შველიძე დ. 1932 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბილისი., 2014. გვ. 58

ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება. პროფ. ალ. თერცხალაიშვილის ინფორმაციით საქართველო-კავკასიის საკითხი, ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები მხოლოდ რუსეთის და ირან-ოსმალეთის გარდა, ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ინტერესსაც იწვევდა. “1763 წელს ფრანგი კონსული წერდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ აუცილებელი იყო რუსეთისათვის დაბრკოლების შექმნა აზიის საზღვრებთან, რითაც იგი იძულებული გახდებოდა ხელი აეღო ევროპის საქმეებზე. ბერანჟე დასძენდა, რომ ამ მიზნით მას ხელსაყრელად მიაჩნდა კონტაქტის დამყარება “პრინცი ერეკლესთან”.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებები ფრანგ განმანათლებელთა კოიტერის, ჟან-ჟაკ რუსოს, მონტესკიუს და სხვ. უდიდესი გავლენის შესახებ. მაგალითისათვის დავასახელებთ ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს – ალექსანდრე ამილახვარს, რომელიც თეათინელთა ორდენის ბერების მეშვეობით, ერთ-ერთი პირველი ეზიარა დასავლეთის განმანათლებლურ იდეოლოგიას და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა<sup>5</sup>. მეტად საინტერესოა მისი ნაშრომი „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელშიც ფრანგი მოაზროვნის მონტესკიუს იდეები მისადაგებულია თანადროული ქართული ფეოდალური საზოგადოების ინტერესებთან. ავტორის შეხედულებით, სახელმწიფო უნდა იმართებოდეს ისეთი კანონებით, რომლებიც ხალხის წესებსა და ჩვეულებებს უნდა შეესაბამებოდეს.

ასევე, უნდა მოვიხსენიოთ დავით ბატონიშვილი, ახალი დროის ქართული აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. მან შეისწავლა დიდი ევროპელი მოაზროვნეების ფილოსოფიური და პოლიტიკური მოძღვრებები. მისი თარგმანები ქართველ მკითხველს ფრანგი განმანათლებლების მნიშვნელოვან ნაშრომთა და იდეათა გაცნობის საშუალებას აძლევდა, მაგ. ვოლტერის „გულისხმაცოფისთვის სჯულისა (კანონთა არსი), რაც ძირითადად სამოქალაქო პოლიტიკური თავისუფლების იდეებს ეხებოდა. სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებების თვალსაზრისით საინტერესოა მისი “სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, “საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“, სადაც კარგად იგრძნობა მონტესკიუს, ვოლტერის, რუსოს გავლენა. დავით ბატონიშვილს თანამედროვენი “ვოლტერად” იხსენიებდნენ. საქართველოში შეინიშნებოდა ვოლტერის იდეალიზაცია, რომელიც მაშინდელ პროგრესულ მსოფლიოში აღიარებული იყო კულტურის მოღვაწის მწვერვალად, ფილოსოფიური აზრის სიდიადედ, მხატვრული გემოვნების სრულყოფად და დრომოჭმული სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი პროტესტის განსახიერებად. ამ დროს საქართველოში არსებულ მოძრაობას “ქართულ ვოლტერიანობადაც” მოიხსენიებენ.

ქართველ მოაზროვნეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იოანე ბაგრატიონსაც. ის იყო განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. მისი მთავარ ნაწარმოებს ენციკლოპედიური ხასიითის თხზულება „კალმასობა“ (ხუმარსწავლა) წარმოადგენდა. აქ კარგად ჩანს საქართველოში მეცნიერული ცოდნის დონე და ევროპული გავლენა. მისი ეს ენციკლოპედიკური ნაშრომი, როგორც მეცნიერები აღნიშნავდნენ, იყო ქართული მწერლობის ბოლო

<sup>5</sup> გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ნარკვევები, თბილისი, 1988. გვ. 15-16

ნანარმოები და ახალი მწერლობის პირველი მხატვრული ძეგლი.

ფრანგ განმანათლებელთა იდეებით ქართველთა დაინტერესება იმითაც იყო განპირობებული, რომ ისინი ეროვნული საკითხის გადანყვეტას ახლებურად უდგებოდნენ, მოითხოვდნენ ერთა თანასწორუფლებიანობას, ყველა ერის სუვერენიტეტის დაცვას, ერთა კულტურულ თანამშრომლობას, საყოველთაო მშვიდობის დამყარებას, ყოველივე ეს კი პირდაპირ ემთხვეოდა ქართველ მოაზროვნეთა ინტერესებს. ქართველი არისტოკრატია XIX ს. 30-იან წლებში სერიოზულად იწყებს მოქმედებას თავისუფლებადაკარგული საქართველოს გადასარჩენად. გავისენოთ ივ. აფხაზისადმი გრ. ორბელიანის მიმართვა: “საქართველო შევიწროებულია ყიზილბაშებისა და ოსმალთაგან, მეზობელ რუსეთთან დაკავშირება აღარ აძლევს ქვეყანას მოსთხოვოს მთავრელობა რომელიმე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა”<sup>6</sup>. პროფ. დ. შველიძე სრულიად მართებულად მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილები იმპერიის მსახურები იყვნენ მანამ, სანამ ისინი არ გამოათხოვდნენ და ეროვნული აზროვნებით არ დამუხტეს რუსეთში გადასახლებულმა ბატონიშვილებმა<sup>7</sup>, ევროპულად განათლებულმა თავადებმა გიორგი, ელიზბარ, დიმიტრი ერისთავებმა, დიმიტრი ორბელიანმა, ალექსანდრე ჩოლოყაშვილმა, ვახტანგ ორბელიანმა და სხვ. მათ პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებულ სხვა ქართველ ბატონიშვილებთან ერთად... მიზნად დაისახეს დაგეგმილი და ორგანიზებული შეთქმულების გზით ქვეყნის გათავისუფლება. შეთქმულები ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენის საკითხზე მსჯელობისას უპირატესობას ანიჭებდნენ იმდროინდელი საფრანგეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას, კონსტიტუციურ მონარქიას, თუმცა, არსებობდა განსხვავებული რამდენიმე მოსაზრებაც (რესპუბლიკური მმართველობა, ავტონომია...). შეთქმულთა თვალწინ ჩაიარა არა მარტო 1825 წლის დეკაბრისტთა აჯანყებამ, არამედ ევროპაში იმხანად მიმდინარე ყველა მოვლენამ – საფრანგეთის 1830 წლის ივლისის რევოლუციამ, 1830 წლის პოლონეთის აჯანყებამ, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში არსებულმა ვითარებამ და სხვ... დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი ხშირად მსჯელობდნენ “ევროპაში მიმდინარე თანამედროვე პოლიტიკურ ამბებზე...”<sup>8</sup>. 1832 წ. შეთქმულებაზე საუბრისას არ შეიძლება არ გამოვყოთ შეთქმულების გამორჩეული ფიგურა სოლომონ დოდაშვილი. ის იყო პირველი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დაიწყო ევროპეიზმის პროპაგანდა და პრაქტიკული დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში. ტყუილად არ აღნიშნავდა ალ, ჩოლოყაშვილი სოლომონ დოდაშვილისადმი მიწერილ ბარათში: “რუსო და შენ გამონაკლისი ხართო”.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მოვლენების შესახებ პროფ. გ. გობალიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ “XIX ს. პირველი ნახევრის საქართველო მსოფლიო პროგრესის საერთო ფერხულიდან გამორიცხული არ ყოფილა”<sup>9</sup>. მკვლევარი დასძენს, რომ ელიზბარ და გიორგი ერისთავები, ვახტან ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვა ევროპული ტიპის მოაზროვნეები ღრმა განათლების ადამიანები იყვნენ, რომლებიც ნამდვილად არ ჩამორჩებოდნენ თავიანთი საქმიანობითა და იდეებისადმი ერთგულებით იმდრო-

6 ორბელიანი გრ. “სალამო გამოსაღმებისა”, თბილისი., 1988. გვ 237

7 შველიძე დ. 1932 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბილისი., 2014. გვ. 25

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი., 1973. გვ. 947

9 იქვე, გვ. 32

ინდელი მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეთა პლეადას<sup>10</sup>.

ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებებმა და გამოსვლამ არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით “უდისესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. ქართული სახელმწიფოს ტიპი – კონსტიტუციური (საპარლამენტო) მონარქია და რესპუბლიკური მმართველობა იმ დროისათვის სახელმწიფო მმართველობის პროგრესულ ფორმებს წარმოადგენდა და მეტყველებდა ქართველ მოღვაწეთა მაღალ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ევროპული ღირებულებების ერთგულებაზე.

ერის კულტურის, მეცნიერების, საზოგადოდ, ქვეყნის ცივილიზაციის დონე ყოველთვის განისაზღვრებოდა იმით, თუ რა მონაწილეობას იღებდა ის განმანათლებლურ მოძრაობაში, როგორ ითვისებდა და იყენებდა განმანათლებელთა იდეებს თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას ყოველთვის ჰქონდა ევროპული გზით განვითარების გარკვეული ტენდენცია. ასეთი მიდრეკილება იგრძნობოდა XVIII-XIX საუკუნის I მეოთხედის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. ქართველი მოაზროვნენი არა მარტო ეცნობოდნენ ევროპელთა თეორიებს, მოძღვრებებს, ახალ იდეებს, არამედ თავისებურად ეხმარებოდნენ მათ. ქართველ მოაზროვნეთა მიზანი იყო თავიანთი ქვეყნის უკეთესი მომავალი და სწორედ ამიტომ ისინი ცდილობდნენ ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მიღწევები საკუთარ ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობის გზით გამოეყენებინათ ქვეყნის საკეთილდღეოდ. შემთხვევითი როდია, რომ XVIII საუკუნემ უდიდესი გავლენა იქონია შემდგომი პერიოდის პოლიტიკური აზრის ფორმირებისა და განვითარების პროცესზე.

ქართველ მამულიშვილთა მრავალწლიანი მოღვაწეობა სათანადოდაა შეფასებული ქართულ საზოგადოებაში, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მწერლობაში. დროთა მსვლელობისას სახელოვან ერისკაცთა ღვაწლი მეტ მომხიბვლელობას იძენს და ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ დიდი წინაპრების გმირული საქმენით. ღირსეულ მამულიშვილთა შორის არიან ქართველი მოაზროვნენი, თავად-აზნაურთა ის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების განახლება-გაუმჯობესებისათვის.

XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართველმა მოაზროვნეებმა, თავიანთი შემოქმედებითა და მოღვაწეობით, არაერთ პროგრესულ იდეას ჩაუყარეს საფუძველი, რამაც დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარამია ლ. 1832 წლის შეთქმულების შესახებ საქართველოში, თბ., 1951, “განათლება”;
2. ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1800-1921, თბ., 1986, “მეცნიერება”;
3. გობალიშვილი გ. 1932 წლის შეთქმულება, თბ., 1970, “მერანი”;
4. გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ნარკვევები, თბ., 1988;
5. მაკალათია ს. ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება, თბ., 1942;
6. ორბელიანი ვრ. “სალამო გამოსალმებისა”, თბ., 1988;

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
8. შველიძე დ. 1932 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 2014, "უნივერსალი";
9. ჯოლოგუა თ. "ერთი უმართებულო მტკიცებულების გამო", იხ.: უურნ. "კლდეკარი", #1, თბ., 1992.
10. ისტორიანი #1. საქართველო და ევროპა. თბილისი 2017

**Marine Meskhia**

*Associated Professor, Georgian Technical University*

## **INFLUENCE OF THE VIEWS OF THE EUROPEAN EDUCATORS ON GEORGIAN INTELLECTUALS**

**Key Words:** Enlightenment, Catholic Missioners

The paper discusses the influence of European educators on Georgian intellectuals, on those advanced representatives of the nobility who fought for the renewal and improvement of Georgian statehood.

It is emphasized that Georgian public thinking has always had a certain tendency to develop in a European way. Such a tendency was felt in the Georgian political thought of the first quarter of the 18th-19th centuries. Georgian thinkers were not only familiar with European theories, doctrines, and new ideas but also helped them in their own way.

The goal of Georgian intellectuals was a better future for their country, and that is why they tried to use the cultural and scientific achievements of advanced European countries for the benefit of Georgia.

It is no coincidence that the 18th century had a great influence on the process of formation and development of political thought in the subsequent period. Also, the work shows that Georgia has never stood apart from the progressive processes taking place in Europe.

The views and declarations of Georgian thinkers in order to change the current situation played a significant role in the history of the liberation struggle of the Georgian people.

The type of Georgian state - constitutional (parliamentary) monarchy and republican government represented progressive forms of state governance at that time. Georgian thinkers of the 30s of the XIX century, with their creativity and work, laid the foundation for a number of progressive ideas, which had a great impact on the country's social and political life.



თეონა კაჭარავა-ცინაური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

## გერმანული არქიტექტურული მემკვიდრეობა XIX-XX საუკუნის თბილისში

საკვანძო სიტყვები: გერმანული თემი, არქიტექტურული მემკვიდრეობა

გერმანული თემის ჩამოყალიბება დაკავშირებულია რუსეთში მოქმედი პოლიტიკის იმ პერიოდთან, რომელიც დასავლური კულტურის გავრცელებას ითვალისწინებდა და რომლის შედეგადაც 1817 წელს მოხდა პირველი გერმანელების ჩამოსახლება საქართველოში. გერმანიაში არსებული რთული ვითარება, რომელიც, ერთის მხრივ, გამოწვეული იყო ნაპოლეონის მიერ წარმოებული ომებით, მეორე მხრივ კი, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სავარგულების ნაკლებობით, თვასებისა და გადასახადების ზრდით. ზოგადად მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ომში განვების მუდმივმა შიშმა და ინდონეზიის კუნძულ სუმბავაზე ვულკან ტამბორას ამოფრქვევის შედეგად გამოწვეულმა კლიმატურმა ანომალიებმა, ბოლო წლებში მოუსავლიანობა და შიმშილობა მოიტანა, რამაც ისედაც ღარიბი მოსახლეობა იძულებული გახადა, საკვებ წყაროდ წებო, ლოკოკინები, ხის ქერქი და ბალახი გამოეყენებინა. ცხოვრების გაუსაძლისი პირობები უბიძგებდნენ ადამიანებს აჯანყებების ორგანიზებისაკენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქვეყნის დატოვებისაკენ. ამავდროულად, გერმანიის ლუთერანულ ეკლესიაში არსებული ერთ-ერთი მიმდინარეობა - პიეტეზმი, ამ ვითარებას მეორედ მოსვლას უკავშირებდა და სიცოცხლის გადასარჩენად, იერუსალიმის ან არარატის მთის სიახლოვეს გადასახლების მიზანმიმართულობას ქადაგებდა.

1817 წლიდან დაიწყო პირველი გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება საქართველოში. გადმოსახლებულები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, როგორც იყო: რწმენის თავისუფლება, სამხედრო, სამოქალაქო და გადასახლებისაგან 10 წლის ვადით განთავისუფლება, მაგრამ ემიგრანტი, აუცილებლად უნდა ყოფილიყო კვალიციური სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მევენახეობა, მეფუტკრეობა, მებაბრეშუმეობა ან რაიმე სხვა ხელობაში; ასევე, უნდა ყოფილიყო ჯანმრთელი და დაქორწინებული. ემიგრაციის ხარჯებს

რუსეთის მთავრობა ფარავდა და ასევე, დასასახლებლად კრედიტებისა და სახლის მშენებლობაში მხარდაჭერასაც უზრუნველყოფდა. საერთო ჯამში, გერმანელ კოლონისტებს გადაეცა „35 დესიატინა“ მიწა და ტყით სარგებლობის უფლება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა „ეთნოსები საქართველოში“, თბილისი 2008, საქართველოს ტოლერანტობის ფონდი, ელ.წიგნი



1819 წელს გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში ექვსი კოლონია დაარსეს: მარიენფელდი, ნოი-ტიფლისი, ალექსანდერსდორფი, პეტერსდორფი, ელიზაბეთტალი, ეკატერინფელდი, ანენფელდი, ელენდორფი.

გერმანელთა დასახლების მთავარი საყრდენი იყო ეკლესია, სკოლა და პროფესიული გაერთიანებები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი წესდება - სიმბოლიკა, ეთიკის კოდექსი და საქმიანობის პროგრამა. ისინი აშენებდნენ ქვის საძირკველიან სახლებს, ფახკვერის ტექნიკით, რომელიც გავრცელებული იყო ევროპაში, როგორც გარე კედლის სამშენებლო ტექნიკა ხის მზიდი კარკასული კონსტრუქციით, ხოლო მის შემავსებლად ნამჯაგარეულ თიხას იყენებდნენ და თეთრად ღებავდნენ, [28;20]სახლებს ციცაბო სახურავები ჰქონდათ, ხის აივნებით გარემორტყმული და შუშბანდით დამშვენებული. ასევე სახლებს უკეთდებოდა ცალკე სურსათ-სანოვავის მარაგის შესანახი საკუჭნაოები, ღრმა სარდაფები და მარნები. ასევე, დამახასიათებელი იყო გარე სამზარეულო, ხე-ხილის ბაღები, ბოსტნები, საქონლის სადგომი და ფარდულები, ადგილობრივი კოლონისტები ასევე ნაციონალურ სამოსს ანიჭებდნენ უპირატესობას.

XIX საუკუნის ბოლოსათვის თბილისი რეგიონის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. კავკასიაში აღრიცხული 34623 გერმანელი კოლონისტებიდან, დაახლოებით 10000 ცხოვრობდა იმიერკავკასიის 14 სოფელში, თითქმის 8000 კი, ამიერკავკასიის 11 კოლონიაში, დანარჩენები კი ქალაქებში, ხოლო თბილისში 3000-4000 გერმანელი იყო. ევროპული მომხიბვლელობის მქონე ქალაქი, სამი ეთნიკური ჯგუფისგან შედგებოდა: ქართველები 26,5 %, სომხები 29,5%, რუსები 29,8%.

თავისუფლების მოედანზე(მაშინდელი ერევნის მოედანი) მდებარეობდა დიდი ქარვასლა და მისი ჩრდილოეთით და დასავლეთით რუსეთის მეფისნაცვალმა, მიხეილ ვორონცოვმა რუსული კვარტლები დაარსა: სოლოლაკი სომეხი მოქალაქეებისათვის, მთაწმინდის რაიონი მეფისნაცვლის სასახლით, ოპერით, სკოლებითა და უცხოეთის საელჩოებით, სადაც რუსული და ქართული ელიტა ცხოვრობდა. ვერის უბანში რუსი ჩინოვნიკები იყვნენ დასახლებული, ხოლო მარცხენა სანაპიროზე გერმანული კოლონია, „ახალი თბილისი“. ამ კოლონიაში შედიოდნენ : მენაღეები, მეფუნთუშეები, მეკასრეები, მკერავები, მჭედლეები, დურგლები, მესაათეები, მეშუშეები და მექუდეები. გერმანელი ხელოსნები იშენებდნენ ერთ სართულიან სახლებს, ბაღით, ყვავილებით, ხილითა და ბოსტნეულით დამშვენებულს. 1850 წელს კოლონია, „ ახალი თბილისი“ დედაქალაქს შეუერთეს. მის უკანა მხარეს, რკინიგზის სადგური მდებარეობდა, სადაც ცხოვრობდნენ უაღრეს გაჭირვებაში მომუშავე, მუშები და ქართველი მედღეურეები.

ახალი თბილისის წარმომადგენლებში ასევე შედიოდნენ: შავი ზღვისპირელი გერმანელები, ვოლგისპირელი მუშები, ბალტიისპირელი გერმანელები, გერმანიის იმპერიის მოქალაქეები და ავსტრიელები, რომლებმაც მოგზაურობის შემდეგ აქ დასახლება განიზრახეს. ბალტიისპირელი გერმანელები მუშაობდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებში, იყვნენ აფთიაქარები, ოფიცრები, ექიმები, მასწავლებლები და გუვერნანტკები.<sup>2</sup>

ქალაქში კოლონიელი გერმანელი, თავისი ვეეროვნებისაზე თუ დაქორწინდებოდა, მის ტრადიციულობაზე მიუთითებდა, თუმცა ქალაქელები ნაკლებად ტრადიციულები იყვნენ და განსაკუთრებით კი, განათლებული წრეების წარმომადგენლები არ

2 შპრინგჰორნი დ. გერმანელები საქართველოში, თბილისი, გოეთეს ინსტიტუტი, 2004

ითვალისწინებდნენ ოჯახის აზრს, სასიყვარულო ურთიერთობებთან დაკავშირებით და პარტნიორებად ქართულ, ებრაულ, რუსულ ან სომხურ წარმომავლობის წარმომადგენლებს ირჩევდნენ.

თბილისში არსებობდა ქალთა და მუსიკალური გაერთიანებები, ასევე ერთობის ბიბლიოთეკა, გუნდი და მოყვარულთა თეატრიც. გერმანულ კოლონიტთა ენერგიულობა და დისციპლინა, ყოველთვის ინვევდა ქართველთა ალტაცებას, მათმა მოღვაწეობამ თბილისის კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში, წარუშლელი კვალი დატოვა.

განათლებას დიდი ყურადღება ექცეოდა გერმანულ თემში, აი მაგალითად კატარინენფელდის კოლონიაში ჟურნალ-გაზეთებს სხვადასხვა ენაზე, 410 ოჯახი ინერდა, საქართველოში მცხოვრები გერმანელების 75 % წერა-კითხვის მცოდნე იყო, ყველამ კარგად იცოდა მშობლიური ენები.

საქართველოში გადმოსახლებულმა გერმანელებმა დაამტკიცეს, რომ წარმატების ფორმულა დაუღალავ შრომაში მდგომარეობს. ისინი ჩართულნი იყვნენ სოფლის მეურნეობაში, კულტურულ ცხოვრებაში, მშენებლობაში, განათლებაში, სამედიცინო სფეროში, მეცნიერებაში და რაც მთავარია, მათი მოტივაცია მუდმივად იყო გამყარებული თავის სამშობლოდან მხარდაჭერის იმედით.<sup>3</sup>

XVIII საუკუნეში კავკასიისადმი სამეცნიერო ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეკატერინე II-ის დავალებით, გერმანელი მეცნიერები მოვლენილ იქნენ კავკასიაში ფლორა-ფაუნის, ქვეყნის წიაღისეულის სიმდიდრის შესასწავლად. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა გიულდენშტედტის მიერ საქართველოს პირველი, დღესაც მოქმედი რუკა.

1836 წელს, იენელი პროფესორი კარლ კობი სამეცნიერო ექსპედიციას აწყობს გერმანიიდან, რომელშიც ენათმეცნიერი გუსტავ როზენი მონაწილეობს. კარლ კობის რეკომენდაციით, საქართველოში ჩამოვიდა ბაღების არქიტექტორი ჰაინრიხ შარერი, რომელმაც 30 წელი იცხოვრა დედაქალაქში, განაგებდა ბოტანიკურ მუზეუმს და ხელმძღვანელობდა პარკებისა და ბაღების, მათ შორის ბორჯომისა და ალექსანდრეს პარკის გაშენებას.

საქართველოში მოღვაწე მეცნიერთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა დორპარტის (რუსეთი) უნივერსიტეტში მოღვაწე გეოლოგი ჰერმან აბიხი(1806-1886). კავკასიის გეოლოგიის მამად წოდებული. მან 1846 წელს, გერმანული ფოლადის წარმოებისათვის მეტად საჭირო მანგანუმის საბადო აღმოაჩინა, ასევე შექმნა მეტეოროლოგიური სადგურების ქსელი მთელ კავკასიაში, რეგიონის კლიმატური თავისებურებების დასადგენად. მან პირველმა შეისწავლა თბილისის მინერალური წყლები. აბიხმა კავკასიის ტერიტორიაზე განათავსა მთელი ქსელი მეტეოროლოგიური სადგურებისა. იგი იყო მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი.

გერმანულ კოლონიტებსა და მეცნიერებს საქართველოში ნელ-ნელა გერმანული ეკონომიკაც შემოჰყვა. გამჭრიახ და პრაგმატულ გერმანულ პოლიტიკოსებსა და მენარმეებს კარგად ესმოდათ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ერთ-ერთი პირველი ფირმა, რომელმაც საქართველოში დაიწყო

3 I. Tatarashvili N, Evangelisch –Lutheranische Kirche in Georgien und im südlichen Kaukasus“, 2017 Tbilisi, გამომცემლობა-Evangelisch-Lutheranische Kirche in Georgien und im Sudlichen Kaukasus Seite 132

5 აუგუსტი გ. საქართველოში გერმანელების 200 წლიანი ცხოვრების ისტორიის საკითხები, თბილისი, 2017, გამომცემლობა- Assosiazion der Deutschen-Georgiens Einung, 192 გვ

საქმიანობა „სიმენსი და ჰალსკე“ იყო. ეს ფირმა ელექტროტექნიკისა და ტელეგრაფის განვითარებით იყო დაკავებული. მათ 1858 წელს თბილისსა და კოჭორს შორის ტელეგრაფის პირველი გადამცემი ხაზები გაიყვანეს.<sup>4</sup>

1945 წელს გერმანელი ფიზიკოსების განკარგულებაში იყო სოხუმის ფიზიკატექნიკური უნივერსიტეტი, (რომელიც მოგვიანებით ილია ვეკუას სახელს ატარებდა), რომლის ხელმძღვანელი იყო ბარონი ფონ არდენე- სპექტომეტრის შემქმნელი, ტელევიზიის დამფუძნებელი, ელექტრონული მიკროსკოპის სხვა ხელსაწყოების გამომგონებელი.

გერმანელი კოლონისტების სახელთანაა დაკავშირებული თბილისის პირველი აფთიაქი, თბილისს მონვეულნი იყვნენ გერმანელი ექიმები სხვადასხვა სფეროდან, განსაკუთრებით მოთხოვნადი იყო კბილის ექიმები და მათ შორის სტომატოლოგი ოტო გოტლიბ ჰაინე.

თბილისის ისტორიისაგან განუყოფელია გერმანელი არქიტექტორების წვლილი. მათი აშენებული შენობა-ნაგებობებით მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურული სახე ჩამოყალიბდა.

გერმანელი მხატვრების მიერ, საქართველოში ყოფნისას, იოზეფ ჰეტინგმა შექმნა გიორგი XII-ის პორტრეტი, ასევე ლადო გუდიაშვილის მასწავლებელი რიჰარდ ზომერი სანკტ-პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების წევრი იყო და 1912 წელს ჩამოვიდა თბილისში, დაიწყო ხატვის მასწავლებლად მუშაობა.[4;102]

გერმანელი არქიტექტორების მიერ აშენებული შენობებიდან აღსანიშნავია: პავლე შტერნი-გერმანელი არქიტექტორი, რომლის აშენებული სახლებიც დავით აღმაშენებლის, გრიბოედოვისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩებზე გამოირჩევა რენესანსულ-ბაროკული სტილით, მრავალი არქიტექტურული დეტალითა და პროფილით გადატვირთული ფასადები, რომლებიც 1880-იან წლებში თბილისში მრავლად შეიმჩნეოდა. ყველაზე დასამახსოვრებელი მისი შემოქმედებიდან არის დღევანდელი თბილისის საკრებულოს შენობა, რომლის რეკონსტრუქცია 6 წელი გაგრძელდა.<sup>5</sup>

ვ. შრეტერის ოპერის თეატრი- რომელიც 1874 წლის 11 ოქტომბერს გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა, ოპერამ ამის შემდეგ 22 წლით „საზაფხულო თეატრის“ სცენაზე გადაინაცვლა. 1896 წელს გოლოვინის პროსპექტზე( დღევანდელი რუსთაველის გამზირი) დამთავრდა გერმანელი არქიტექტორის ვიქტორ შრეტერის მიერ დაპროექტებული, 1200 კაცზე გათვლილი , ახალი საოპერო თეატრის მშენებლობა(დღევანდელი შენობა).

ლევოპოლდ ბილფელდი გერმანელი არქიტექტორი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურს დამთავრებული. მის ნამუშევართა შორის ყველაზე წარმოსაჩენია: მეფის ნაცვლის სასახლე ლიკანში, „სასტუმრო „ვეტცელი“- აღმაშენებლის გამზირზე 103 ნომერში, მე-20 საუკუნეში დანგრეული „კირხე“ აღმაშენებლის გამზირზე და ბევრი საცხოვრებელი სახლი- რენესანსულ-ბაროკულ სტილში.

ლ. ბილფელდის ქაშვეთის ტაძარი- ახალი ტაძრის პროექტის შესრულება, დეკანოზ მარკოზ ტყემალაძის ინიციატივით, ხუროთმოძღვარ ლევოპოლდ

4 აუგსტი გ. საქართველოში გერმანელების 200 წლიანი ცხოვრების ისტორიის საკითხები, თბილისი 2017, გამომცემლობა- Assosiazion der Deutschen-Georgiens Einung, 192 გვ

5 <https://taa.net.ge/en/index/> - უკანასკნელად გადამოწმებულია 31.12.2022

ბილფელდს დაევალა. ქაშვეთის დღევანდელი ანუ მესამე ეკლესიის ამოღება 1904 წელს დაიწყო. საყრდენის ძებნამ მინის გათხრა საკმაოდ ღმად მოითხოვა, რამაც პროექტის შეცვლა გამოიწვია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორსართულიანი ეკლესია აშენებულიყო, ერთი-ღრმა საძირკვლის ხარჯზე, ხოლო მეორე ბილფელდის პროექტით გათვალისწინებული, სამთავისის ეკლესიის ანალოგი, პირველის თავზე.

ოთო იაკობ სიმონსონის მეფისნაცვლის სასახლე ყოფილი პიონერთა სასახლე,, რომლის დახმარებით სასახლის რეკონსტრუქცია განხორციელდა, წარმოადგენდა XIX საუკუნის თბილისის უმნიშვნელოვანეს და გამორჩეული შენობას რუსთაველის გამზირზე თავისი თაღებითა და ფასადით.

ალექსანდრე შიმკევიჩი(1860-1907) გერმანელი არქიტექტორი, რომლის ნამუშევრებს მიეკუთვნება:თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრი, აბრეშუმის მუზეუმი, უმაღლესი სასამართლოს შენობა, თბილის კონსერვატორია და დღევანდელი გერმანიის საელჩოს შენობა.

1819 წელს თბილისში ჩამოსახლებულმა ვიურტემბერგელმა ხარაზმა ფრიდრიხ ზალცმანმა ჯერ საქართველოში პირველი ლუდსახარში ამოქმედა, სადაც ბავარიული ლუდი მზადდებოდა, ცოტა მოგვიანებით კი ერთ-ერთი პირველი სასტუმრო გახსნა. XX საუკუნის დასაწყისში მიხეილის (აღმაშენებლის გამზირი 103) ვაჭარმა იაკობ ფრიდრიხ ვეტცელმა სასტუმრო გახსნა, რომელიც იმდროინდელი მოწინავე ტექნოლოგიით იყო აღჭურვილი. თბილისში პირველი მესაათეებიც გერმანელები იყვნენ. თბილისის საკრებულოს შენობის საათი იულიუს ჰიონემ დაადგა.<sup>6</sup>

თბილისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებლის გუსტავ რადეს ინიზიატივით გერმანელმა მხატვარმა, მაქს ტილკემ მთელი საქართველო შემოიარა და 83 მნიშვნელოვანი ნამუშევარი შექმნა, რომელშიც ასახულია უამრავი ეთნოგრაფიული სამოსი.

ალექსანდრე ზალცმანი - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. თეატრალური მხატვარი ირინა შტენბერგი, თბილისელი გერმანელი ბორის ფოგელი პეიზაჟები,ჩანახატების და ძველი თბილისის ნახატების ავტორი.

1874 წელს თბილისში გაიხსნა კერძო მუსიკალური სკოლა, რომელშიც დასაქმებული იყვნენ გერმანელი პედაგოგები და რომელიც საფუძვლად უდევს 1917 წელს თბილისის კონსერვატორიის დაარსებას.

მართლაც, რომ შეუფასებელია გერმანული თემის მიერ საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში შეტანილი წვლილი, რომლებმაც უკვდავყვეს მათი სახელები და დასაბამი მისცეს საქართველოს ევროპული იერით და ამავე დროულად საკუთარი უნიკალური სიძველის და ტრადიციების შენარჩუნებით განვითარებას და დიდი როლი ითამაშეს თბილისის ახლებური ხასითის შექმნაში. აქვე მინდა ავლნიშნო 2017 წელი, როგორც გერმანიასა და საქართველოს შორის 25 წლიანი თანამშრომლობის და გერმანული თემის კავკასიაში ჩამოსახლების 200 წლის საიუბილეო თარიღი და ამ სფეროში გატარებული ღონისძიებები, რომელთა დახმარებითაც მოხდა ქართული კულტურის მეტად პოპულიზაცია გერმანიაში.

6 აუგსტი გ. საქართველოში გერმანელების 200 წლიანი ცხოვრების ისტორიის საკითხები, თბილისი2017, გამომცემლობა- Assosiazion der Deutschen-Georgiens Einung,192 გვ

### **ბიბლიოგრაფია:**

- შპრინგჰორნი დ. გერმანელები საქართველოში, თბილისი, გოეთეს ინსტიტუტი, 2004  
Чернова-Деке. Депортация немцов из Кавказа, Россия 2011 издательство россия, ст 195  
Tatarashvili N, Evangelisch –Lutheranische Kirche in Georgien und im südlichen Kaukasus“, 2017  
Tbilisi, გამომცემლობა-Evangelisch-Lutheranische Kirche in Georgien und im Sudlichen Kaukasus  
Seite 132
- აუგსტი გ. საქართველოში გერმანელების 200 წლიანი ცხოვრების ისტორიის საკითხები,  
თბილისი 2017, გამომცემლობა- Assosiazion der Deutschen-Georgiens Einung, 192 გვ  
<https://taa.net.ge/en/index/> - უკანასკნელად გადამოწმებულია 30.06.2022

**Teona Kacharava-Tsinauri**

*Technical University*


## **GERMAN ARCHITECTURAL HERITAGE OF XIX-XX CENTURY IN TBILISI**

**Key words:** German tom, architectural heritage.

The article which is presented below discusses the German architectural heritage of the XIX-X century in Tbilisi ,created during the life of the German community working in Georgia. The history of German colonists in Georgia begins in 1817 and over the years has a great economic and cultural development. The works of German scientists, architects, artists, musicians and writers left an indelible mark on 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> Tbilisi’s cultural heritage.

Our goal is to populize the historical architectural heritage, which was implemented by the German community from the very first day of settlement in Georgia. According to the results of the research, we can conclude how close ties exist between Germany and Georgia in cultural relations and how much the German community’s creativity played a role in the development of our country and its approximation to European civilization.

## მედიცინა და ეკონომიკა



ქეთევან ბარათელი



თამარ ბარათელი

### ევროპის პოლიტიკა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის

სკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, ოკუპირებული ტერიტორიები, ევროპა

ევროპის პოლიტიკის ჩარჩო ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის მთავრობებისა და საზოგადოების ქმედების მხარდასაჭერად მიზნად ისახავს შორსმჭვრეტელ და ამბიციურ დღის წესრიგს. ცხოვრების ყველა სტადიაზე ჯანმრთელობის მაქსიმალურად გაუმჯობესება თითოეული ჩვენგანის ფუნდამენტური უფლება და არა მხოლოდ ზოგიერთი ჩვენგანის პრივილეგიაა. კარგი ჯანმრთელობა აქტივია და ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის წყარო. ის სიღარიბისშესამცირებლად გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენს და ასევე ხელს უწყობს და ამავდროულად სარგებლობს მდგრადი განვითარებით. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ კარგი ჯანმრთელობა აღარ მიიჩნევა როგორც მხოლოდ ერთი სექტორის შედეგი: ჯანმრთელობის მდგრადი და თანასწორი გაუმჯობესება, მთავრობების ყველა სექტორის ეფექტური პოლიტიკის და საზოგადოების ყველა ნაწილის თანამშრომლობის შედეგია.

სწორედ ეს გაგება უდევს საფუძვლად ევროპილსტრატეგიას. რეგიონში არსებული გამოწვევები მნიშვნელოვანია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უთანასწორობა ქვეყნებში და ქვეყნებს შორის, ასახავს ეკონომიკურ და სოციალურ

გაყოფას საზოგადოებაში. რაც უფრო მძიმეა ეკონომიკური წნეხი და მზარდი ჯანდაცვის გადასახადი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სარგებლის მიღებიდან ადამიანის მიღმა დარჩენის რისკი იზრდება, და ეს ძალიან ხშირად უკან ტოვებს მათ, ვისაც ჯანდაცვის ყველაზე დიდი საჭიროება აქვთ<sup>1</sup>.

ევროპის ჩარჩო შეესაბამება ჯანმოს მუშაობის მეთორმეტე გენერალურ პროგრამას და წარმოადგენს ჯანმოს რეფორმის პროგრამის პრაქტიკულ გამოხატვას, რომელიც ცდილობს საშუალებას აძლევს ჯანმოს სწრაფად ცვალებად სამყაროში წვერი ქვეყნების საჭიროებებს უფრო ეფექტურად უპასუხოს. ევროპის რეგიონში, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, ამ ჩარჩოში შემოთავაზებული შედეგები საჭიროებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეძლონ მუშაობა არამხოლოდ შერჩეულ დარგობრივ სამინისტროებთან, არამედ მთავრობების ყველა შესაბამის ნაწილთან.

ფლაგმანი ინიციატივის „ევროპული პლატფორმა სიღარიბის წინააღმდეგ“ მიზანია ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობა, სიღარიბის და სოციალური გარიყულობის დამარცხება. ევროკავშირის დონეზე ევრო კომისია მუშაობს სოციალური გარიყულობის და სოციალური დაცვის კოორდინაციის ღია მეთოდის თანამშრომლობის, ექსპერტიზის და საუკეთესო გამოცდილების გაცვლის პლატფორმად ტრანსფორმაციაზე, ყველაზე უფრო დაუცველებისათვის სოციალური ინოვაციის პროგრამების შემუშავების და განხორციელების ნახალისებაზე, სოციალური დაცვის და საპენსიო სისტემების ადექვატურობის და მდგრადობის შეფასებაზე<sup>2</sup>.

ეროვნულ დონეზე წვერი ქვეყნები მუშაობენ განაწილებული კოლექტიური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერაზე სიღარიბის და სოციალური გარიყულობის დასამარცხებლად, განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების სპეციფიკური პირობების გადასაჭრელად ზომების განსაზღვრაზე და მათ განხორციელებაზე, ადექვატური შემოსავლის მხარდასაჭერად და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სოციალური უზრუნველყოფის და საპენსიო სისტემების სრულ გამოყენებაზე.

„ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობა თითოეული ადამიანის ერთერთი ფუნდამენტური უფლებაა.“ ჯანმოს ევროპის რეგიონის ქვეყნების მიერ აღიარებულია უფლება ჯანმრთელობაზე და მათ ნაკისრი აქვთ პასუხისმგებლობა თავიანთი ჯანდაცვის სისტემების ორგანიზება და დაფინანსება მოახდინონ უნივერსალობის, სოლიდარობისა და თანასწორი ხელმისაწვდომობის ფასეულობებზე დაყრდნობით. მათ მიზნად აქვთ დასახული ჯანმრთელობის უმაღლეს დონეს მიაღწიონ, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, ასაკისა, სოციალური სტატუსისა ან გადახდისუნარიანობისა. ეს ფასეულობები მოიცავს, სამართლიანობას, მდგრადობას, ხარისხს, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, გენდერულ თანასწორობას, ღირსებას და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლებას<sup>3</sup>.

1 <https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=2572127e-bdcc-4263-bfc8-94d16ed6f9c0>

2 <http://research.ciu.edu/uploads/files/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>

3 იქვე

გამოწვევა, რომლის წინაშეც ჯანდაცვის დანახარჯი მთავრობებს აყენებს, დიდია ვიდრე აქამდე ყოფილა. ბევრ ვეყანაში მთავრობის ბიუჯეტის ჯანდაცვის წილი მეტია, ვიდრე არასდროს, და ჯანდაცვის დანახარჯები გაიზარდა მთლიან შიდა პროდუქტზე მეტად, მაგრამ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის მონაცემი აჩვენებს, რომ ჯანდაცვის შედეგებს და დანახარჯებს შორის კორელაცია დაბალია.

ჯანდაცვის სექტორში რესურსების ეფექტიანმა გამოყენებამ შესაძლოა დაზოგოს დანახარჯები. ევროპის ჯანდაცვის სისტემებს მოეთხოვება შესრულების გაუმჯობესება და ახალი გამოწვევების პასუხი. სერვისების რეკონფიგურაციამ, ახალი პასუხისმგებლობების შექმნამ, წახალისების და გადასახადების სტრუქტურის შემოღებამ შესაძლოა ფულს მეტი ღირებულება შესძინოს. ჯანდაცვის სისტემები, როგორც სხვა სექტორები, საჭიროებს ადაპტირებას და ცვლილებას. ჯანდაცვის პოლიტიკის განცხადებები ისეთი ორგანიზაციების მხრიდან როგორცაა ევროკავშირი და „ეთგო“ ამას ამყარებს. გლობალიზებულ სამყაროში ქვეყნებს კიდევ უფრო მეტად მოეთხოვებათ ერთად იმუშაონ რათა ჯანდაცვის მრავალი ძირითადი გამოწვევა გადაწყვიტონ. ეს საჭიროებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. თუ ქვეყნები, რეგიონები და ქალაქები ჯანდაცვასა და სხვა სექტორებს შორის ერთობლივ ამოცანებს დაისახავენ და საერთო ინვესტიციებს გააკეთებენ, მათ შეუძლიათ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ. საჭიროა ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემების და სერვისების განვითარება ჯანმოს ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის.

პირველად ჯანდაცვას შეუძლია დღევანდელი საჭიროებებს უპასუხოს პარტნიორობის, გარემოს გაძლიერების უზრუნველყოფით, და ადამიანების წახალისებით ახალი გზებით მიიღონ მონაწილეობამათ მკურნალობაში და უკეთესად იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე<sup>4</sup>.

XXI საუკუნის ინსტრუმენტების და ინოვაციების, როგორცაა საკომუნიკაციო ტექნოლოგია - ელექტრონული ჩანაწერები, ტელემედიცინა და ელ-ჯანმრთელობა (EHEALTH), სოციალური მედია, უკეთ გამოყენება ხელს შეუწყობს უკეთეს და უფრო ხარჯთეფექტურ მზრუნველობას<sup>5</sup>.

ევროპული გამოცდილებით ჯანდაცვის მომსახურების პროცესი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: 1. ადეკვატური მომსახურება – გულისხმობს, თუ რამდენად თანხვედრაშია პაციენტის კლინიკურ საჭიროებასთან სპეციფიური ტესტი, პროცედურა თუ სერვისი, და თუ რამდენად მეტია ჩატარებული მომსახურების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის სარგებელი (შემცირებული ტკივილი, ფუნქციური გაუმჯობესება, მომატებული სიცოცხლის ხანგრძლივობა, გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი) შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე (დაავადების გართულება, დეპრესია, ტკივილი პროცედურის დროს და მის შემდეგ, მცადრი დიაგნოზი, სიკვდილი). არაადეკვატური მომსახურების ქვეშ იგულისხმება როგორც ზედმეტი სამედიცინო ჩარევა, ისე მისი დეფიციტი. 2. მომსახურების უწყვეტობა – გულისხმობს თუ რა ხარისხით აქვს პაციენტს განმეორებითი ვიზიტების დროს ერთი და იგივე ექიმთან ურთიერთობა და რამდენად შეუძლია პაციენტს იმ ექიმის იდენტიფიცირება, რომელიც პასუხისმგებელია მის

4 <https://dspace.tsu.ge/handle/123456789/695>

5 <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/291493/1/InformaciuliSistemebiDaSaqartvelosJandacva.pdf>



ჯანმრთელობაზე (როცა, მკურნალობის პროცესში ჩართული არიან სხვა ექიმებიც). ან მაგალითად, რამდენად ხდება პაციენტის განწერის შემდეგ მისი გადაბარება პირველადი ჯანდაცვის რგოლზე შემდგომი დაკვირვებისა და რეაბილიტაციის პროცესზე მეთვალყურეობისათვის, რამდენად არის უკუკავშირის სისტემა სპეციალისტთან; 3. მომსახურების კოორდინაცია – გულისხმობს თუ რამდენად საქმის კურსშია მკურნალი ექიმი (პირველადი, თუ ვინრო სპეციალისტი), ყველა იმ (Chassin MR, Park RE, Kahn KL, Kosecoff J) მკურნალობის სქემების შესახებ, რომელსაც პაციენტი იღებს, და რამდენად ახორციელებს კომუნიკაციას სხვა სპეციალისტებთან; 4. მომსახურების დროულობა – გულისხმობს, განისაზღვროს ჩარევის დროულობა პაციენტის სურვილის მიუხედავად. ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტის სურვილი და ჩარევის საჭიროება არ ემთხვევა ერთმანეთს. აქ მნიშვნელოვანია პაციენტთან სწორი კომუნიკაციის წარმართვა და ახსნაგანმარტების ჩატარება დროზე ადრე ან გვიან ჩატარებული ჩარევის რისკების შესახებ; 5. თანასწორობა მომსახურების პროცესში – მომსახურება თანაბრად უნდა მიეწოდოს სხვადასხვა პაციენტს (ერთი და იგივე დიაგნოზების შემთხვევაში); მაგალითად სამედიცინო მომსახურების მიღების შანსი (ბარძაყის თავის პროტეზირება ან სხვა ჩარევა) ერთნაირი უნდა იყოს სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობის პაციენტებისათვის 6. ხელმისაწვდომი მომსახურება – მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც გეოგრაფიულად ისე ფინანსურად და ხარისხობრივად. არ უნდა არსებობდეს ისეთი სისტემა როდესაც პაციენტი უარს ღებულობს სამედიცინო მომსახურებაზე რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამო ან გადაუდებელ მომსახურებაზე ფინანსური შესაძლებლობის არქონის გამო. 7. სოციალურად მიღებული მომსახურება - სამედიცინო სერვისი უნდა ასახავდეს თუ პოტენციურად რა შეიძლება უნდოდეს პაციენტს და როგორ. წარმოებული სერვისი უნდა აკმაყოფილებდეს მის მოლოდინებს. ძირითადად ის მოითხოვს სამედიცინო პერსონალისაგან ისეთ თვისებებს, როგორიცაა: გულსხმიერება, პატივისცემა, მეგობრულობა, მგრძობელობა და კომუნიკაციის შესაძლებლობა, რათა პაციენტს, მისთვის გასაგებ ფორმებში მიეწოდოს სრული ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ; 8. მომსახურების უსაფრთხოება – განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა ისეთი საკითხი, როგორიცაა პაციენტთა უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი ამერიკის მედიცინის ინსტიტუტის (IOM) 1990წ. ანგარიშის შემდეგ. უსაფრთხოება მოიცავს მომსახურების ხარისხის სხვადასხვა ასპექტებს. განსაზღვრების მიხედვით, უსაფრთხოება ეს არის გართულების რისკებისაგან, დაზიანებისაგან და არასასურველი შედეგისაგან პაციენტის დაცულობა. ჯანდაცვაში უსაფრთხოება განსაზღვრავს, თუ რამდენად არის შემცირებული ინტერვენციისა (წამალი, პროცედურა) თუ გარემო ფაქტორების (დაცემა, მოტეხილობა) და ასევე პერსონალის მხრიდან გამოწვეული რისკები<sup>6</sup>.

მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახაჯების მოცულობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (EU15) 8% - ია, ევროკავშირის ქვეყნებში (EU28) 7.3 %, ხოლო საქართველოში 2017 წლის მონაცემებით იგი შეადგენს 2.9 % - ს. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია, მაინც საგრძნობლად ჩამორჩება დასავლეთ ევროპისა და ევროკავშირის პროცენტულ მაჩვენებელს<sup>7</sup> საქართველოში, სახელმწიფო დანახაჯები ერთ სულ მოსახლეზე

6 [http://press.tsu.edu.ge/data/image\\_db\\_innova/Nata-Yazakhishvili.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Nata-Yazakhishvili.pdf)

7 [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

ზრდის ტემპით ხასიათდება. 2014 წელს იგი შეადგენდა 186 ლარს, ხოლო 2017 წელს კონკრეტული მაჩვენებელი 293 ლარამდე გაიზარდა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია, კონკრეტული ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაზე, ასევე ისეთ მახასიათებლებზე, როგორცაა სახელმწიფოში გატარებული პოლიტიკა და ეროვნული კულტურა. ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკასთან ერთად, სიმდიდრის განაწილებაზეც. რაც უფრო მეტი იქნება სახელმწიფო ინვესტიციები ჯანდაცვაში, მით უფრო მაღალი იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სიტემის განვითარების ზრდის ტემპი ფიქსირდება და სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი ფინანსების რაოდენობა იზრდება, აუცილებელია, გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯანდაცვის სრული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით<sup>8</sup>.

სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ ბიძგი მისცა ახალი სამედიცინო დანესებულებების შექმნას - ამბულატორიულ დანესებულებათა რაოდენობა 1.4 ჯერ, ხოლო საავადმყოფოთა სანოლოფონდი 1.5-ჯერ გაიზარდა 2014-19 წლებში. შედეგად, სახეგა ჯანდაცვის სისტემის ჭარბი ინფრასტრუქტურა და დაბალი ეფექტურობა. 2019 წელს სანოლოების მხოლოდ 49% იყო დატვირთული, რაც მკვეთრად ჩამორჩება ევროკავშირის (77%) და დსთ-ს (83%) საშუალო მაჩვენებლებს. ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებს სექტორის ფინანსურ შედეგებზე<sup>9</sup>.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად თვასეულობებს, როგორცაა ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლიანობა, რაც, სხვა მიმართულებებთან ერთად, მოიცავს სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას<sup>10</sup>.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის ეკონომიკურ არგუმენტებს, რომელთა თანახმადაც, საზოგადოების ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. მოსახლეობის ავადობა, სიკვდილიანობა და უნარ-შეზღუდულობა მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს როგორც ადამიანური რესურსის მწარმოებლურობის, ისე, ზოგადად, ეკონომიკური განვითარების კუთხით. გარდა ამისა, ჯანდაცვა თავად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს დასაქმების, ახალი ტექნოლოგიების კვლევებისა და განვითარების, ასევე, ზოგადად, ეკონომიკური აქტივობების თვალსაზრისით.

აღნიშნული თვასეულობების, პრინციპებისა და არგუმენტების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული პოლიტიკური დეკლარაციები და სამოქმედო პლატფორმები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ათასწლეულის განვითარების დეკლარაცია და ჯანდაცვის კუთხით შეთანხმებული სამიზნეები; ალმა-ატის დეკლარაცია პირველადი ჯანდაცვის შესახებ; მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო გეგმა (ქაიროს პლატფორმა); ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუცია და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის

8 <https://openscience.ge/bitstream/1/2353/1/Salome%20Khurtsilava.pdf>

9 <https://galtandtaggart.com/upload/reports/17234.pdf>

10 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250?publication=0>

რეგიონალური ბიუროს „ჯანმრთელობა 2020“ პლატფორმა; ადელაიდას შეთანხმება „ჯანმრთელობა ყველა პოლიტიკაში“, „პარიზის დეკლარაცია“ საერთაშორისო განვითარებისთვის დახმარების ეფექტური ჰარმონიზაციისათვის; პოლიტიკური დეკლარაცია სოციალური დეტერმინანტების შესახებ (რიოს დეკლარაცია) და სხვა<sup>11</sup>.

დასკვნა. დღეისათვის საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა თუ სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ გატარებული პოლიტიკა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამშვიდობო პროცესის საინიციატივო წინადადებები და ფორმატები, წარმართოს სამშვიდობო პროცესები და მონაწილეობა მიიღოს მათში. აღნიშნული პოლიტიკა ასევე გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა/ო) მცხოვრები პაციენტების მკურნალობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას. „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები სარგებლობენ ჯანდაცვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით. აღნიშნული<sup>12</sup>. აღნიშნული პროგრამები დადებით განწყობებს იწვევს აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობაში.

### ბიბლიოგრაფია

<https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=2572127e-bdcc-4263-bfc8-94d16ed6f9c0>

ბოლო ნახვა 06.07.2022

<http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf> ბოლო ნახვა 04.07.2022

<https://dspace.tsu.ge/handle/123456789/695> ბოლო ნახვა 05.07.2022

<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/291493/1/InformaciuliSistemebiDaSaqartvelo sJandacva.pdf> ბოლო ნახვა 06.07.2022

[http://press.tsu.edu.ge/data/image\\_db\\_innova/Nata-Yazakhishvili.pdf](http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Nata-Yazakhishvili.pdf) ბოლო ნახვა 01.07.2022

[www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge) ბოლო ნახვა 06.07.2022

<https://openscience.ge/bitstream/1/2353/1/Salome%20Khurtsilava.pdf> ბოლო ნახვა 03.07.2022

<https://galtandtaggart.com/upload/reports/17234.pdf> ბოლო ნახვა 02.07.2022

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250?publication=0> ბოლო ნახვა 06.07.2022

10. <https://matsne.gov.ge/en/document/view/2657250?impose=parallelEn&publication> ბოლო ნახვა 02.07.2022

<sup>11</sup> <https://matsne.gov.ge/en/document/view/2657250?impose=parallelEn&publication=0>

<sup>12</sup> [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=&sec\\_id=888](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=888)

## **EUROPEAN POLICY FOR HEALTH AND WELL-BEING**

**Keywords:** health care, occupied territories, Europe

A European policy framework to support government and public action for health and well-being aims for a far-sighted and ambitious agenda.

Optimizing health at all stages of life is a fundamental right of each of us, not just a privilege of some of us. Good health is an asset and a source of economic and social stability. It is a crucial element to reduce poverty. The European framework corresponds to the twelfth general program of work of WHO. The goal of the flagship initiative “European Platform against Poverty” is economic, social and territorial unity, defeating poverty and social exclusion. “Enjoyment of the highest standard of health is one of the fundamental rights of every human being.” The right to health is recognized by the countries of the WHO European Region. State policy in the field of health care is based on such basic values as protection of human rights and justice. The health status of the population depends on the social structure of a particular country, as well as on such characteristics as the policies and national culture of the state. Currently, all citizens of Georgia are provided with basic medical services through universal health care or state and private insurance programs. In this regard, the policy towards the occupied territories is an important step forward.



## ნოდარ გროძელიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს  
საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის  
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუნი აფილირებული პროფესორი

## ევროკავშირის რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ასპექტები

საკვანძო სიტყვები: რეგიონული პოლიტიკა, ევროკავშირი, სოციალური პოლიტიკა

**შესავალი.** ევროკავშირისათვის დღევანდელ ეტაპზე დამახასიათებელია რეგიონული პოლიტიკისადმი ინტერესების ზრდა ზოგადად, ხოლო განსაკუთრებით კი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკისადმი, როგორც რეგიონებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციების გამოთანაბრების ინსტრუმენტისადმი.

ამჟამად ევროკავშირის ფარგლებში მიმდინარეობს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმის პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ფაქტობრივად თითქმის გაორმაგდა რეგიონებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები. დადგინდა იმ რეგიონების ჩამონათვალი, რომლებიც სტრუქტურული ფონდიდან მიიღებენ დაფინანსებას. შექმნილია ფონდი - ერთიანობის ფონდი (Cohesion Fund), რომლის ამოცანაა მაქსიმალური ფინანსური დახმარება გაუწიონ ევროპის შედარებით ღარიბ ქვეყნებს<sup>1</sup>.

**ძირითადი ტექსტი.** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს დიდი ფინანსური სახსრების გამოყოფას, რისთვისაც ევროკავშირი ყოველთვის არ იყო მზად. ეს ნათლად გამოვლინდა ბოლო ეკონომიკური კრიზისის დროსაც, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოითხოვეს ფინანსური დახმარება, რაზედაც უარის თქმა მოუწია ევროკავშირს. პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ რეგიონული პოლიტიკის საბოლოო ეფექტი ვლინდება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების (ეფექტიანობის) პროგნოზირება გართულებულია, რაც გარკვეულ პესიმიზმს ჰბადებს ამ პოლიტიკის

<sup>1</sup> გროძელიშვილი ნ., ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა. გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი 2019. გვ.426

გამტარებლებს შორის. რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნების მიმართ არაერთგვაროვანია, რადგან განსხვავებულია მასში შემავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეები.

რეგიონულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ აქტიურად უნდა შეასრულოს სახელმწიფოს მარეგულირებელი სისტემის როლი. ქვეყანაში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების პროცესი ევოლუციური უნდა იყოს და მან უნდა უზრუნველყოს:

1. განსახორციელებელი პოლიტიკის თანმიმდევრობითობა;

2. პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირება;

3. თანმიმდევრული წინსვლა ტერიტორიული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიის მიზნების განხორციელებაში<sup>2</sup>.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი ინსტრუმენტი გამოიყენება, რომელთაც სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნიათ სხვადასხვა ქვეყნისათვის. ეს ინსტრუმენტები შეიძლება იყოს წმინდა ეკონომიკური ან კიდევ პოლიტიკური ხასიათის, რომელიც თავისი შინაარსით და საბოლოო შედეგებით მაინც ეკონომიკური ხასიათისაა. ისტორიული განვითარების კუთხით შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური რეგიონული პოლიტიკის ხუთი ძირითადი ჯგუფი:

- ლონისძიებები, რომლებიც მიმართულია ახალ საწარმოთა განლაგების შესაბამისად ჭარბად დასახლებულ რეგიონებში;

- ეკონომიკური განვითარების სფეროში სახელმწიფოს საქმიანობის სივრცობრივი გადანაწილება;

- კომპანიათა საქმიანობის სტიმულირება ფინანსური მხარდაჭერის გზით;

- ინფრასტრუქტურის ფორმირება;

- ლონისძიებები რეგიონული განვითარების სტიმულირებისაკენ.

ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით თანდათანობით მცირდება ამ ბოლო წლებში. დღევანდელ ეტაპზე როგორც ევროკავშირის ქვეყნები, ასევე სხვა განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტად ძირითადად გამოყოფენ ფინანსურ ბერკეტებს<sup>3</sup>.

ფულადი პოლიტიკის კომპეტენცია, ეკონომიკისა და სავალუტო კავშირის ჩარჩოს ფარგლებში, ევროპულ დონეზე გადავიდა, თუმცა, ფინანსური პოლიტიკა კვლავაც წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში რჩება. ამის შედეგად, ეკონომიკისა და ფულად კავშირს აშკარად ასი-მეტრიული სტრუქტურა ჰქონდა: ქვეყანათაშორისი ფულადი პოლიტიკა და ეროვნული ფინანსური პოლიტიკა<sup>4</sup>. მასტრიხტის ეკონომიკური და ფულადი კავშირისთვის შექმნილი „დელორსის გეგმა. უპირატესობას ანიჭებს ასიმეტრიული სტრუქტურის შექმნას მიმდინარე ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური პოლიტიკის ევროპიზაციის პარალელურად.

2 ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიძე, ნ. გალახვარიძე, ნ. ნადარეშივილი „რეგიონული ეკონომიკა“ სახელმძღვანელო. თბ. 2010. გვ.127

3 Уткин Э.А., Денисов А. Ф. Региональная политика стран-членов ЕС. М.: 2005, с. 1.87

4 Dullien, Sebastian; Schwarzer, Daniela (2009): Fiskalpolitik im Euroraum: Reformbedarf und Reformoptionen, in: WSI-Mitteilungen, No. 9.

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ევრო-პისთვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის ეკონომიკის პოლიტიკის სისტემის სისუსტეებს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რეაგირება ფინანსურ ბაზარსა და ეკონომიკურ კრიზისებზე (ყოველ შემთხვევაში, პირველ პერიოდში) არათანმიმდევრული და არაკოორდინირებული იყო და საკმაოდ წინააღმდეგობრივიც კი.

ევროკავშირი ვერასოდეს შეძლებს განავითაროს თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მხოლოდ ფასის სტაბილურობაზე მიმართვით და ფისკალური პოლიტიკის არსებული ინსტიტუციური სტრუქტურებით (სადაც წევრი ქვეყნები არიან გადანყვეტილებების მიმღებები). ეკონომიკური კრიზისის (რომელიც ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს აზარალებს) გადასაჭრელად, აშკარად არ იყო მიღებული დროული ზომები, არ იყო სათანადო კოორდინაცია და საკმარისი რესურსები. ამ ყველაფერმა კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა და გაახანგრძლივა.

ევროკავშირში რეგიონული განვითარება პრიორიტეტული მიმართულებაა და მთლიანი ბიუჯეტის მესამედი - ეთმობა. დაფინანსება სამი ძირითადი ფონდის მეშვეობით ხორციელდება - ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი, რომელიც ეკონომიკური ზრდის, დასაქმების და ინფრასტრუქტურული განვითარებისკენაა მიმართული, დაახლოების ფონდი, რომლის კომპეტენციის სფეროებია - ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და ენერჯეტიკა და ევროპის სოციალური ფონდი, აფინანსებს ადამიანური რესურსის განვითარებას განათლებისა და ტრენინგის გზით. ევროკავშირის რეგიონული განვითარება სამ უმთავრეს მიზანს ემსახურება:

- რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრა;
- რეგიონული კონკურენტუნარიანობის ზრდა და დასაქმება;
- რეგიონებს და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ამ სამი მიზნის მისაღწევად, თითოეულ ქვეყანას აქვს შემუშავებული გრძელვადიანი რეგიონული განვითარების სტრატეგია. სტრატეგიაში მოცემულია მთელი რიგი გაზომვადი მიზნები, რომელთა მიღწევაც მოკლე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში იგეგმება. ასე მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნების მასშტაბით გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს 20 დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის 75 პროცენტიანი დასაქმების მიღწევა; კვლევისა და განვითარების მიმართულებით, ევროკავშირის მთლიანი მშპ-ს 3 პროცენტის მიმართვა; საშუალო განათლების გარეშე დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობის 10 პროცენტამდე შემცირება, სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა 20 მილიონით შემცირება; კლიმატური ფაქტორების გაუმჯობესება.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის პროცესში, აუცილებელია სოციალური უსაფრთხოების ბენეფიტების დონეების ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. ასაკის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და უმუშევრობის ბენეფიტები არა მხოლოდ უნდა მიუახლოვდეს, არამედ, ევროკავშირის ნორმებთან აბსოლუტურად თავსებადი უნდა იყოს.

რეგიონული ეკონომიკური განვითარება მოწოდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამის საფუძველზე კი გაფართოებული კვლავწარმოება. მოცემული ფუნქციის რეალიზაცია კი ძირითადად

რეგიონული სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირების საშუალებით, სამუშაო ადგილების შექმნითა და სოციალური სფეროს განვითარებითაა შესაძლებელი<sup>5</sup>.

საერთო ევროპული ჩარჩოს ჭრილში, რეგიონული პოლიტიკის განვითარებაზე ასევე ზემოქმედებს ევროკავშირის კოჰეზიის (რეგიონული განვითარების გაძლიერების) ჩარჩო პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად საინვესტიციო პოლიტიკას და მიზნად ისახავს ევროკავშირის ყველა რეგიონსა და ქალაქში სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ ზრდას, მდგრად განვითარებასა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას (EU 2014). აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ ევროკომისიის განცხადება ხაზს უსვამს კოჰეზიის პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ „ზოგიერთ პარტნიორს აქვს სტრუქტურული პრობლემები, რაც გამომდინარეობს მწვავე ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობით რეგიონებს შორის“ (EC n/d). შესაბამისად, ევროკავშირმა გააკეთა შეთავაზება პარტნიორებთან რეგიონული პოლიტიკის დიალოგის წამოწყებისა და ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკაზე მისადაგებელი საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამის (PRDP) ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ (EC n/d).

საინტერესოა ევროკავშირის რეგიონული კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა. ევროკავშირში რეგიონების კონკურენტუნარიანობის განვითარების ფუძემდებლურ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ სტრუქტურული ფონდები, რომლებიც აერთიანებენ რეგიონალური ეკონომიკების კონკურენტუნარიანობისა და შრომისნაცოფიერების ამალღების პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს, მათი შემოსავლიანობის გაზრდისათვის ხანგრძლივადიან პერსპექტივაში. ფონდები მხარს უჭერენ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, ადამიანურ კაპიტალში, ინოვაციური შესაძლებლობების რეალიზაციაში და გარემომცველი გარემოს მდგრადი განვითარების გაუმჯობესებაში.

ევროკავშირის მიერ მიღებული დებულების თანახმად, ქვეყნის ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, თუ მის მოსახლეობას აქვს საკმაოდ მაღალი და მზარდი ცხოვრების დონე.

ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის და ცხოვრების დონის ტრადიციულ საზომს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე. თუმცა, აუცილებელია კიდევ რიგი ინდიკატორების სოციალური სფეროს, გარემომცველი გარემოს, ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის კეთილდღეობის, დასაქმების დონის (შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების პროცენტი) და ნაცოფიერების (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ დასაქმებულზე) პარამეტრების აღრიცხვისათვის.

შრომის ნაცოფიერება მიიჩნევა კონკურენტუნარიანობის კარგ მაჩვენებლად გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ შრომის ნაცოფიერების ზრდა ამალღებს კონკურენტუნარიანობას, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს და გავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა კი, ზრდის დასაქმებას. დასაქმება და შრომის ნაცოფიერება მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა ისინი საჭიროა განხილულ იქნან ცალკე, რადგან სინამდვილეში ერთი მაჩვენებლის მაღალი დონე აუცილებლად არ იწვევს მეორის მაღალ დონეს.

ევროკავშირი აქცენტს აკეთებს სტრუქტურულ ფაქტორებზე, რომლებიც

<sup>5</sup> [https://ec.europa.eu/regional\\_policy/sources/international/pdf/external\\_ka.pdf](https://ec.europa.eu/regional_policy/sources/international/pdf/external_ka.pdf)



განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობენ ხანგრძლივადიან ზრდას, კერძოდ – ინოვაციების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ადამიანური კაპიტალის სფეროში. ევროკავშირის საბჭოს ლისაბონის სხდომაზე წამოყენებულ იქნა ამოცანა, რათა მიღწეულ იქნას, რომ ევროკავშირის ეკონომიკა მომავალი ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში გახდეს ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი და მეცნიერებატევადი ეკონომიკა. კონკურენტუნარიანობის მიმართებით არსებობს გამოკვეთილი ურთიერთკავშირი ინოვაციების, ადამიანურ კაპიტალსა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს შორის.

მთლიანად ევროკავშირში რეგიონების კონკურენტუნარიანობის განვითარება დამოკიდებულია სანარმოო სტრუქტურის (მეცნიერებატევადი სამეურნეო საქმიანობისა და ინოვაციების განვითარების გზით) მოდერნიზაციითა და დივერსიფიკაციით ინფრასტრუქტურის ფიზიკური დონისა და ადამიანური კაპიტალის საკმაოდ დონის მიღწევაზე. ამასთან, აუცილებელია ჰორიზონტალური პირობების აღრიცხვა, რაც მდგომარეობს მდგრად განვითარებაში გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში რეგიონული პოლიტიკის განხორციელების უნივერსალურ მეთოდად მიჩნეულია კოჰერაციის მეთოდი, კერძოდ – მონეს მეთოდი. ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა ევროკავშირის განვითარების ყველა ეტაპზე, მათ შორის მაასტრიხტის 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის თებერვლის, აგრეთვე 2000 წლის ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებების დადებისას<sup>6</sup>.

2011 წელს ხელი მოეწერა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებულ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ფინანსურ შეთანხმებას (ფაზა 1), ხოლო 2014 წელს ამავე მიმართულებით თანამშრომლობის მე-2 ფაზას. კოჰეზიის პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებასაშუალებას იძლევა ევროკავშირის წევრისა ხელმწიფოების პრაქტიკის მისადაგებისა და „სხვადასხვა რეგიონებში განვითარების დონეებს შორის უთანასწორობის შემცირების“, სადაც ხაზი ესმევა ისეთი ადგილების მნიშვნელობას, როგორცაა სოფელი, ინდუსტრიული ტრანსფორმაციით დაზარალებული ზონები, მთიანი რეგიონები და სხვა (EU 2014, მუხლი 174).

დღეს ევროკავშირის საერთაშორისო დახმარება, მათ შორის საქართველოსთვის ოთხი ძირითადი ინსტრუმენტის მეშვეობით ხორციელდება:

\* გეოგრაფიული პროგრამები, რომლებიც ცალკეული რეგიონების ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. ასეთი დახმარებიდან საქართველო ყოველ სამ წელიწადში დაახლოებით 330-400 მლნ. ევროს ოდენობის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას იღებს.

\* თემატური პროგრამები, რომლებიც განვითარების კონკრეტული თემების დაფინანსებას უზრუნველყოფენ.

\* ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტები და გრანტები;

\* ევროკავშირის პროგრამები (Erasmus+5 , Horisont 2020) და სააგენტოები<sup>7</sup>.

6 <http://geoeconomics.ge/?p=4523>

7 <https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%99>

2010 წლის 6 ოქტომბერს, რეგიონთა კომიტეტის წევრებმა წარადგინეს პირველი დასკვნა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებით, რომელშიც დაწყებული რეფორმები ძირითადად შეფასებულია დადებითად, თუმცა მასში ასევე მითითებულია ხარვეზები კერძოდ, რომ საქართველომ განახორციელა მნიშვნელოვანი წინსვლა, თუმცა ჯერ კიდევ „საჭიროებს ფინანსურ დეცენტრალიზაციას: ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულები დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ევროკავშირის ქვეყნები კვლავ საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორებია: 2021 წლის იანვრიდან აპრილამდე საქართველოს მთლიან ექსპორტში წამყვანი წილი ევროკავშირის ქვეყნებს უკავია (17,7%), შემდეგ კი არიან ჩინეთი (16,6%), რუსეთი (13,3%), აზერბაიჯანი (12,7%) და თურქეთი (8,7%) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქსტატი).

ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის ვაჭრობა საქართველოსთან (რომელიც 74-ე ადგილზეა) 2020 წლისთვის 0,1%-ს შეადგენდა, 2,350 მილიარდი ევროს ღირებულებით (EUROSTAT).

2020 წელს ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში 1.587 მილიარდი ევრო შეადგინა. ძირითადი საექსპორტო საქონელი უმთავრესად არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა, როგორცაა ქიმიური ან მომიჯნავე მრეწველობის პროდუქცია, მანქანები და ტექნიკა, ასევე მინერალური პროდუქცია<sup>8</sup>.

დასკვნა. საქართველოს მისწრაფება, გახდეს ევროკავშირის წევრი, ეფუძნება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ევროპულ არჩევანს<sup>9</sup>. ქვეყნის ევროპული მისწრაფების უალტერნატივობა ხაზგასმულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის რეზოლუციის ტექსტში<sup>10</sup>.

ევროკავშირთან თანამშრომლობის უმთავრესი სამართლებრივი საფუძველი, ასოცირების შეთანხმება, ცნობს საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნის, ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს. შეთანხმება აღიარებს მხარეებს შორის საერთო ღირებულებებს და ღიას ტოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

ევროკავშირი სთავაზობს საქართველოს ინტენსიურ თანამშრომლობას პოლიტიკის და უსაფრთხოების, ეკონომიკის და კულტურის საკითხებში; აქტიურ რეგიონულ და საზღვრისპირა თანამშრომლობას და პასუხისმგებლობის გაზიარებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი მოგვარების საკითხებში.

## ზიზლიოგრაფია

1. ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ნ. გალახვარიძე, ნ. ნადარეიშვილი „რეგიონული ეკონომიკა“ სახელმძღვანელო. თბ. 2010. გვ.127

2%[E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/evrokavshiris-dakhmarebis-mimokhivilva/evrokavshiris-charcho-programebi.aspx](https://www.eas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221)

8 [https://www.eas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo\\_ka?s=221](https://www.eas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221)

9 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4110673?publication=0>

10 <http://parliament.ge/uploads/other/53/53453.pdf>.

2. Уткин Э.А., Денисов А. Ф. Региональная политика стран-членов ЕС. М.: 2005, с. 1.87
3. Dullien, Sebastian; Schwarzer, Daniela (2009): Fiskalpolitik im Euroraum: Reformbedarf und Reformoptionen, in: WSI-Mitteilungen, No. 9.
4. <http://geoeconomics.ge/?p=4523>
5. [https://ec.europa.eu/regional\\_policy/sources/international/pdf/external\\_ka.pdf](https://ec.europa.eu/regional_policy/sources/international/pdf/external_ka.pdf)
6. <https://mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/evrokavshiris-dakhmarebis-mimokhilva/evrokavshiris-charcho-programebi.aspx>
7. [https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo\\_ka?s=221](https://www.eeas.europa.eu/georgia/evrokavshiri-da-sakartvelo_ka?s=221)
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4110673?publication=0>
9. <http://parliament.ge/uploads/other/53/53453.pdf>.

**Grdzelishvili Nodar**

*Doctor of economics,*

*New Higher Education Institute-NEWUNI, Affiliated professor;*

*Georgian Technical University The Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia-Senior Researcher;*

## **ASPECTS OF REGIONAL ECONOMIC AND SOCIAL POLICY OF THE EUROPEAN UNION**

**Key words:** regional policy, European Union, social policy

At the current stage, the European Union is characterized by an increase in interest in regional politics. Currently, the process of regional economic policy reform is underway within the European Union. The financial funds allocated to the regions have almost doubled. The list of regions that will receive funding from the structural fund has been determined. The regional economic policy envisages the allocation of large financial resources, for which the European Union was not always ready. This was clearly demonstrated during the recent economic crisis. Regional economic policy should actively play the role of the regulatory system of the state. Many instruments are used in different European countries to implement regional economic policy, which have different meanings for different countries.

In the process of economic growth of developing countries, it is necessary to ensure the compatibility of the levels of social security benefits with the standards of the European Union.

In the process of European integration, the cooperation method, namely the Monet method, is considered a universal method of regional policy implementation.

The European Union offers Georgia intensive cooperation in political and security, economic and cultural issues.

## აუდიტის ევოლუცია ევროპასა და ამერიკაში

სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია აუდიტის სფეროში უკვე არსებული საერთაშორისო გამოცდილება და მსოფლიო განვითარების ტენდენციები. შესაბამისად, მოცემულია აუდიტორული საქმიანობის რეგულირების ისტორია, დახასიათებულია თუ რა ეტაპები უძლოდა წინ აუდიტის განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. კერძოდ, განხილულია აუდიტის ჩამოყალიბების საფეხურები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და აზიაში. კვლევაში წარმოდგენილია აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა. დასკვნით ნაწილში მოცემულია სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები.

**საკვანძო სიტყვები:** აუდიტი, სტანდარტიზაცია, პრაქტიკა

აუდიტის დიდი გამოცდილება არსებობს ევროპასა და ამერიკაში, სადაც განვითარდა აუდიტის საერთაშორისო თეორია და პრაქტიკა. დღეს უკვე გვაქვს საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული აუდიტის კანონიერი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში აუდიტი. რა თქმა უნდა, სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანაში აუდიტიც იზიარებს ამ თავისებურებებს.

ჯერ კიდევ ძველი დროის ჩინეთში, ჩუოუს დინასტიის ეპოქაში (1122-256 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა მოიცავდა საფუძვლიანად დამუშავებულ ბიუჯეტს და ყველა სახელმწიფო დანესებულებათა კონტროლს (აუდიტს). ათენში, ძველი წელთაღრიცხვის V ს-ში, სახალხო კრება აკონტროლებდა სახელმწიფოს შემოსავალს და გასავალს, ხოლო ქვეყნის საფინანსო სისტემაში შედიოდნენ სამთავრობო აუდიტორები, რომლებიც ამოწმებდნენ თანამდებობის პირთა დოკუმენტებს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძო სექტორში ქონების მეპატრონეები თვითონ ატარებდნენ თავიანთი ანგარიშგების აუდიტს. რომის რესპუბლიკაში სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს ხაზინადარის მეთვალყურეობით ამოწმებდა აუდიტორთა შტატი. რომაელებმა პრაქტიკაში დანერგეს მოვალეობათა დანაწილება, თანამდებობის პირთათვის განსხვავებული პასუხისმგებლობის დაკისრება: ზოგი მათგანი გადასახადებისა და დანახარჯების საქმეს უძღვებოდა, სხვები ამონაგებსა და ბეგარაზე აგებდნენ პასუხს.

ინგლისურენოვან ქვეყნებში ცნობა აუდიტის შესახებ და ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სააღრიცხვო დოკუმენტი ეს არის ინგლისისა და შოტლანდიის „სახაზინო არქივი“, რომელიც დაარსებულია 1130 წლით. XIII ს-ში ცნობები აუდიტორთა და აუდიტის შესახებ გვხვდება როგორც ინგლისში, ისე იტალიაში. ხოლო ამავე საუკუნეში საფრანგეთში დანერგილი თხზულება ქონების მართვის შესახებ მეპატრონეებს ურჩევდა ყოველწლიურად ჩაეტარებინათ აღრიცხვის აუდიტი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ლონდონის სიტიში აუდიტი დანერგილი იყო უკვე 1200 წლიდან, ხოლო XIV-ე ს-ის დასაწყისში თანამდებობის პირთა არჩევნებში აუდიტორის არჩევაც შედიოდა. იმ დროიდან მოყოლებული არქივებში დაგროვდა

დიდძალი დოკუმენტაცია, რომელიც მონაშობს აუდიტის მნიშვნელობის ფართო აღიარებას და ადასტურებს, რომ რეგულარულად ტარდებოდა მუნიციპალიტეტების, კერძო მიწათმფლობელობისა და ხელოსანთა გილდიების ანგარიშგების აუდიტი.

ძველად დიდ ბრიტანეთში ორი ტიპის აუდიტს ატარდებდნენ. ქალაქებში აუდიტი საჯაროდ ტარდებოდა და მას მმართველი თანამდებობის პირები და მოქალაქეები ესწრებოდნენ. აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით, რომელსაც ხმამაღლა კითხულობდა ხაზინადარი (ანგარიშის მოსმენის პრაქტიკა დაინერგა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ დროში მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. თვით ტერმინი `აუდიტი` ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და `მოსმენას` ნიშნავს). ანალოგიური სახით ტარდებოდა გილდიების აუდიტის მოსმენა მისი წევრების თანდასწრებით. მე-16 საუკუნის დასაწყისისათვის ქალაქების აუდიტორებმა დაიწყეს თავიანთ ანგარიშებში ასეთი ტიპის შენიშვნების ჩართვა: `მოსმენილია ქვემოთ ხელისმომწერი აუდიტორების მიერ`. [1 გვ. 14]. ასეთი იყო აუდიტორული დოკუმენტის პირველადი ფორმა. აუდიტის მეორე ტიპი წარმოადგენდა მსხვილი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ შემოწმებას „დებეტისა და კრედიტის“ მიხედვით, რომელიც მთავრდებოდა „აუდიტორული დეკლარაციით“, ე.ი. ზეპირი ანგარიშგებით მამულის მეპატრონისა და მმართველთა საბჭოს წინაშე. აუდიტორი, ჩვეულებრივ ამ საბჭოს წევრი იყო და, ამრიგად, თანამედროვე შიდა აუდიტორის წინამორბედად შეიძლება ჩაგვეთვალოს.

აუდიტის ორივე ტიპი, რომლებიც ტარდებოდა დიდ ბრიტანეთში თითქმის მე-18 საუკუნემდე, პირველ რიგში იქნენ იყო მიმართული, რომ უზრუნველყო სახელმწიფო და კერძო თანამდებობის პირთა ანგარიშგება მათ გამგებლობაში არსებულ საშუალებებზე. ამ სახეობათა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა გაანგარიშებათა ხარისხის შემოწმება, თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა უზუსტობები მოტყუების მცდელობას უკავშირდებოდა. ეკონომიკურმა ცვლილებებმა 1600 წლიდან 1800 წლამდე პერიოდში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ქალაქების ზრდა, მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოება, - ახალი მოთხოვნები წაუყენა სააღრიცხვო საქმეს. ყურადღების ცენტრში მოექცა ქონებაზე საკუთრების უფლება და მოგება-დანაკარგის კალკულაცია, ამ სიტყვის ეკონომიკური აზრით. აუდიტმაც თანდათან იცვალა სახე და მოსმენის პროცესიდან წერილობითი დოკუმენტაციის დაწვრილებით ანალიზად და დამამტკიცებელი მონაშობის კვლევად იქცა. მე-17 საუკუნის ბოლოს შოტლანდიაში მიღებულ იქნა პირველი კანონი ზოგიერთი თანამდებობის პირთათვის ქალაქის აუდიტორად მუშაობის აკრძალვის შესახებ. ამით დასავლეთის სამყაროში შემოღებულ იქნა თანამედროვე ცნება \_ აუდიტორის დამოუკიდებლობა.

აუდიტორული პრაქტიკის ასეთი პროგრესის მიუხედავად, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იქცა პროფესიონალი აუდიტორი საქმიანი სამყაროს ორგანულ ნაწილად. ეს დაკავშირებული იყო რკინიგზების მშენებლობასთან, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების და სააქციო საზოგადოებების მომრავლებასთან. სარკინიგზო ტრანსპორტი ერთ-ერთი პირველი დარგია აშშ-ში, რომელმაც შექმნა შიდა აუდიტორების სამსახური. მე-19 საუკუნის დასასრულს ე.წ. გამსვლელი აუდიტორები უკვე მუშაობდნენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ სატრანსპორტო სააგენტოებში იმ მიზნით, რომ შეეფასებინათ ანგარიშგების სისტემა და ქონებაზე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა.

მე-20 საუკუნის მიჯნამდე გარე აუდიტი აშშ-ში ინგლისური მოდელის მიხედვით იყო აგებული. მასში იგულისხმებოდა საბალანსო მონაცემთა დეტალური გამოკვლევა. აუდიტორის სამუშაო დროის სამი მეოთხედი საბუღალტრო წიგნების შედგენასა და გაანგარიშებებზე იხარჯებოდა. ამერიკაში არ არსებობდა კანონით დადგენილი მოთხოვნები აუდიტორის მიმართ და შემონიშნებას უმეტეს შემთხვევაში ახორციელებდნენ აშშ-ს ფირმებში ინგლისიდან ინგლისელი ინვესტორების მიერ გამოგზავნილი აუდიტორები, რის გამოც ეს პროფესია თავიდან წელა ვითარდებოდა.

თანდათანობით ამერიკული აუდიტი `ტესტურ აუდიტში` გადაიზარდა, როდესაც სწრაფად განვითარებადმა ამერიკულმა ბიზნესმა საკმარისად აითვისა აუდიტის პროცედურები, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ჩათვალეს, რომ შემონიშნების ბრიტანული სტილი მეტისმეტად ბევრ დროსა და საშუალებებს მოითხოვდა. გარდა ტესტირების მეთოდისა, რომელიც სულ უფროდაუფრო ვრცელდებოდა, აუდიტორებმა დაიწყეს იმ ფორმათა და საქმიანობის ამსახველი ცნობების შეკრება, რომლებიც მონათესავე ბიზნესთან იყვნენ დაკავშირებული. პარტიოროთა საქმიანობის ანალიზი ეხმარებოდა მათ ოპერაციების შემონიშნებაში. ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინებით ამერიკელმა აუდიტორებმა მეტი ყურადღება დაუთმეს აქტივებისა და პასივების შეფასებას. ყველა ეს სიახლე ასახავდა აუდიტის ამოცანათა გაფართოებას. აუდიტი უკვე აღარ იზღუდებოდა კანცელარიული სიზუსტეების შემონიშნებით, აშშ-ში ვითარდებოდა დამოუკიდებელი აუდიტი. მისი აუცილებლობა მნიშვნელოვანწილად ნაკარნახევი იყო კრედიტორების, განსაკუთრებით ბანკების მოთხოვნილებით საიმედო ფინანსურ ინფორმაციაზე, რომლის საფუძველზეც ისინი შეძლებდნენ კრედიტის გაცემის შესახებ გადწყვეტილების მიღებას.

აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა დაიწყო 1939 წლიდან, როდესაც ნაფიც ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტმა დაანერგა აუდიტურ პროცედურათა კომიტეტი და ამ კომიტეტმა გამოსცა აუდიტორული პროცედურის პირველი დებულება (IAP). 1973 წლამდე გამოვიდა 54 დებულება, ხოლო კომიტეტმა ამასობაში ახალი სახელწოდება მიიღო: აუდიტორულ სტანდარტთა აღმასრულებელი კომიტეტი (შემდგომში აუდიტორული სტანდარტების საბჭო), რომელმაც მოახდინა ყველა დებულების კოდიფიცირება და თავი მოუყარა მათ „აუდიტორული პროცედურების დებულება #1“-ის სახით, რომელიც ამჟამად მოქმედებს.

ისეთი ქვეყნები როგორცაა მაგალითად აშშ, საფრანგეთი, შვედეთი, გერმანია და სხვა, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, ცდილობენ მოამზადონ მაღალკვალიფიცირებული აუდიტორები, აშშ-ში ბუღალტრის დიპლომის მისაღებად საჭიროა წელიწადში ორჯერ გამოცდის ჩაბარება, წერიტი გამოცდისაგან, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისგან: აუდიტი, ბუღალტრული პრაქტიკა, ბუღალტრული აღრიცხვის თეორია და სამეურნეო საქმე, გამოცდა გრძელდება 2.5 დღე. გამოცდის მსვლელობაში ადამიანმა უნდა გამოავლინოს თავისი ცოდნა პროფესიულ ეთიკაში, აუდიტორის იურიდიულ პასუხისმგებლობაში, სახელმწიფო გადასახადებში, აგრეთვე შემოსავლებში და ბუღალტრულ აღრიცხვის რაოდენობრივ მეთოდებში, ამიტომაც გამოცდას გადიან მხოლოდ ჩამბარებლების დაახლოებით 10%, ევროპაში კი აუდიტორად მუშაობის უფლება აქვს ადამიანს უმაღლესი განათლებით, აგრეთვე უნდა ჰქონდეს ნამუშევარი ბუღალტრად ან აუდიტის ასისტენტად 10 წელი (საფრანგეთში-15 წელი), აუდიტორად მუშაობა ეკრძალება პირებს, რომელთაც აქვთ ნასამართლეობა,

ფსიქიკური დარღვევები და იმ პირებს, რომელთაც აქვთ პრობლემები ფინანსურ სფეროში. რაც შეეხება ჩვენ მეზობელ ქვეყანას რუსეთს, აქ სიტუაცია განსხვავდება, რადგან საბჭოთა რესპუბლიკის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყანაში, აქ აუდიტორად მუშაობისთვის საჭიროა გაიაროს ატესტაცია და მიიღოს აუდიტორის კვალიფიციური ატესტატი, აუდიტორი შეიძლება გახდეს პირი როგორც უმაღლესი განათლებით, აგრეთვე საშუალო განათლებით. განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული იურიდიული ან ეკონომიკური განხრით, თან აუდიტორად მუშაობის სტაჟი სამ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. საქართველოს მიზანია გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება და სრულყოფს თავისი აუდიტორული საქმიანობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

მონტგომერი. აუდიტი.

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. 2016 წლის 8 ივნისი.

<http://rs.ge/>

<http://www.sao.ge/>

<https://matsne.gov.ge/>

**Nazi Gvaramia**

*Associate Professor, Sukhumi State University*

## THE EVOLUTION OF AUDITING THROUGHOUT EUROPE AND USA

**Key words:** Audit, standartization, practice.

The scientific paper discusses the main idea, the goals and the role of the audit as well as its significance in the conditions of the market economy and the perspectives of the audit regulation and development in Georgia. Moreover, experience of the auditing business in the foreign countries. In the paper the significant attention is paid to the organizational matters of the audit performance and is presented the procedures of the audit conclusion composition, its structure, shape, content and status. Also, is reviewed the next stage after the audit accomplishment – the discussion of the audit conclusions and reports (Act, Statement); the process of its appeal, the forms of the responds and the legal aspects of the detected results.

In Georgia audit is held according to the International Standards on Audit (ISA). International standards on Audit (ISA) represent the standards approved by the audit and the International Auditing and Assurance Standards Board (IAASB) or its entitled body, which is contained in the international official Reference Book of the above-mentioned body or the assurance services.



ლევან ანანიძე

სტუ-ის მაგისტრანტი

მაია ზენია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## ევროკული გზა ციფრული ტრანსფორმაციისკენ

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, EU4Digital, ციფრული კომპასი 2030

### შესავალი

სულ რაღაც ერთ წელიწადში, COVID-19-ის პანდემიამ რადიკალურად შეცვალა ციფრული ეკონომიკის როლი და აღქმა ჩვენს საზოგადოებასა და ეკონომიკაში და დააჩქარა მისი ტემპი. ციფრული ტექნოლოგიები ახლა აუცილებელია მუშაობისთვის, სწავლისთვის, გართობისთვის, სოციალიზაციისთვის, შოპინგისთვის და ყველაფერზე წვდომისთვის, ჯანდაცვის სერვისებიდან კულტურამდე. მან ასევე აჩვენა გადამწყვეტი როლი, რომელიც შეიძლება შეასრულოს გამრღვევმა ინოვაციებმა. პანდემიამ ასევე გამოავლინა ჩვენი ციფრული სივრცის მონყვლალობა, მისი დამოკიდებულება არაევროპულ ტექნოლოგიებზე.

მსოფლიოს მძლავრი ფინანსური კრიზისის ფონზე, სამუშაო ადგილების შექმნა, სანარმოო ხარჯების მინიმიზაცია, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება – ყველაზე აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებია ქვეყნებისათვის. რთული სათქმელია, რამდენად მიჰყვება საქართველო თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს, თუმცა დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ეკონომიკა ქვეყნების ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის თანამედროვე, უძლიერესი ინსტრუმენტია.

ამას ადასტურებს, 09.03.2021-ში ევროკომიის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი „2030 Digital Compass: the European way for the Digital Decade „<sup>1</sup>, სადაც ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა:

*„პანდემიამ ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიები და უნარები სამუშაოზე, სწავლასა და დასაქმებაში – და სად არის საჭირო*

<sup>1</sup> <https://eufordigital.eu/wp-content/uploads/2021/03/2030-Digital-Compass-the-European-way-for-the-Digital-Decade.pdf>



გა-უმჯობესება. ჩვენ ახლა უნდა შევექმნათ ევროპის ციფრული ათწლეული იმისათვის, რომ ყველა მოქალაქისა და ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველაფერი საუკეთესო, რასაც ციფრული სამყარო გვთავაზობს. მკაფიო გზას ამ მიმართულებით დღევანდელი „ციფრული კომპასი“ გვიჩვენებს“.

ყველასთვის ნათელია, რომ ციფრული პროცესების გავლენით მნიშვნელოვნად შეიცვალა ცხოვრების ყველა ასპექტი, სიდიდეები, ეკონომიკური აქტივობის სახეობები, ბიზნეს მოდელები და ეკოსისტემის პლატფორმა. სწორედ ევროპის „ციფრული კომპასი“ არის გზა, როლისკენაც ვალდებულია, რომ მისწრაფოდეს საქართველო 2030 წლისათვის.

ევროპის „ციფრული კომპასი“ ერთიანდება შემდეგი ოთხი ძირითადი პუნქტის<sup>2</sup> ირგვლის:

**ციფრული უნარებით აღჭურვილი მოქალაქეები და მაღალი ციფრული კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები:** 2030 წლისთვის ყველა მოზრდილის მინიმუმ 80%-ს უნდა ჰქონდეს საბაზისო ციფრული უნარები, და ევროკავშირის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში დასაქმებული უნდა იყოს 20 მილიონი სპეციალისტი – იმავდროულად ამგვარ სამუშაოზე უნდა დასაქმდეს მეტი ქალი.

**საიმედო და მდგრადი ციფრული ინფრასტრუქტურა:** 2030 წლამდე ევროკავშირში ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს გიგაბიტური კავშირი და ყველა დასახლებულ ტერიტორიაზე უნდა იყოს 5G დაფარვა; თანამედროვე და მდგრადი ნახევარგამტარების წარმოება ევროპაში მსოფლიო წარმოების 20%-ს უნდა შეადგენდეს; ევროკავშირში განთავსებული უნდა იყოს 10,000 კლიმატ-ნეიტრალური ძალზე კარგად დაცული ზღვრული კვანძი; და ევროპას უნდა ჰქონდეს პირველი საკუთარი კვანტური კომპიუტერი.

**ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია:** 2030 წლამდე ოთხიდან სამი კომპანია უნდა იყენებდეს „ქლაუდ“ გამოთვლით სერვისებს, დიდ მონაცემებს და ხელოვნურ ინტელექტს; მცირე და საშუალო საწარმოების 90%-ზე მეტმა უნდა მიაღწიოს ციფრული ინტენსივობის, მინიმუმ, ბაზისურ დონეს; და ევროკავშირში ორჯერ უნდა გაიზარდოს იმ სტარტაპების რაოდენობა, რომელთა საბაზრო ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარს აღარბებს.

**სახელმწიფო სერვისების ციფრული გარდაქმნა:** 2030 წლისთვის ყველა სახელმწიფო სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ონლაინ; ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი ელექტრონული სამედიცინო ბარათი; და მოქალაქეთა 80% უნდა იყენებდეს ელექტრონულ პირადობის მონაცემებს.

პროგრამის EU4Digital საშუალებით ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს როუმინგის ტარიფების შემცირებაში, მაღალსიჩქარიანი თვითმობილოვანი სტრატეგიების დანერგვაში ეკონომიკის და ელექტრონული სერვისების განვითარებისთვის; ციფრული ჩარჩოების ჰარმონიზაციაში საზოგადოების მასშტაბით, დაწყებული ლოგისტიკიდან დამთავრებული ჯანმრთელობით და კიბერ-უსაფრთხოებით, და ციფრული უნარების ათვისებაში.

ევროკავშირი იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობისთვის განეული

<sup>2</sup> <https://eufordigital.eu/geo/europes-digital-decade-setting-the-course-towards-a-digitally-empowered-europe-by-2030/?fbclid=IwAR1LGTg04obOKfSpFcp5m9OXnYwcVaxFRu85D2EHuZNwW9-G1kFr73oqthA>

აღნიშნული მხარდაჭერის შედეგი იქნება არა მარტო უფრო ძლიერი ციფრული ეკონომიკა, არამედ ასევე იმ დარგების სწრაფი განვითარება, რომლებშიც საქართველოს აქვს ზრდის პოტენციალი, მაგ. ბიზნესი, მენარმეობა, ტურიზმი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ინოვაციები. ევროკავშირის მხარდაჭერა ასევე უკავშირდება და ავსებს იმ მიმდინარე სამუშაოს, რომელსაც მთავრობა აწარმოებს ფართოზოლოვანი სტრატეგიების განსახორციელებლად.

ინიციატივა EU4Digital წარმოადგენს უფრო მასშტაბური ციფრული გეგმის ნაწილს საქართველოში, რომელიც მოიცავს შემდეგს:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა მისი ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ჩარჩოს და საოპერაციო პოტენციალის განვითარებაში ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად („თვინინგი“).

EU4Security, ანგარიშვალდებულება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში (პროექტი SAFE)

ნდობისა და უსაფრთხოების პროექტი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფარგლებში („თვინინგი“).

ელექტრონული სერვისები სამოქალაქო მომსახურების ბიუროსთვის („თვინინგი“).

ელექტრონული მმართველობის მხარდაჭერა.

ევროკავშირის 2019 წლის ასოცირების განხორციელების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების სფეროში ეკონომიკის და ბიზნესის შესაძლებლობების მხარდაჭერის, ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესების და ელექტრონული ვაჭრობის განვითარების კუთხით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მხარდაჭერის ვალდებულება და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარება ეროვნულ პრიორიტეტად არის აღიარებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ და მთავრობის 2018-2020 წლების ეკონომიკურ პროგრამაში. ამჟამად ქვეყანა მუშაობს ეროვნული ფართოზოლოვანი სტრატეგიის განვითარებასა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

2016-2017 წლების განმავლობაში GITA-მ შეიმუშავა სამი სქემა ინოვაციისთვის კაპიტალის უზრუნველსაყოფად: მიკრო გრანტები, Start-up Georgia და Matching Grants პროგრამები. სტარტაპ საქართველოს პროექტმა სულ 726 განაცხადი მიიღო, საიდანაც 149 მაღალტექნოლოგიურ კომპონენტებზე იყო სტარტაპ საქართველოს მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში შეირჩა 20 სტარტაპი და დაფინანსდა 100 000 ლარის ოდენობით. ისინი შეფასდა წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების მიერ Silicon Valley-დან და წარედგინა გლობალურ ინვესტორებს სილიკონის ველში. 2020 წელს სააგენტოს საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 40 მაღალტექნოლოგიური და გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპი 100 00 ლარით, ხოლო 12 სტარტაპი დაფინანსდა 650 000 ლარით<sup>3</sup>, დამატებით 2020-2022 წლებში გადამზადდება 3000 IT სპეციალისტი<sup>4</sup>, ისეთ

<sup>3</sup> [GITA-ს წლიური ანგარიში და 500 Startups საქართველოში \(entrepreneur.com\)](https://entrepreneur.com)

<sup>4</sup> [საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო \(gita.gov.ge\)](https://gita.gov.ge) საქართველოს ინოვაციების და

მაღალანაზღაურებად პროფესიებში, როგორცაა: კიბერსუსაფრთხოება, პროგრამირება, მობაილ დეველოპმენტი და სხვა. ასევე GITA ავსებს თავის ფინანსურ მხარდაჭერას ტრენინგებით, ქოუჩინგით, მენტორობითა და საკონსულტაციო მომსახურებით პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის. ბევრი დაინტერესებული მხარე ფიქრობს, რომ GITA დაეხმარა ეკოსისტემის დაწყებას, მაგრამ საჭიროა სარისკო კაპიტალის განვითარება და ალტერნატიული დაფინანსების წყაროების განვითარება, როგორცაა Crowdfunding<sup>5</sup>.

განვითარებადი ICT სექტორით, საქართველო ბევრს მუშაობს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდი ცენტრი. ამ კონტექსტში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა „SME Development and DCFTA in Georgia“ ჩამოაყალიბა საქართველოს ICT კლასტერი, რათა დაეხმაროს სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. GIZ-ის მონაცემებით, ICT კომპანიების მომხმარებელთა 90% არის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ საბანკო ან საცალო სექტორებს და სამთავრობო უწყებებს. ასევე, ბევრი IT კომპანია მუშაობს ონლაინ თამაშების და აზარტული თამაშების სფეროებში, მხოლოდ ახალ აპლიკაციებს ავითარებს ამ ინდუსტრიის მოსამსახურებლად. ამჟამად, საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ICT კომპანიების ინფორმირებულობა დაბალია. მთავრობამ უნდა გააგრძელოს ექსპორტისა და კლასტერების განვითარება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ციფრული ინოვაციების ეკოსისტემის წარმატებისთვის. განვითარებადი ICT სექტორით, საქართველო ბევრს მუშაობს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდი კერა. ამ კონტექსტში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა „SME Development and DCFTA in Georgia“ ჩამოაყალიბა საქართველოს ICT კლასტერი, რათა დაეხმაროს სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. GIZ-ის მონაცემებით, ICT კომპანიების მომხმარებელთა 90% არის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ საბანკო ან საცალო სექტორებს და სამთავრობო უწყებებს. ასევე, ბევრი IT კომპანია მუშაობს ონლაინ თამაშების და აზარტული თამაშების სფეროებში, მხოლოდ ახალ აპლიკაციებს ავითარებს ამ ინდუსტრიის მოსამსახურებლად. ამჟამად, საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ICT კომპანიების ინფორმირებულობა დაბალია. მთავრობამ უნდა გააგრძელოს ექსპორტისა და კლასტერების განვითარება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ციფრული ინოვაციების ეკოსისტემის წარმატებისთვის.

## დასკვნა

რამდენადაც ვითარდება ახალ ნორმად, რეალობა სადაც „ციფრული“ არა მხოლოდ გადაუდებელი სიტუაციიდან გამოსავალია, არამედ გრძელვადიანი ინვესტიცია რისკის წინააღმდეგ, აუცილებელია ციფრული განვითარების სხვადასხვა განზომილების ამოცნობა სხვადასხვა ქვეყანაში, რადგან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ციფრული ტრანსფორმაციის გზით ციფრული განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდა COVID-19 პანდემიის გაჩენის შემდეგ. პროდუქტებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაფართოება და მოქალაქეების გაძლიერება, მუშები

---

[ტექნოლოგიების სააგენტო \(gita.gov.ge\)](http://gita.gov.ge)

<sup>5</sup> [Top Crowdfunding Sites for Fundraising](#)

და სტუდენტები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში და საჭიროებებში ჩაკეცვის დროს გახდა ყველა ქვეყნის აშკარა პრიორიტეტი, და ციფრულ სფეროში მიღწეული პროგრესის გამოყენების უნარი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მდგრადობის განსაზღვრაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

[GITA-ს წლიური ანგარიში და 500 Startups საქართველოში \(entrepreneur.com\)](https://www.entrepreneur.com)

უკანასკნელად გადამოწმებულია 21.02.2020.

[საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო \(gita.gov.ge\)](https://gita.gov.ge) [საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო \(gita.gov.ge\)](https://gita.gov.ge)

Top Crowdfunding Sites for Fundraising

<https://eufordigital.eu/wp-content/uploads/2021/03/2030-Digital-Compass-the-European-way-for-the-Digital-Decade.pdf>

<https://eufordigital.eu/geo/europes-digital-decade-setting-the-course-towards-a-digitally-empowered-europe-by-2030/?fbclid=IwAR1LGTg04obOKfSpFcp5m9OXnYwcVaxFRu85D2EHuZNwW9-G1kFr73oqthA>

**Levan Ananidze**

**Maia Benia**

## **THE EUROPEAN ROAD TO DIGITAL TRANSFORMATION**

**Keywords:** digital economy, EU4Digital, digital compass 2030,

In just one year, the COVID-19 pandemic has radically changed the role and perception of the digital economy in our society and economy and accelerated its pace. Digital technologies are now essential for work, learning, entertainment, socializing, shopping and accessing everything from health services to culture. It also demonstrated the critical role that disruptive innovation can play. The pandemic has also revealed the vulnerability of our digital space, its dependence on non-European technologies.



**ეკა ნალობიძე**

ევროპისმცოდნეობის მაგისტრი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი

## **სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD)**

საკვანძო სიტყვა: ევროკავშირი, ENPARD, EU

2012 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის თაობაზე. მოლაპარაკებები გაგრძელდა ერთი წლის განმავლობაში და 2013 წელს ხელი მოეწერა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის პირველი ფაზის შეთანხმებას, რომლის ბიუჯეტი იყო 52 მილიონი ევრო.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ENPARD-ს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირი უზრუნველყოფს დარგის მრავალმხრივ მხარდაჭერას, რომლის ძირითადი სიკეთეებია:

- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩართული სამთავრობო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება.
- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რაც ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით, ასევე, პროდუქციის უკეთესი სტანდარტებისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით მიიღწევა.
- კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს მხარდაჭერასთან ერთად, სოფლად დივერსიფიცირებული სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, განსაკუთრებით, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.

პირველ ეტაპზე პროგრამის ძირითადი მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ევროპულ თუ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სექტორული პოლიტიკის შემუშავებისთვის და განხორციელებისთვის მხარდაჭერა. 2015 წელს, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით და საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს

განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)) ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია პირველად შეიმუშავა და სექტორის განვითარებისთვის შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები დაისახა:

- ფერმერების გაძლიერება;
- საკანონმდებლო საქმიანობის განვითარების მექანიზმების შექმნა;
- ინსტიტუციური განმტკიცება და შესაძლებლობების გაფართოება;

### ფერმერების გაძლიერება

განმტკიცდა მცირე ფერმერთა შორის თანამშრომლობა. ასევე, ჩამოყალიბდა ბიზნესზე ორიენტირებული პარტნიორობა და მცირე ფერმერული კოოპერატივები. ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოებისა და ეკონომიკის გაძლიერებას.

შეიქმნა 54 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი. ცენტრები ფერმერებს საუკეთესო გამოცდილებების, ახალი ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და შესაბამის რჩევებსა თუ სწავლებას სთავაზობენ.

თუმცა აღნიშნული საკითხს თან ახლდა მთელი რიგი გამოწვევებიც როგორც არის მაგალითად: მცირე ნაკვეთები და ინდივიდუალურად დასაქმებული ფერმერები, მაღალი ხარჯები, მცირე წარმოება და სხვა.

სწორედ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ათასზე მეტი კოოპერატივი და უამრავი მაგალითები არსებობს აღნიშნული კოოპერატივების საქმიანობის წარმატების თაობაზე, მაგალითად კოოპერატივი „ალაზნისთავი“, სადაც ამ ეტაპზე გაერთიანებულია კოოპერატივის 11 წევრი. ევროკავშირის მიერ კოოპერატივისთვის გამოყოფილმა საგრანტო დახმარებამ 98,500 ლარი შეადგინა. Oxfam-თან პარტნიორობით, კოოპერატივისთვის ევროპული სტანდარტების შესაბამისი ყველის საწარმო აშენდა, განათებისა და გათბობის სისტემები მოეწყო. ამასთან, კოოპერატივის წევრები გადამზადდნენ სხვადასხვა ტრენინგით, რომელიც პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების, Oxfam-ისა და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის „ელკანა“ მიერ იყო ორგანიზებული. აღნიშნული სწავლება ფერმერებს საქმიანობის წარმართვაში ძალიან დაეხმარა. შედეგად, თუშეთში გუდის ყველის წარმოების ტრადიცია აღდგა.

ერთი ბიზნესის ქვეშ გაერთიანებული მიმწოდებლები, მწარმოებლები და რეალიზატორები კოოპერატივი „ალაზნისთავის“ დიდი უპირატესობაა. კოოპერატივის ჩამოყალიბებიდან სულ რაღაც ერთ წელში, საშუალო მოგება, კოოპერატივის ერთ წევრზე გაანგარიშებით, გაორმაგდა. ნამდვილი გუდის ყველი მხოლოდ თუშეთში იწარმოება. თუშეთი, თავისი ადგილ წარმოშობით, ქვაბულია. აქ იზრდება სპეციფიური დაბალი ბალახი, ღამისა და დღის ტემპერატურას შორის განსხვავება კი მინიმალურია. აღნიშნული ფაქტორები უმაღლესი ხარისხის, უნიკალური ყველის მიღებას განაპირობებს.

ასეთივე წარმატების მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ კოოპერატივი „ნაგომარი“, სადაც „კოოპერატივის წევრთა ნახევარზე მეტი ქალია. აღნიშნული კოოპერატივი 2015 წელს დაფუძნდა. რეგისტრაციიდან მალევე, ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, „ნაგომარმა“ შავი და მწვანე ჩაის წარმოებისთვის

საჭირო დანადგარები შეიძინა და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია დაიწყო<sup>14</sup>.

### საკანონმდებლო საქმიანობის განვითარების მექანიზმების შექმნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ

- რეგისტრირებულ კოოპერატივებში გაუმჯობესდა მართვის შესაძლებლობები და დამკვიდრდა ეფექტური მმართველობა.
- ამალდა კოოპერატივის წევრების ცნობიერება კოოპერაციული საწარმოების არსისა და მიზნების შესახებ.
- წევრებს შორის განმტკიცდა კოოპერატივის საკუთრების თანაგანცდა. ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები ფინანსებსა და სარგებელს ახლა უკეთ მართავენ.

### კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ

- გეოგრაფიული აღნიშვნის მქონე პროდუქტი განსაკუთრებული გემოვნური და ფიზიკური თვისებებით გამოირჩევა. ასეთი პროდუქტი უნიკალურია, რადგან მისი წარმოება ხდება განსაკუთრებულ გარემო პირობებში, რაც მის გამორჩეულ თვისებებსა და დამატებით ღირებულებას განაპირობებს. კანონის შედეგად:
- გადამონმდა საქართველოში წარმოებული პროდუქცია ადგილწარმოშობის მიხედვით.
- გამოიკვეთა გეოგრაფიული აღნიშვნით ბრენდირების პოტენციალის მქონე პროდუქტები.
- გაუმჯობესდა აგროტურიზმის პოტენციალი და გაძლიერდა ექსპორტი ევროპის ბაზარზე.

### კანონი თესლის სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ

თესლის სავალდებულო სერტიფიცირების სისტემის შექმნაში მონაწილეობა მიიღო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO). შედეგად, თესლის რამდენიმე მწარმოებელი ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სისტემაში ჩაერთო. მონაწილეებმა 2015-2016 წლის სეზონზე სერტიფიცირებული სათესლე მასალების წარმოების გამოწვევა მიიღეს. შედეგად, პროდუქტიულობა 30%-ით გაიზარდა.

- შემუშავდა თესლის სავალდებულო სერტიფიცირების სისტემა, რაც თესლის წარმოების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- ამალდა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა.

### ინსტიტუციური განმტკიცება და შესაძლებლობების გაფართოება

გაძლიერდა სოფლის მეურნეობის აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები, რაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევითი პროექტების გაუმჯობესებას განაპირობებს. პროექტი ლიმერიკის უნივერსიტეტის (ირლანდია) მიერ, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან და სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტთან (RAPDI) პარტნიორობით განხორციელდა. შესაძლებლობის განვითარების პროცესში, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროფესიული გადამზადების, საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის სფეროებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ინსტიტუტების

გაძლიერებამ სპეციალური სასწავლო გეგმების შემუშავება განაპირობა, რაც ახლა სისტემას თეორიული თუ პრაქტიკული მოდულების უკეთ მომზადებაში ეხმარება.

### სოფლის განვითარების ევროპული მოდელის პილოტირება

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2020-2023, რომლის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში, ევროკავშირმა საქართველოს მთავრობა ტექნიკური დახმარებით უზრუნველყო. სტრატეგია სამ ძირითად მიმართულებას ეფუძნება: კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ადგილობრივი ეკონომიკის გამრავალფეროვნება.

სტრატეგია ასევე, ითვალისწინებს ევროკავშირის LEADER მიდგომას, რომელიც, ENPARD-ის საგრანტო კომპონენტების ფარგლებში, საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში უკვე დაინერგა.

რა არის LEADER? - LEADER მიდგომის თანახმად, ყველა სოფელს განსაკუთრებული შესაძლებლობები და უნიკალური გამოწვევები აქვს, რის შესახებაც ყველაზე კარგად სწორედ ადგილობრივი მოსახლეობაა ინფორმირებული. მიდგომა გულისხმობს ე.წ. „ქვემოდან-ზევით“ პრაქტიკის დანერგვას, რომლის თანახმადაც ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) თემების მობილიზაციას ახდენენ. ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენის შემდეგ კი, კეთილსაიმედო საპროექტო იდეები დაფინანსებისთვის შეირჩევა.

სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის მეორე ფაზაში, ევროკავშირმა, სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის განხორციელებაში, სამინისტროს მხარდაჭერა განაგრძო.

ENPARD II-ის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესება. სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფილი იყო. თუმცა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების პროცესში, აღნიშნული საკითხი კვლავ საკანონმდებლო დღის წესრიგში დადგა.

2017 წელს ხელი მოეწერა „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის განვითარებისათვის“ ENPARD III-ის შეთანხმებას (ENPARD, Phase III), რაც გულისხმობს სოფლად განვითარების ინიციატივების დაფინანსებისთვის დამატებითი 77.5 მილიონი ევროს მობილიზებას. პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა და სოფლის განვითარება.

პროგრამის მეოთხე ფაზას ხელი მოეწერა 2020 წელს, რომელიც საქართველოს სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების დანერგვაში დაეხმარება. შედეგად, უკეთ იქნება დაცული მომხმარებელთა უფლებები და ქართული პროდუქციის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსპორტის პოტენციალიც გაიზარდება.

აღნიშნული პროგრამის ოთხივე ფაზის ჯამური ბიუჯეტი 234.5 მილიონი ევროა, ანუ ევროკავშირის მიერ 9 წლის განმავლობაში მილიარდ ლარამდე ინვესტირება განხორციელდა მხოლოდ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სფეროებში.



## დასკვნა

სოფლის მეურნეობის და სოფლად განვითარების სექტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლისთვის. ევროკავშირის დახმარებით, ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მკვიდრდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ხედვა, რომელიც ევროპის საუკეთესო გამოცდილებას ეფუძნება და რომელიც ხელს უწყობს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებას და გაძლიერებას.

## ბიბლიოგრაფია

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD, საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თბილისი, 2016;

ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD, საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, (თბილისი, 2020);

**Eka Naobishvili**

*Master of European Studies*

*Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia*

*Head of International Relations Division*

## **EUROPEAN NEIGHBORHOOD PROGRAM FOR AGRICULTURE AND RURAL DEVELOPMENT (ENPARD, GEORGIA)**

Agriculture has always been the key part of country's economic and social structure during the centuries. In the process of formation of Georgia's statehood and economic development, agriculture played an important role. Soviet Union has left very sad legacy in agricultural sector of Georgia, however, in recent years, the sector has been gradually developing. 43% of Georgian population live in rural areas (GEOSTAT), therefore growth of employment, reduction of poverty and strengthening the economy, agriculture and rural development is of crucial importance.

Development of agro sector is particularly timely when the association agreement signed in 2014 between Georgia and EU is fully operational, while Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) makes available for Georgian products to EU markets for 500 million consumers. Within the framework of the program, Georgia takes responsibilities to support agriculture and rural sectors through making country's policy and legislation compatible with EU standards.

Since 2012, agricultural sector is one of the key priorities for the Government of Georgia. European Union supports to develop and strengthen the agricultural and rural sectors through the ENPARD program.

ENPARD I, the first phase of the mentioned program launched in 2013 and the total budget was 52 million EURO. In 2016, the second phase was started with total budget of 50 mln euro. Herein, in parallel with the second phase, the third phase agreement was signed and its budget was 77.5 mln euro. In 2019, the last phase was started with the total budget of 50 mln euro.

# ლიტერატურა და ხელოვნება



**მარიამ მარჯანიშვილი**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

## ეპროკა - საქართველოს მომავლის ისტორიული გარდუვალობა

**საკუანძო სიტყვები:** გზაჯვარედინი, ემიგრაცია, ევროინტეგრაცია.

საქართველო ერთ-ერთი უმძიმესი და განსაცდელებით სავსე გზაჯვარედინია ცისქვეშეთში, რომელიც თავისი მოდგმის, ეთნოსის გადასარჩენად მუდამ თავდაცვითი ბრძოლებისათვის იყო მზად. და, ეს მზადყოფნა მას თვისებადაც ექცა.

შარიანი გზაჯვარედინი - ხალხთა დიდი გასაუვალი, გზა და ხიდი ევროპასა და აზიას შორის ყოველთვის გავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკაზე, მის ეკონომიკაზე, კულტურასა და ყოფიერების ყველა სფეროზე. ჯერ კიდევ, როდის დემოკრატიული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში იყო შოთას „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მისი ავტორი რუსთაველი კი დემოკრატიული იდეებისათვის დევნილი. ამავე ეპოქის დემოკრატიული მმართველობის ჩანასახი გახლდათ პირველად საქართველოს ისტორიაში ქალი მონარქის თამარის ტახტზე დასმა, მაგრამ დემოკრატიის, როგორც ხალხის მმართველობის სახელმწიფოებრივი წყობის დამკვიდრება საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ დიდ სამოციანელებს ილიას მეთაურობით ხმლის და ომის გარეშე ერთბაშად მოუხდათ ბრძოლა: ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის, ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის...

„...ახალმა თაობამ, უფრო სწორად, მისმა მოწინავე ნაწილმა მონახა „ახალი გზა“, – წერდა გაზეთ „დროების“ რედაქტორი და ილიას თანამებრძოლი, ევროპულ-ამერიკული ორიენტაციის მოაზროვნე სერგეი მესხი. ამ „ახალ გზას“, სერგეი მესხი უწოდებდა დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობას და მის

მიღწევათა ჩვენში გადმოტანას.

„...ყოველგვარი ცოდნის, განათლების, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატებების წყარო, – ამბობდა იგი, ჯერ-ჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ენათუბიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება – კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნიან. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალთ უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები“.<sup>1</sup>

ს. მესხი 70-იანი წლების ევროპას ამავე პერიოდის რუსეთზე მაღლა აყენებდა. იგი, ევროპაში, უფრო მეტ საგულისხმოსა და სამაგალითოს პოულობდა თავის ქვეყნისათვის.

ევროპულ სამყაროსთან ქართველი ხალხის დაახლოების უმთავრეს ხელისშემშლელ პირობად ს. მესხი მართებულად თვლიდა იმ გარემოებას, რომ რუსეთთან ჩვენი ქვეყნის შეერთების შემდეგ იგი ფაქტობრივად მთელ გარემოსამყაროსაგან აღმოჩნდა მოწყვეტილი და „ქართველი ხალხი, რუსეთის გარდა, არც ერთის განათლებულის ხალხის წარმატებასა, წინამსვლელობას არა ჰხედავდა, რომ იმათი მაგალითისათვის მიებაძა“.<sup>2</sup>

ამ კარდახშულობის გარღვევის საქმეში ს. მესხი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულად მოაზროვნე შემოქმედებით ინტელიგენციასა და ამ იდეათა გამომხეურების წყაროს ქართულ პერიოდიკას ანიჭებდა: „თვალი გამოაჭყეტინოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოაღვიძოს, გააგებინოს, რომ ერთ წერტილზე გაჩერება დამლუპველია ხალხისათვის“.<sup>3</sup>

სამოციანელთა თაობის ევროპულ ორიენტაციასა და დემოკრატიულად მოაზროვნე მამულიშვილებს მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩრდილოელი დამპყრობლები და რუსოფილი ქართველები.

რუსეთის იმპერიას საგონებელში ავდებდა საქართველოში „სამოციანელთა“ მიერ დაწყებული რეფორმები და დემოკრატიული პროცესები, რადგან მათ კოლონიური ქვეყნის მართვისათვის სულ სხვა მიზნები და გეგმები ჰქონდათ. ეს იყო ქართველი ხალხის გადაგვარება, – გარუსების ცდები.

ილიას და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამომჟღავნება ცოდნაშია. ცოდნა – განათლებაა, განათლება კი თავისუფლებაა.

მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის აზრთა მფლობელს ილია ჭავჭავაძეს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული მეფის რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისა და მისი ჩინოვნიკების მიმართ, „თავადაზნაურთა ულტრა-არისტოკრატიულ ფენებთან“, სოციალ-დემოკრატებთან და მის ერთ-ერთ წარმომადგენელთან ნოე ყორღანიასთან.

„...თავადაზნაურთა ულტრა – არისტოკრატიული ფენები“ (ასეთები ძალიან

1 მესხი, ს. 1903. „წაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I. თბილისი, გვ. 109.

2 მესხი, ს. 1963. ტ. II. თბილისი, გვ. 116.

3 მესხი, ს. 1903. „წაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I. თბილისი, გვ. 110.

მცირე იყო) ილიას არ სწყალობდნენ, არ უყვარდათ იგი დემოკრატიული აზროვნების გამო... ამ დიდი ქართველის მსოფლმხედველობა, მისი მიმართულების გზა და გეზი ყოველ დარგში – ეროვნული, სოციალური თუ პოლიტიკური იყო ფართო, პროგრესული, დემოკრატიული და რადიკალური. დღიდან მისი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა ილია, უხვად აღჭურვილი დიდის კულტურით და მაღალის მორალით, ერთიანი და უდრეკი, უცვლელი და ურყევი იყო თვით სიკვდილამდე”.<sup>4</sup>

ილია ქართველმა საზოგადოებამ მის სიცოცხლეშივე აღიარა ყველაზე დიდ პიროვნებად. ასეთი პასუხი გაეცა ფრანგ მოგზაურს შეკითხვაზე: „ვინა გყავთ ყველაზე დიდი პიროვნებაო? – „ეს არის ილია! I/ya/IIa, ამიტომაც იყო, რომ მარქსისტული იდეებით ნასაზრდოები სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით ნოე-ჟორდანი და ფილიპე მახარაძე ებრძოდნენ ილიას. 1898 წლიდან ნ. ჟორდანი გახდა თუ არა გაზეთ „კვალის“ რედაქტორი, მაშინვე იდეური ბრძოლა გამოუცხადა გაზეთ „ივერიას“ და მის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს. მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიაჩნდა ჩამორჩენილობად და ილია კი მემამულე-აზნაურთა ინტერესების გამომხატველად, ხოლო ბანკები „ბურჟუაზიულ-ფინანსურ დანესებულებად“.

ილიამ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით ხუთი სტატიით უპასუხა მონინალმდეგეს. ესენი იყო: „უმეცრების ფართი-ფურთი“, „პატარა საუბარი“, „ახალი უმეცრებანი ბ-ნი ნოე ჟორდანიასი“, „ქართუშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრებისა“ და „ისევე და ისევე ბ-ნი ჟორდანიას უმეცრებანი და მისი ნაჯეგ-უკუჯეგობანი“. პირველ პასუხში ილია აღნიშნავდა. „ამაზე უარესად გაბიაბრუება, ამაზედ მეტად გაუპატიურება და შეგინება, მერე ვისი? – მთელის ხალხისა, მთელის ერისა, განაღა იქნება! მაშინ, როცა ბ-ნი ჟორდანიას ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქებებს რილაცისათვის საქართველოს ხალხს და თვითონ-კი, რომელმაც მთელი ხალხი, მთელი ერი უგუნურად ჩათვალა, დონინჯი შემოუყრია და მის მიერ გაუპატიურებელს საქართველოს ერსვე უბრძანებს ბატონსავით: იმედია, ამას არ შეარჩენთ „ახალ-მოსულსაო“....

...თავად-აზნაურობამ დაარსა ჩვენი ბანკი, მის მოგებაში წილი არ ჩაიღო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწირა და თქვენ კი გამოსულხართ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რათ გაითხარეთო. კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალი კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა!“<sup>5</sup>

სოციალ-დემოკრატები დაუნდობლად ებრძოდნენ ილიას. მათ ილიას ფენომენი მისავე სიცოცხლეში მოჰკლეს, როცა იგი სისხლისმსმელ-მემამულედ გამოაცხადეს. 1898 წელს, როცა ნ. ჟორდანიას ჟურნალ „კვალში“ თავის სტატიით „ქართული პრესა – გუშინ და დღეს“, კვლავ აუგად იხსენებდა ილიას, იოსებ იმედაშვილი ხალხის სახელით სახლში მივიდა მასთან.

„...ნოე, ილიას თუ შებედეთ, თქვენს თავს როგორღა აკადრეთ ქართველი ერის საამაყო შვილის ასე გაბიაბრუება, – განა ეს შესაწყნარებელია?! ილიას ასე აუგად ხსენება კარგ ნაყოფს არ მოიტანს, ეს იცოდეთ!

– შენ ვვინ გითხრა (ნოე ენას უკიდებდა), რომ ილიას, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს, ბელეტრისტსა და პოეტს ვეხებოდე, – იის ამ მხრივ კვლასიკოსია და ჩვენში ძნელად თუ ვინმე შშეედაროს!“, – მე ვებრძვი მის საზოგადოებრივ და

4 შარაძე, გ. 1986. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბილისი, გვ. 191.

5 ჭავჭავაძე, ი. 1956. „ცხოვრება და კანონი“, ტ. VI, თბილისი, გვ. 241-283.

პოლიტიკურ შეხედულებებს... აი, რაშია ჩვენი განსხვავება!

...დღეს ჩვენთვის ილიას დროშა აღარ გამოდგება.

...მე კი მგონია, მოვა დრო და თქვენც ილიას დროშას შეეფარებით. ეს კარგად იცოდეთ, ვისაც საქართველო უნდა – ილიას დროშას ვერ გასცდება“.<sup>6</sup>

მომავლის საქართველოსათვის საფუძვლის ჩასაყრელად ი. ჭავჭავაძე არ მოერიდა არც კონფლიქტს, პოლემიკასა და დაპირისპირებას ნოე ჟორდანიასთან, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის...

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადად ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა – ილიას დასი - ეროვნული იდეების მატარებელი და ახალი – სოციალ-დემოკრატები (მესამე დასელები), - მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებელი. ამ ცხარე და მწვავე დაპირისპირებისას აუცილებელი გახდა ისეთი ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის დაარსება, რომელიც დემოკრატიზმსა და პატრიოტიზმს ერთმანეთს დაუკავშირებდა, ეროვნულ ნიადაგზე სოციალურ მოძრაობას გაშლიდა. ამ მიზნით საქართველოში სოციალ-ფედერალისტმა სამსონ ფირცხალავამ 1902 წელს დაარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ხოლო პარიზში 1903 წელს სოციალ-ფედერალისტის ლიდერის არჩილ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით დაარსდა პარტიის ორგანო გაზეთი „საქართველო“, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა.

ევროპაში გაზეთი თავისუფლად და შეუზღუდველად აშუქებდა პარტიის მოქმედების პროგრამას. საქართველოში „ცნობის ფურცელმა“ და ევროპაში „საქართველომ“ 1901-1903 წლებში იდეურად შეამზადა და მრავალი მომხრე გაუჩინა უნევევაში ქართველ სოციალ-ფედერალისტურ პარტიას, რომელიც 1904 წლის აპრილში ოფიციალურად გაფორმდა. პარტიამ უნევევაში დაარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. სოციალ-ფედერალისტები საქართველოში და ემიგრაციაშიც ძირითად დებულებებში დიდ სამოციანელოთა პოზიციას ავრძელებდნენ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის იყო მონადინებული.

გერონტი ქიქოძე წერდა: „გამანათებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერჯია დასავლეთ ევროპიდან ეძლევა კაცობრიობას, ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვით შემცნობი და მომქმედი ერისთვის. უამისოდ მის კერას გაციება და მის სხეულს გაყინვა მოელოს...“

იმედია ქართველი ერიც თავს დააღწევს ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა“.<sup>7</sup>

მათ სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით, სტალინი, მახარაძე და ჟორდანიას საქართველოს მშრომელი მასების მტრულ პარტიებად ნათლავდნენ. მაშინ, როცა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიულ რესპუბლიკა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებულ იქნა. თავისუფალ სიტყვას, ქართულ სულიერებას, დიდი სამოციანელების ნასაზრდოებ დემოკრატიულ იდეებს, პრინციპებს, ღირებულებებს საბჭოთა საქართველოში „რკინის ხუნდები“ დაედო. ქართული დემოკრატიის ხმა მხოლოდ ემიგრანტთა ძალისხმევით თუ აღწევდა საქართველოში.

<sup>6</sup> „ილია-მოგონებები გარდასულ დღეთა“, 1987. თბილისი, გვ. 319-320.

<sup>7</sup> ქიქოძე, გ. 1963. „რჩეული თხზულებანი“, ტ. I. თბილისი, გვ. 25.

რუსული პოლიტიკის პრობლემა ყოველთვის იყო თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი და საქართველო. და, როგორც 1921 წლის 7 მაისს კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა თავის „ღია წერილი ლენინს“, რომ „ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგრძნებას ვერაფერს წაართმევს მას“...

საქართველოს მომავალს ევროპის დიდ ოჯახში ხედავდნენ „ცისფერყანწელები“.  
„ამჟამად, ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ ევროპული შემეცნებით...“

მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი და ამ ეროვნული აღორძინების სადღეგრძელოს სრულიად სერიოზულად ვსვამ „ცისფერი ყანწებით“ - ხმამაღლა აცხადებდა ტიციან ტაბიძე.

სწორედ, თავისუფლებისაკენ სწრაფვას შეეწირა „ცისფერყანწელთა“ დიდი ჯგუფი, მათ შორის ტიციან ტაბიძეც და საერთოდ ინტელექტუალური ელიტა. ქართველი ემიგრანტები დაუნდობლად ამხედნენ ქართველი ხალხის უპირობო მტრებს, რომლებმაც ხელიდან გამოგლიჯეს მამულიშვილებს, დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხს, ქართული დროშა, მაგრამ ვერაფრითარმა ტლანქმა და სისხლიანმა ძალამ ვერ შესძლო საქართველოს სიყვარული გულიდან ამოეგლიჯათ ქართველი ერისათვის.

1921 წლის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ბოლომდე სჯეროდათ, რომ ვერც სტალინი და ვერც მისი მემკვიდრეები თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველების შეუდრეველ სულს ვერაფერს დააკლებდა. „ამაო შრომაა, ათასი წლობით ნაწრთობ მებრძოლ სულს მოსკოვი ვერას დააკლებს“, – აცხადებდა პოლიტიკური ემიგრანტი ალექსანდრე ცომაია.<sup>8</sup>

ათასობით ქართველი შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს. ბრალდების წაუყენებლად 1951 წელს ასევე ვანდალური აქტი განხორციელდა საქართველოში და ერთ ღამეში 50 000 ათასი ქართველი გადაასახლეს. „მითითება ყოფილა „გემოდან“, ვინც სამამულო ომში, გერმანელებთან ტყვედ იყო ნამყოფი, ან ვისაც საზღვარგარეთ ჰყავდა ნათესავი, ყველანი ოჯახებიანად დაეპატიმრებინათ“.<sup>9</sup>

ასე რომ, საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრით ეს იყო „იდეოლოგიური გაჯანსაღება“.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ „წმენდას“ მისი ლიდერები ემიგრაციაშიც ცდილობდნენ აქტიური პროპაგანდით, მაგრამ ემიგრანტები გლობუსის მეორე მხრიდან და ევროპიდან კარგად ხედავდნენ ერის დაუცველობას, რუსული ჩიქმით ფიზიკურად და სულიერად განადგურებას. ამიტომ ისინი საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქეების დაბრუნებას ძველ სამშობლოში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ: „საბჭოთა მთავრობამ უკვე არა ერთხელ მიმართა ქართულ ემიგრაციას და 1945-46 წლებში ზოგიერთები შეაცდინა კიდევ. რა მოუვიდათ მაშინ დაბრუნებულებს?! სად არიან, მაგალითად სამსონ ფირცხალავა და სპირიდონ ჭავჭავაძე?... ფლიდ, ვერაგ და სისხლით გაუმძღარ მოსკოვს კიდევ სწყურია სისხლი და ახალ მსხვერპლს დაეძებს“.<sup>10</sup>

წარმოადგენდა თუ არა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის რეალურ საშიშროებას ქართული ემიგრაცია? ამ კითხვაზე პასუხს ემიგრანტ ალექსანდრე ცომაიას ერთი

8 გაზეთი „ქართული აზრი“, 1955. №1, ნიუ-იორკი, გვ. 3.

9 ტომარაძე, ქ. 2020. „რეპრესირებულთა ჩანაწერები“, თბილისი, გვ.122.

10 გაზეთი „ქართული აზრი“, 1955. №1, ნიუ-იორკი, გვ. 4.

წერილი - „სადღეისო საკითხი“ - გვანჯდის: „უთუოდ ისეთ ქართველს ვერ იპოვით და ისიც ემიგრაციაში, რომელსაც საქართველოს დასახსნელად რაიმე გეგმა არ ჰქონდეს.

შესაძლოა, ჩვენი ტრადიციულ იმაში იყვეს, რომ ყველანი, უფლებისა და შეძლების უკითხავად გეგმებს თხზავენ და ამით ხშირად ხელის შეწყობის მაგიერ აფერხებენ სხვათა მიერ გონიერად მოსაზრებულ მოქმედებას. მაგრამ უიმედობამ ისეთ პირობებში მოგვაქცია, რომ შეუძლებელია ქართველის გონება სამშობლოს არ დასტრიალებდეს.

ყველა ჩვენს პირობებში, ნებით თუ უნებლიედ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჩვენს ნაწამებ ქვეყანაზე ფიქრობს და თუ მის მხსნელად სასწაულს გარდა რეალურ ძალის საჭიროებასაც ხედავს, ამ ძალთა შორის უნებურად ქართულ ემიგრაციასაც გულისხმობს.

ემიგრაციამ საქართველოს მხსნელ-გადამწყვეტ ძალად, ვეჭვობ, ვინმეს მიაჩნდეს.

მაგრამ ამ ძალის ძებნაში კი მთავარი როლი მას ეკუთვნის და ემიგრაციის დანიშნულებაც ეს არის...“<sup>11</sup>

ფარხმალდაუყრელი ქართველის რწმენა და იმედია ჩაქსოვილი პარიზში გამომავალ ჟურნალ „ახალი ივერიის“ რედაქტორის და პოლიტიკური მოღვაწის ელისე პატარიძის წიგნში „დემოკრატიზმი“, რომელიც 1938 წელს გამოვიდა საფრანგეთში. ავტორი წიგნისადმი წამძღვარებულ „წინასიტყვაობაში“ წერდა: „საქართველო დაეცა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი განთავისუფლებისა და აღდგენისათვის მზრუნველ და მოქმედ ინტელიგენტურ ძალთა ერთი ნაწილის აზრია მისი კვლავ დემოკრატიულ, რესპუბლიკურ-პარლამენტარულ ფორმებში აღდგენა.

აქედან ცხადია, რომ ქართველიც დიდი ინტერესით აღევნებდეს თვალყურს მსოფლიო მასშტაბით დასმულ დემოკრატიზმის საკითხს, სწავლობდეს მას მსოფლიოს მაგალითებზედ საკუთარ ეროვნულ მეობასთან, სულთან და პიროვნებებთან შეფარდებით. ამ საკითხების წინასწარ გარკვეულობასა და მომზადებას შეუძლია ბევრი მოსალოდნელი ხიფათისაგან ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გადარჩენა“.<sup>12</sup>

1959 წლის აშშ-ს უშიშროების რეგულაციებში საქართველო ითვლებოდა „დატყვევებულ ერთა“ სიაში. რუსეთს თავისი იმპერიის 600 წლოვანი ისტორიის მანძილზე დაპყრობითი ომების წარმოების, ხალხთა დამონებისა და მათი ძარცვის მეტი არაფერი უკეთებია. იგი იბრძვის სრულიად გარკვეული მიზნებისათვის: „მოსკვა იესტ ტრეტი რიმ, ა ჩეტვიორტომე ნე ბივატ“, ამ რუსულ ფორმულაში აშკარად არის გამოთქმული მსოფლიოში გაბატონების იდეა და ამ იდეაზე რუსეთის სახელმწიფოს არასოდეს ხელი არ აუღია“.<sup>13</sup>

საქართველოს თავისუფლების გზა, საბოლოოდ ევროპის დემოკრატიის ფოკუსში რომ იყრიდა თავს, ეს პროცესები ცხადი იყო ემიგრანტებისათვის, ამიტომ მოუწოდებდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანიას თანამემამულეებს.

11 ტომარაძე, ქ. 2020. „რეპრესირებულთა ჩანაწერები“, თბილისი, გვ. 11.

12 შარაძე, გ. 1993. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, თბილისი, გვ. 398.

13 გაზფთი „ქართული აზრი“, 1955. №1, ნოე-იორკი, გვ. 4.

იგი ემიგრაციაში თავის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეცდომებს აღიარებდა და დიდ ნი-იანელთა შეხედულებას იზიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და თავის „რჩეულ ნაწერებში“ აღნიშნავდა: „... დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედით ევროპის სავალი გზის ხაზზე, ჩავდექით მის ფერხულში. ეს არ არის რალაც უცაბედი, თვითნებური მოვლენა. ის აუცილებელია, ფატალურია, მას ვერ აცდება ვერც ერთი ხალხი. ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახალ ისტორიას სხვა გზა ჯერ არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა... ევროპა მიდიოდა ამ ხაზზე სტიქიურათ, ვინაიდან მსგავსი ისტორიული მაგალითი თვალწინ არ ქონებია – და სხვისი გამოცდილებით ვერ ისარგებლებდა. ის თვითონ ქმნიდა თავის ისტორიას, იკატავდა წალდით ხელში ახალ ეკლიან გზას, მიდიოდა წინ, მუდამ წინ...

... ჩვენ, მადლობა ღმერთს, არ ვიმყოფებით უდაბნოში, არ მივდივართ უგზო-უკლოთ. რაკი ჩავდექით ევროპის ფერხულში, ვიცით რას ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით...»<sup>14</sup>

ასე რომ, ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ნი-იანი წლებიდან დაიწყეს გზის გაკატვა ევროპისაკენ, ამიტომ ანიჭებდა ილია დიდ მნიშვნელობას უცხოელთა სტუმრობას საქართველოში, რადგან იგი ევროპისკენ მიმავალ გზად და ხიდად მიაჩნდა: „ისინი ქართული კულტურით მოხიბლულნი თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ და ქართული კულტურის მონაპოვარს აცნობდნენ თავიანთ თანამემამულეებს. 1895 წლიდან ილიასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი პირველებმა გადეს ინგლისელმა და-ძმამ უორდროპებმა, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა, რომელმაც სამუდამო სასუფეველად საქართველო აირჩია.

მარჯორი უორდროპი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ევროპასთან ურთიერთობას და აღნიშნავდა: „ვიმედოვნებ, ინგლისელი საზოგადოება მალე უფრო უკეთ გაეცნობა ქართველი ხალხის ძველსა და ახალ ლიტერატურას, რომელიც დასავლეთისათვის თითქმის სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ უფრო ისწრაფვოდა, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ“.<sup>15</sup>

პროფესორებმა ბერტელიონმა – პარიზიდან, ბოსკომ – რომიდან, კარლ ლემან-ჰაუპტიმ – ბერლინიდან, გულიელმო პასილიმ – იტალიიდან და სხვებმა. რისგამოც ილია აღნიშნავდა, რომ ისინი „მოჰყენდნენ მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“...

... ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოვებიან“.<sup>16</sup>

ამკარად იკვეთებოდა ილია ჭავჭავაძის დიდი პოლიტიკოსობა. იგი გაფაცვიცებით ადევნებდა თვალყურს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, არც ერთს შესანიშნავ მომენტს არ გამოსტოვებდა, რომ იგი არ აღენიშნა თავის „ივერიაში“ და თავისი აზრი არ გამოეთქვა.

14 უორდანი, ნ. 1990. „რჩეული ნაწერები“, თბილისი, გვ. 262.

15 უორდროპი, მ. გაზ. „ივერია“ 1894 წ. 8 სექტემბერი N191.

16 ჭავჭავაძე, ი. 1961. ტ. X. თბილისი, გვ. 138.



„იმ ხანებში ბალკანეთში მოძრაობა იწყებოდა, ხალხი თავისუფლებას დაეძებდა, თავის დახსნას ლამობდა. ალექსანდრე ბატენბერგი გააგდეს, ალექსანდრე მესამე, რუსეთის ტვინის მწოველი მეფე გამორიცხეს ბოლგარელებმა თავისი ჯარიდან. ამ ამბავმა ცას დასწია, სახე უბნყინავდა, გახარებული იყო: აღმოსავლეთში ღრუბლები იშლება, აქ ევროპის დიპლომატიური ხელი ფათურობსო, ამასთან ხმა დავარდა, რომ ნიკო მინგრელსკის გზავნიან ბოლგარიის მთავრად. ნიკო ილიას მეგობრობდა, აქედან დიდი იმედები დაეება ილიასა, როგორც დიდ პატრიოტს, ილიას ამისთანა მომენტების დროს, იმედი დაეებადებოდა ხოლომე საქართველოს ბედის შეტრიალებისა.

„მოახლოვებულია უამი აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლებისაო. აღმოსავლეთის პატარა ერები ცხენის გამონასკვნული კუდია, ამ ნასკვს პატარა ნასკვი აქვს ხოლომე. ეს პატარა ნასკვი საქართველოაო. მანამ ამ პატარა ნასკვს არ გახსნიოთ, დიდი ნასკვი არ გაიხსნებაო,“ - ამბობდა იგი.<sup>17</sup>

დიდი ილია მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიის იდეას, მაგრამ რევოლუციური სისხლისღვრა გაუმართლებლად მიაჩნდა. იგი თვლიდა, რომ რეფორმები ზემოდან უნდა დაეწყათ.

ილია ჭაჭავაძე მხარს უჭერდა ევოლუციას, კლასთა შერიგებას, სოციალურ გარდაქმნებს, ეკონომიკის პროგრესს, განათლების გავრცელებას.

ასე რომ, დიდმა ილიამ შექმნა ახალი საქართველოს კულტურისა და პოლიტიკის ფუნდამენტი და ეს გზა ემიგრაციაში გააგრძელეს დამოუკიდებელი საქართველოს დევნილმა მამულიშვილებმა.

XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებმაც ფართოდ ისარგებლეს ევროპისა და ამერიკის დემოკრატიის უდიდესი მონაპოვრით - სიტყვისა და პრესის თავისუფლებით. აქ დაარსებული ქართული პერიოდიკა დაახლოებით 165 დასახელების ჟურნალ-გაზეთს ითვლიდა. ქართული პოლიტიკური ემიგრანტები ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და ქართულ ენებზე უშვებდა არამარტო ჟურნალ-გაზეთებს, არამედ პოეზიის, პროზის, თარგმანების, ისტორიულ-ლიტერატურული ესეების, ლიტერატურის ისტორიის, მხატვრული კრიტიკის, საქართველოს ისტორიის, საერთაშორისო სამართლის, გეოპოლიტიკის, ურბანისტიკის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და დემოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ წიგნებს. ეს აუარებელი მასალა უფრო მეტად ფარულად და ზოგჯერ სხვადასხვა გზით აღწევდა საქართველომდე. აკრძალული ლიტერატურისადმი დიდ ინტერესს იჩენდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამულიშვილები.

„უცხო შორეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტის ფიქრისა და ზრუნვის საგანი იყო მათთვის სამუდამოდ კარდახშული და გზაგადაკეტილი სამშობლო, ამიტომ პერიოდიკის ფურცლებზე მთავარი ადგილი ეჭირა საბჭოთა სინამდვილის ხატვას, რომელსაც „წითელ კომბლიანი ჯაყოები მართავდნენ“. ეროვნული პოზიციებიდან აფასებდა და წარმოაჩენდა სტალინის მანკიერ მხარეებს ემიგრანტი პოეტი გიორგი ყიფიანი, რომლის აზრით, იგი „მსოფლიო ტახტის“ მფლობელი, „წითელი ქვეყნის ულმობელი, მრისხანე ღმერთი“ იყო. „სისხლით ნაზარდი სურვილით შეპყრობილი კაცი“, რომელიც „წითელი მცხით ემუქრებოდა დაღლილ პლანეტას“ და „რკინის

17 მაგალობლიშვილი, ს. 1938. „მოგონებანი“ თბილისი, გვ.167.

მახვილით აბარბაცებდა სამყაროს“.<sup>18</sup>

ცნობილია, რომ ქართველ ემიგრანტთა მხატვრული სიტყვა და პერიოდიკა ცენზურის არტახებით არ იყო შეზღუდული, როგორც საბჭოთა საქართველოში. ემიგრანტები თავისუფალ, იდეოლოგიური შეზღუდულობის გარეშე სჯიდნენ და აანალიზებდნენ მოვლენებს. ყოველივე ამას ემატებოდა „ამერიკის ხმის“ ქართული გადაცემაც.

ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა, თავისუფლებისა და დემოკრატიის სიო შემოიტანა საბჭოთა საქართველოში. ქართველი ერი და მისი პოლიტიკური პარტიები, ქართველი საზოგადოება საერთოდ დამოუკიდებლობის იდეას და თვით დამოუკიდებლობას დიდი ეროვნული მუხტით შეხვდა.

ათეულიწლების განმავლობაში ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციით თანდათან მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის მქონე ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა.

დღეს, როცა ჩვენი დიდი სულიერი წინაპრებისა და ქართული პოლიტიკური ემიგრანტების ნატვრა და ოცნება განხორციელებულია, საქართველოს არჩევანი ევროინტეგრაციაში სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

#### **ბიბლიოგრაფია:**

გაზეთი „ქართული აზრი“, 1955. №1, ნიუ-იორკი.

ილია-მოგონებები გარდასულ დღეთა“, 1987. თბილისი.

მგალობლიშვილი, ს. 1938. „მოგონებანი“ თბილისი.

მესხი, ს. 1903. „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I. თბილისი.

მესხი, ს. 1963. ტ. II. თბილისი.

ნიკოლეიშვილი, ა. 2002. „XX საუკუნის ქართული მწერლობა“, ქუთაისი.

ჟორდანია, ნ. 1990. „რჩეული ნაწერები“, თბილისი.

ტომარაძე, ქ. 2020. „რეპრესირებულთა ჩანაწერები“, თბილისი.

უორდროპი, მ. გაზ. „ივერია“ 1894 წ. 8 სექტემბერი N191.

ქიქოძე, გ. 1963. „რჩეული თხზულებანი“, ტ. I. თბილისი.

შარაძე, გ. 1986. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბილისი.

შარაძე, გ. 1993. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. 1956. „ცხოვრება და კანონი“, ტ. VI, თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. 1961. ტ. X. თბილისი.

18 ნიკოლეიშვილი, ა. 2002. „XX საუკუნის ქართული მწერლობა“, ქუთაისი, გვ.585.

**Mariam Marjanishvili**

*Scientific worker at the Department of New History  
and Education Kutaisi State Historical Museum*

## **EUROPE IS THE HISTORICAL INEVITABILITY OF GEORGIA'S FUTURE**

**Key words:** Crossroads, Emigration, European integration

Great representatives of the 1860s led by Ilia, penetrated by democratic ideas, had to fight without swords and war: against Tsarist colonial regime, to revive democratic state life and new ways, and, as their co-fighter Sergei Meskhi stated, 'to get to know Western European life and science and introduce their achievements to our country'.

European orientation and democratic thinking of the generation of the 1860s were opposed by Northern invaders and the Georgians supporting Russia.

Ilia and his co-fighters were well aware that the expression of freedom lies in knowledge. Knowledge is education, and education is freedom.

Ilia and his co-fighters were the first who took direction to Europe, who gave great importance to creating a bridge of creative relations with European writers and scientists, representatives of art and culture. As Ilia remarked, they 'would spread the news all over the educated world that far away, there is a small nation, whose big heart beats for success, kindness and happiness of mankind...'

The ideas of the representatives of the 1860s were further spread and developed by Georgian emigrants in 1921 who "promoted Georgian culture in Europe, which created a strong belief that Georgian nation with its old and high civilization had the right of independent state life and people's struggle in this direction was a fully rightful event".

And today, when the aims of our great spiritual ancestors and Georgian political emigration are realized, the historical inevitability of Georgia is integration in European big family.



ლელა სარალიძე

რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის მთავარი მაცნიერ-თანამშრომელი

## მიხეილ მუსხელიშვილი და საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხი

საკვანძო სიტყვები: მ. მუსხელიშვილი, საქართველო, ევროინტეგრაცია.

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს სწრაფვა გახდეს ევროპული ოჯახის ნამდვილი წევრი, რაც ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ქართველი მეცნიერის, მიხეილ მუსხელიშვილის თვალსაზრისი საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს, შევისწავლოთ ქართველი მეცნიერის ნაშრომები ევროინტეგრაციის საკითხებზე, რომლებიც უცხოეთში, საქართველოს ოკუპაციის პერიოდში იწერებოდა და პირდაპირ ეხმაურება საქართველოს დღევანდელ მისწრაფებას.

მიხეილ მუსხელიშვილი (იგი საფრანგეთში ცნობილია, როგორც მიშელ მუსხელი 1903-1964წწ.) ქართული წარმოშობის ფრანგი პოლიტიკოსი, მეცნიერი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი იყო. 1959 წელს, მან სტრასბურგში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევითი ცენტრი დააარსა, რომელიც „მუსხელის ცენტრი“-ს სახელით არის ცნობილი. აღნიშნულ ცენტრს იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. მ. მუსხელი ევროპის ფედერალისტთა მოძრაობის მნიშვნელოვანი წევრი იყო. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლის წინ, რიგ დიდ ქალაქებში მან „ევროპული არჩევნები“ ჩაატარა.

მ. მუსხელმა ერთიანი ევროპის იდეას მრავალი ნაშრომი მიუძღვნა, ასევე, თანამოაზრეებთან ერთად ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი შექმნა.<sup>1</sup> იგი, ევროკავშირის ჩამოყალიბებამდე, ერთიანი ევროპის შექმნას მხარს უჭერდა და მიაჩნდა, რომ გაერთიანებით ევროპის ქვეყნები უფრო გაძლიერდებოდნენ.<sup>2</sup> ამ კუთხით, მ. მუსხელის მოღვაწეობა დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის.

1 Vayssière Bertrand. 2007. „Vers une Europe fédérale? Les espoirs et les actions fédéralistes au sortir de la Seconde Guerre mondiale“, Deuxième Tirage, Monographies 420 Pages, Histoire et Science Politique, Série: Cité européenne, European Policy, Volume 36, Bruxelles, p. 108.

2 ჯაფარიძე ე. 2019. „ევროინტეგრაციის სათავეებთან: მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, გვ. 25.

მიხეილ მუსხელის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევს სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ა. ვეილი და მის გარდაცვალებას ევროპული მოძრაობისთვის, თანამოაზრეებისთვის უდიდეს დანაკარგად მიიჩნევდა. გამოსამშვიდობებელ წერილში იგი ამბობს: „...ჩვენი მეგობარი მიშელ მუსხელი რწმენის ადამიანი იყო. ის იყო ევროპული იდეის ერთ-ერთი პიონერი. სტრასბურგში ყოფნის 18 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით დიდი გატაცებით მუშაობდა. გულწრფელობა, ელევანტურობა, სრულყოფილი გემოვნება, ამ თვისებებს ვხვდებით პროფესორში და ისინი ათჯერ უფრო თვალშისაცემია, რადგან მ. მუსხელს უშუალო კონტაქტში ჰქონდა ახალგაზრდობასთან, რომელიც მათ იზიდავდა... მე ძირითადად მხედველობაში მაქვს სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევის ცენტრი, ორი მიზეზის გამო: სწორედ, ამ ცენტრის შექმნისა და ფუნქციონირების პერიოდში ხშირად ვმუშაობდი მიშელ მუსხელთან, ეს საშუალებას მაძლევს შევაფასო მისი ყველა თვისება: ერთგულება, სრულყოფილი გემოვნება, ასევე, რისკის პრაქტიკა: როდესაც თანამდებობა ჯერ არ იყო შექმნილი, თანამშრომელთა დაქირავება კი გვინევდა, თუნდაც პუბლიკაციების გამოსაცემად მომზადება, როდესაც დაფინანსება არ იყო უზრუნველყოფილი. მეორე მიზეზი, რამაც მიბიძგა, რომ ცენტრს განსაკუთრებული ადგილი დავუთმო, არის ის, რომ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული მიშელ მუსხელის სახელთან; როდესაც სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის გარკვეულ კომისიებში საუბარია კვლევის სამეცნიერო ცენტრზე, აქ სსრკ-ის კვლევის ცენტრი იგულისხმება, საუბარია „მუსხელის ცენტრზე“. ამ ცენტრმა ჩვენი ფაკულტეტი მსოფლიოში ცნობილი გახადა, ის ჩვენი სიამაყეა. ასევე, ბატონი რექტორი (იგულისხმება სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორი René Hubert -ი – ლ. ს.) ნებას მომცემს ჩვენი უნივერსიტეტის სახელით განვაცხადო: როდესაც პატივსაცემი ადამიანი მოდის ჩვენს ახალ ფაკულტეტზე, ჩვენ მას ყოველთვის ვეპატიუებით ცენტრის შენობაში. მიშელ მუსხელის წინაშე ჩვენ გვაქვს ვალდებულება, შევინარჩუნოთ ის, რაც მან შექმნა. მე, ჩემს თავზე ვიღებ ამ ვალდებულებას“.<sup>3</sup>

მ. მუსხელიშვილი საქართველოს მომავალს ევროპაში ხედავდა. მას კარგად ესმოდა, რომ რუსული ოკუპაციის პირობებში ქართველი ხალხი მოკლებული იყო უფლებას, დამოუკიდებლად წარემართა პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული საქმიანობები, ასევე, საკუთარი სამართლებრივი სტატუსი განესაზღვრა. იგი ერთა თვითგამორკვევის უფლებას საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით განიხილავს. მისი აზრით, ერთა თვითგამორკვევის პრინციპმა სცადა, რომ იგი საერთაშორისო სამართალს ეღიარებინა. პირველი ცდა 1919 წელს მოხდა, რაც აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის დამსახურება იყო. მ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ვ. უილსონის გავლენით, აღნიშნულ პრინციპს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ევროპის ტერიტორიალურ რეორგანიზაციაში, რადგან ამ უფლებების ტექნიკურმა გამოხატულებამ, საერთაშორისო პლებისციტმა, ტერიტორიების ბედი

3 Weill A. 1964. Michel Mouskhély (Mouskhélichvili) (1905-1964), ჟურნალი „ბედი ქართლისა“, #45-46, პარიზი, გვ. 184-186.

\* ა. ვეილი მ. მუსხელიშვილის დაბადების თარიღად 1905 წელს ასახელებს, ემიგრაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გურამ შარაძე მიიჩნევს, რომ იგი 1903 წელს დაიბადა, იხ: შარაძე გ. 1991. მიხეილ მუსხელიშვილი, წიგნში: „უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი პირველი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, გვ.477-482.

არაერთხელ გადაწყვიტა. მ. მუსხელიშვილი წერს: „მწარედ მოსტყუვდებიან ის ერნი, რომელნიც მათ იმედს დამოუკიდებლობის მოპოვებისა თვითგამორკვევის უფლებებზე დაამყარებენ. კიდევ უფრო დიდ უგუნურობად ჩაითვლება მიტოვება მათ მიერ დამოუკიდებლობის სტატუსისა და მისი გაცვლა თვითგამორკვევის უფლების აღსარებაზედ. ეს ნიშნავს ნანადირევის ხელითგან გაშვებას მისი აჩრდილისათვის. მართალია, ერს საზიზღარი ბატონობისგან განსათავისუფლებლად გარდა აჯანყებისა, დღესაც არა აქვს სხვა საშუალება, როგორც გუშინ არ ჰქონდა, მაგრამ აჯანყება და ძალით მოქმედება კანონიერი ხდება მაშინ, როდესაც საქმე წარმოებს იმ იურიდიული უფლების აღსადგენად, რომელიც ერს უკანონოდ აჰხადეს, ხოლო იგი არ იქმნება აუცილებლად კანონიერი, თუ საქმე წარმოებს, პირიქით, ახალი იურიდიული უფლების მოსაპოვებლად“.<sup>4</sup>

საქართველოს საერთაშორისო სტატუსზე საუბრისას, მ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში საქართველოს სტატუსი ექვემდებარება ორ რეგულაციას: სსრკ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის. მას მოჰყავს სათანადო მუხლები სსრკ-ის 1936 წლის 5 დეკემბრის კონსტიტუციიდან. კერძოდ, მე-13 მუხლი, რომლის თანახმად: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე“, ასევე, მე-17 მუხლი, სადაც აღნიშნულია: „ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა სსრკ-გან თავისუფლად გამოყოფის უფლებას ინარჩუნებს“.<sup>5</sup> ქართველიმეცნიერი დაასკვნის: „...თუ საქართველო მართლაც შეინარჩუნებს სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირის ფარგლებში, მაშინ მისი სტატუსის პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობაში უფრო მარტივად გადაიჭრება... მთავარია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ როგორც არ უნდა იყოს ჰიპოთეზა, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას არავითარი ცვლილება არ განუცდია. სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს არ დაუკარგავს არც დამოუკიდებელი სახელმწიფოს და არც საერთაშორისო იურიდიული პიროვნების სტატუსი. მნიშვნელოვანია ამის ცოდნა და კიდევ ერთხელ დადასტურება. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოებაში ტიტულები საკმარისი არ არის უსამართლობის დასაკმაყოფილებლად და დასასრულებლად. კანონი ხშირად უთმობს გზას პოლიტიკას, სამართალი კი ძალას. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა ერებს, რომლებიც უძლურნი არიან დაიცვან თავი დიდი იმპერიალიზმისგან. ამრიგად, კიდევ ერთხელ, არსებობს პოლიტიკური პრობლემა, რომელიც მიანიშნებს თემებზე მზარდად კონცენტრირებულ სამყაროში“.<sup>6</sup>

მიხეილ მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ დაუღალავი და ოსტატურად ორგანიზებული პროპაგანდის წყალობით, საბჭოთა ლიდერებმა დასავლეთში დაამკვიდრეს მითი, საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის იდეალურად გადაწყვეტის შესახებ. მ. მუსხელი აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირი, რომელსაც აქვს ერთი მხრივ,

4 მუსხელიშვილი მ. 1954. „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, #18, ოქტომბერი, პარიზი, გვ. 16.

5 Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик Утвержден Чрезвычайным VIII съездом Советского Союза СССР 5 декабря 1936 г. (с последующими изменениями и дополнениями), <http://www.hist.msu.ru/ER/Text/cnst1936.htm> (28.08.2022).

6 Muskhély Michel. 1956. „La Géorgie et son statut international“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, აპრილი, #21-22, პარიზი, გვ. 1-5.

დიდი გეოგრაფიული ერთგვაროვნება, მეორეს მხრივ, მოკლებულია ეთნიკურ და ენობრივ ერთიანობას. 1939 წელს სსრკ-ში იყო ოცდაცამეტი სხვადასხვა ეროვნება, ყველაზე მეტი კი რუსი ერი 99 მილიონი მოსახლეობით, რომელიც მოსახლეობის 58,41%-ს წარმოადგენდა. შემდეგ მოდიან უკრაინელები 28 მილიონით (16,56%), მათ ბევრად ჩამორჩებოდნენ ბელორუსები - 5,267,400 მოსახლეობით, ანუ მოსახლეობის მხოლოდ 3,11%, შუა აზიის ხალხები (ყაზახები, თურქმენები, უზბეკები, ყარაყალპაკები, ტაჯიკები და ყირგიზები) 11,057,700-ს შეადგენდა, ანუ მოსახლეობის 6,5%-ზე მეტს; რაც შეეხება კავკასიის რეგიონს, ეს არის ნამდვილი ეთნიკური მოზაიკა, რომლის საერთო რაოდენობა დაახლოებით შეესაბამება თურქესტანის მოსახლეობას (ათობით მილიონი მოსახლე).<sup>7</sup>

ავტორის აზრით, რუსული ენა საერთაშორისო ენის მნიშვნელობას ინარჩუნებდა, ყოველ შემთხვევაში, სსრკ-ს გავლენის სფეროში. საბჭოთა კავშირში, რუსიფიკაციის პროცესი საკმარისად დანინაურდა და ეროვნული თანასწორობის შესახებ რუს ხელისუფალთა პროპაგანდა, მხოლოდ მითი იყო. ავტორი დაასკვნის: „ამრიგად, დღევანდელ „საბჭოთა პატრიოტიზმს“ სურს აიძულოს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი რეტროსპექტულად დაიცვან რუსული პატრიოტიზმი, რომელთანაც იგი მეტ-ნაკლებად იდენტიფიცირებულია. საბჭოთა ოჯახში რუსი ხალხი არის „უფროსი და“ და დღესაც, როგორც გუშინ, აპირებენ იაღნიონ თავიანთი პირველობის აღიარებას და „გამარჯვებული სოციალიზმის“ გზაზე მეგზურის როლს“.<sup>8</sup>

მ. მუსხელიშვილი მხარს უჭერდა კავკასიის ერთიანობის იდეას. იგი აქტიურად იყო ჩართული 1932 წელს, პარიზში საქართველოს ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული „კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი“-ს შედგენასა და მისი თითოეული მუხლის განმარტება-დასაბუთებაში.<sup>9</sup>

მ. მუსხელიშვილი საქართველოს მომავალს ერთიან ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაში ხედავდა. იგი სვამს კითხვას: „...თუ ისეთი დიდი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია და იტალია, საკუთარი ძალისხმევით ვერ უზრუნველყოფენ თავიანთპოლიტიკურდამოუკიდებლობას, ეკონომიკურდასოციალურსტაბილურობას, მაშინ რა შეიძლება ითქვას ისეთ პატარა ქვეყანაზე როგორ არის საქართველო?“<sup>10</sup> იგი ამბობს, რომ შვეიცარიის მაგალითი საქართველოს შემთხვევაში ვერ გამოდგება, რადგან უზარმაზარი რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ, მას ჰყავს მეზობელი რომლისთვისაც მისი ტერიტორიის მიტაცება ყოველთვის მაცდური იქნება. შვეიცარიამ მოახერხა ხელუხლებლად შეინარჩუნებინა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, უპირველეს ყოვლისა, შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა ბაზრის სიმცირისა და უცხო ქვეყნებზე მჭიდრო დამოკიდებულების მიუხედავად.

მ. მუსხელიშვილი აცხადებს, რომ რუსეთი ევროპული ქვეყანა არ არის, რუსეთის ხელისუფლებას დასავლეთის იდეები და ტექნიკა, სჭირდება როგორც

7 Muskhély Michel. 1954. „L'U.R.S.S. ou le mythe des nationalités heureuses“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, #16, იანვარი, , პარიზი, გვ. 5.

8 Muskhély Michel. 1954. „L'U.R.S.S. ou le mythe des nationalités heureuses“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, #16, იანვარი, გვ. 1-5, პარიზი,

9 სარალიძე ლ. 2018. „ქართველი ემიგრანტი მეცნიერი მიხეილ მუსხელიშვილი და კავკასიის ერთიანობის იდეა“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1-2 (22), თბილისი, გვ. 173.

10 Muskhély Michel. 1953. „La Géorgie et l'Europe“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, სექტემბერი, #15, პარიზი, გვ. 1.

საშუალება საკუთარი თავის სრულყოფისთვის. იგი დააკენის: „საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც მეფეთა რუსეთი, არ ეკუთვნის დასავლეთს არც პოლიტიკურად და არც სულიერად. მართალია, ის დღეს იმყოფება თვით ევროპის შუა გულში, მაგრამ ის მაინც ამით არ იქცევა დასავლეთის ქვეყნად, მის აქ ყოფნას მძიმედ განიცდიან ევროპელები და თავადაც უცხოდ გრძნობს თავს ამ უცხო მინაზედ. არ არსებობს საერთო საზომი რუსსა და ევროპეელს შორის. ძირითადი განსხვავება მათ შორის, რომელიც შექმნა ისტორიამ, უცვლელი რჩება, მიუხედავად გაევროპიელების ზოგიერთი სპორადიული ცდისა; ის კიდევ მწვავედ და ღრმავლად ბოლშევიზმით: საბჭოთა ადამიანი ყიველდღე უფრო და უფრო მეტად სცილდება თავის მეზობელ ევროპეელს. გეოპოლიტიკა და ფსიქოლოგია ერთად მას ანიჭებენ ორიგინალურ ადგილს მსოფლიოში, რომელიც უფრო აზიურია, ვიდრე ევროპიული“<sup>11</sup>.

ქართველი მეცნიერის აზრით, რუსული იმპერიალიზმის საფრთხისგან თავის დასაღწევად, საჭიროა საქართველოს მჭიდრო კავშირი ევროპასთან. მ. მუსხელიშვილს მოჰყავს ფრანგი პოეტის და ფილოსოფოსის, პოლ ვალერის თვალსაზრისი ევროპელობასთან დაკავშირებით: „ყოველი რასა, ყოველი მინა, რომელიც თანმიმდევრულად რომანიზებულია, გაქრისტიანებულია, ექვემდებარება ბერძნული დისციპლინის სულს, აბსოლუტურად ევროპულია“<sup>12</sup>. მ. მუსხელიშვილის აზრით, ევროპელობა განისაზღვრება არა გეოგრაფიით, არა რასით, არა ენით და არა წეს-ჩვეულებებით, არამედ მისი სულის გარკვეული თვისებებით. დასავლური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, საქართველო ევროპის შემადგენლობაში იყო; რუსეთის მიერ ანექსიამდე, მისი მზერა ყოველთვის დასავლეთისკენ იყო მიმართული, ამიტომ დადგა დრო, რომ ქართველებმა გააცნობიერონ თავიანთი ევროპული იდენტობა. იგი ხაზს უსვამს, რომ სამი საუკუნის განმავლობაში მონღოლთა ბატონობა რუსეთს აღმოსავლეთის სულით აღავსებდა, საიდანაც ვერასოდეს გათავისუფლდება, ამიტომაც ის ევროპისგან შორსაა. საქართველო კი ევროპული ქვეყანაა.

მ. მუსხელი დაასკვნის: „თუკი მხოლოდ ევროპული სახელმწიფოების თავისუფალი და დემოკრატიული ასოციაციის წევრი გახდება, ამით ქართველი ხალხი შეძლებს შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, კულტურა და ტრადიციები და თავიდან აიცილოს იმპერიული რუსულ-აზიური ქვეყნების მხრიდან ძალადობრივი მთანთქმის საფრთხე“<sup>13</sup>.

1952 წლის 10 აგვისტოს, პარიზში ოფიციალურად დაფუძნდა „ქართულ-ევროპული მოძრაობა“, რომლის საპატიო თავმჯდომარედ მიხაკო წერეთელი, საპატიო წევრად კი გრიგოლ რობაქიძე აირჩიეს. მ. მუსხელი მიიჩნევდა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას ქართველ ხალხში ევროპული ცნობიერების გაძლიერების საქმეში, დიდი წვლილის შეტანა შეეძლო. ქართულ-ევროპული მოძრაობის მთავარი მიზანი იყო ევროპული ორიენტაცია, ევროპის ფედერაციაში შესვლა, ამისთვის მუშაობა და ნიადაგის მომზადება. მოძრაობის მიერ გამოცემულ წიგნაკში: „საქართველო-ევროპა“ აღნიშნულია: „საქართველო მუდამ იყო დიდი ევროპიული ოჯახის წევრი, ამ ოჯახის შემძენი და ამ ოჯახით მოსარგებლე, ჩვენ გვწამს, რომ

11 მუსხელიშვილი მ. 1955. „რუსეთი არ არის ევროპა“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, სექტემბერი, #20, პარიზი, გვ. 13-14.

12 Muskhély Michel. 1953. „La Géorgie et l'Europe“, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, სექტემბერი, #15, პარიზი, გვ. 2.

13 იქვე, გვ. 3.



დამოუკიდებელი საქართველო თავის ადგილს დაიკავებს გაერთიანებულ ევროპაში; ეს ადგილი მას დამსახურებული აქვს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფალი ქართველი ერი ძველებურად გაშლის თავის ბუნებას და ნიჭს თავმოყრილ და მთლიან ევროპაში“. ემიგრაციაში შექმნილი მოძრაობის წევრთა აზრით, ევროინტეგრაცია სასარგებლო იქნება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსთვის, რადგან „...ჩვენი მიზანი იგივეა, რაც ყოველი ევროპელი ერისა: ვიყოთ უფალი ჩვენი თავისა, მოვანესრიგოთ და გავშალოთ ჩვენი ცხოვრება ისე, როგორც ეს ჩვენს ბუნებას შეეფერება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ თავისუფალი ვართ, თუ საქართველო დამოუკიდებელია. ამ თავისუფლების და დამოუკიდებლობის მისაღებად მას სჭირდება ევროპა, როგორც მცველი მისი თავისუფლებისა, როგორც მომცემი ახალი პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ შესაძლებლობათა. საქართველო არ მოისურვებს იყოს მხოლოდ მოსარგებლე. ის თავის მოვალეობად სთვლის, ისე როგორც წარსულ საუკუნეებში, იყოს აგრეთვე შემძენი ევროპისა, დამცველი მისი მთლიანობისა და მისთვის მებრძოლი“.<sup>14</sup>

მ. მუსხელიშვილის თვალსაზრისი საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ დღესაც აქტუალურია.

### ბიბლიოგრაფია

სალია კ. 1952. „ქართული ევროპიული მოძრაობა“, ურნალი „ბედი ქართლისა“, ნომერი, #13, პარიზი, გვ. 1-4.

სარალიძე ლ. 2018. „ქართველი ემიგრანტი მეცნიერი მიხეილ მუსხელიშვილი და კავკასიის ერთიანობის იდეა“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, #1-2 (22), თბილისი, გვ. 169-181.

Muskhely M. 1953. „La Géorgie et l'Europe“, ურნალი „ბედი ქართლისა“, სექტემბერი, #15, პარიზი, გვ. 1-3.

მუსხელიშვილი მ. 1954. „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, ურნალი „ბედი ქართლისა“, ოქტომბერი, #18, პარიზი, გვ. 1-4.

მუსხელიშვილი მ. 1955. „რუსეთი არ არის ევროპა“, ურნალი „ბედი ქართლისა“, სექტემბერი, #20, პარიზი, გვ. 13-14.

ჯათარძე, ე. 2019. „ევროინტეგრაციის სათავეებთან: მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, გვ. 25.

Muskhely M. 1954. L'U.R.S.S. ou le mythe des nationalités heureuses, ურნალი „ბედი ქართლისა“, იანვარი, #16, პარიზი, გვ.1-5.

Muskhely M. 1956. „La Géorgie et son statut international“, ურნალი „ბედი ქართლისა“, აპრილი, #21-22, პარიზი, გვ. 1-5.

Vayssière Bertrand. 2007. „Vers une Europe fédérale ? Les espoirs et les actions fédéralistes au sortir de la Seconde Guerre mondiale“, Deuxième Tirage, Monographies 420 Pages, Histoire et Science Politique, Série: Cité européenne, European Policy, Volume 36, Bruxelles, p. 108.

Weill A. 1964. Michel Mouskhely (Mouskhelichvili) (1905-1964), ურნალი „ბედი ქართლისა“, #45-46, პარიზი, გვ. 184-186.

Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик

<sup>14</sup> სალია კალისტრატე. 1952. ქართული ევროპიული მოძრაობა, ურნალი „ბედი ქართლისა“, #13, ნომერი, პარიზი, გვ. 3.

Утвержден Чрезвычайным VIII съездом Советского Союза СССР 5 декабря 1936 г. (с последующими изменениями и дополнениями), <http://www.hist.msu.ru/ER/Text/cnst1936.htm> (28.08.2022).

**Lela Saralidze**

*Chief Scientist-researcher of the Regionalism Research institute.*

## **MIKHEIL MUSKHELISHVILI AND THE ISSUE OF EUROPEAN INTEGRATION OF GEORGIA**

**Key words:** M. Muskhelishvili, Georgia, Eurointegration.

Based on the analysis of archival documents and emigrant press materials, the point of view of the Georgian emigrant scholar, Mikheil Muskhelishvili's opinion about the European future of Georgia, is discussed in this article. He was a Georgian-French political scientist and jurist. After the occupation-annexation of the Georgian Democratic Republic by the Russian Red Army in 1921, he was forced to emigrate. 1948, M. Muskhelishvili became a Professor of International Law and of Political and Economic Sciences at the University of Strasbourg. In 1959, he organized and directed the research center for the study of the Soviet Union and Eastern European countries at the Strasbourg law faculty, known as the „Muskheli Center“. He headed this center until the end of his life. M. Muskhelishvili devoted many works to the Idea of a united Europe and, together with his associates, created a draft European federal constitution.

M. Muskhelishvili saw the future of Georgia in integration into a single European family. In his opinion, the Georgian people will be able to preserve their individuality, culture and traditions only by being a member of a free and democratic family of European States. M. Muskhelishvili's opinions about the European future of Georgia are especially relevant today.



თამარ შაიმშვილი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტი - პროფესორი

## ევროპეიზმი და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“

საკვანძო სიტყვები: ევროპეიზმი, პოეზია, თავისუფლება

### შესავალი

თავის დროზე, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძემ ევროპეიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელი უწოდა, რომელმაც ქართული პოეზია ევროპულ რომანტიზმს დაუკავშირა და ქართულ პოეზიას ახალი ხმა და შინაარსი შესძინა.

ამ მხრივ გამორჩეულია ეპიკური პოემა „ბედი ქართლისა“. ორი პოზიცია, ორი დაპირისპირება და საქართველოს ხსნის ძიება - უმთავრესი იდეაა პოემისა.

პოემა „ბედი ქართლისა“ დაწერილია 1839 წელს, 1832 წლის მარცხით დასრულებული შეთქმულებიდან 6 წელია გასული, ქართველი ინტელიგენცია პირველად გამოვიდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გარკვეული პროგრამით, აჯანყება კი ითვალისწინებდა „საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ევროპული განმანათლებლობის პრინციპების მიხედვით“.<sup>1</sup>

მაგრამ აჯანყების მარცხის შემდეგ ქართული პროგრესული საზოგადოება უიმედობამ მოიცვა. დამოუკიდებლობადაკარგულ და რუსეთის გუბერნიად ქცეულ საქართველოში რეპრესიებმა კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება, პროტესტის ხმაც არსაიდან აღარ ისმოდა.

„1832 წლის შეთქმულთა განდევნის შემდეგ თვით საზოგადოებასაც შიშის ზარი ჰქონდა დაცემული შეთქმულთა ხვედრით. ეჭვი არ არის, მიძინებული იყო ყოველივე ადამიანური გრძნობა, შიშით ფიქრიც კი ეძნელებოდათ, უსათუოდ, არაფერი აღარ იყო საზოგადოებაში, რაიცა გასცილებოდა ცხოვრების უბრალო და არა მნიშვნელოვან მოვლენას. ჭორები, მითქმამითქმა, ზნეობრივი გახრწნილება, უსულობა და უგულობა - აი, რა სუფევდა იმ დროს. ამ ხანაში დაიბადა საქართველოს პოეზიის „ობოლი სული“.<sup>2</sup>

მე ვიტყვოდი, ამ ხანაში, ამ უმძიმესი ვითარების ფონზე, 22 წლის ნიკოლოზ

1 სურგულაძე, აკ. სურგულაძე, პ. 1991. „საქართველოს ისტორია“. თბილისი. გვ. 49.

2 აბაშიძე, კ. 1970. „ეტიუდები XIX საუკუნის საუკუნის საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, თბილისი, გვ. 36.

ბარათაშვილმა „საქართველოს ისტორიული ბედის ანალიზი“<sup>3</sup> გადმოგვცა პოემაში „ბედი ქართლისა“, რომელიც რომანტიკული პოემაა და ასახავს ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

### ძირითადი ნაწილი

პოემას საფუძვლად ისტორიული მოვლენა უდევს - 1795 წლის სექტემბერში ალა - მაჰმად - ხანის შემოსევა და ბრძოლა კრწანისის ველზე.

პირველ კარში სპარსთა და ივერთ მხედართა ბრძოლაა ასახული, როცა მოღალატეებმა „აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი“ და, შინაგამცემლობის „წყალობით“, ქართველები საშინლად დამარცხდნენ. პირველი კარი პატარა კახის ლოცვით იწყება, რომელსაც მეფის ცრემლი ახლავს თან. მოხუცი მეფე მამობრივი სიყვარულით უმზერს ჯარს და ამხნევებს, თითქოს წინასწარ იცის, მძიმე შერკინებას რომ უმზადებს ბედი.

### „საქართველოს დღეს გარდაუწყდება თავისი ბედი და უბედობა“!<sup>4</sup>

75 წლის მსცოვანი მეფე გრძნობს, ეს ბრძოლა უმნიშვნელოვანესი იქნება. სპარსეთი ვერ ეგუებოდა ქართლ-კახეთის სწრაფვას რუსეთისაკენ და თავისი გავლენის დაკარგვას ამ მხარეზე. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მიუხედავად, რუსეთმა, ასპინძის ბრძოლის მსგავსად, ისევ უგანა ერეკლეს და ალა-მაჰმად-ხანის 30-35-ათასიან ლაშქარს პირისპირ შეატოვა მისი ბევრად მცირერიცხოვანი ჯარი.

ორი პოზიცია, ორი დაპირისპირება და საქართველოს ხსნის ძიებაზე მსჯელობა - უმთავრესი იდეაა პოემისა. პატარა კახის და სოლომონ მსაჯულის დიალოგი მდინარე არაგვის პირას იმართება, მდინარისა, რომელიც თავისუფლების სიმბოლოა. და ეს შემთხვევითი როდია, გარემოც კი თავისუფლების, სილალის გრძნობის გამომხატველია, ერეკლე მეფე კი - „მონყენის თვალთ გარდმომზირალი“. მან „სულის ტვირთი“ და „გულის წადილი“ უნდა გაანდოს მსაჯულს, ვით საყვარელ შვილს.

„და აი, ერეკლე II ჩამოთვლის საბუთებს, რომლებიც მას აიძულებენ, გამოვიდეს საქართველოს რუსეთთან შეერთების მომხრედ. ეს საბუთებია: 1. ვერ იქნა და ვერ აღმოფხვრა მან ქართველთა შორის შუღლი და მტრობა; 2. საქართველოს ამუამინდელი დამარცხება მტრებს წააქეზებს, დაგვესხმიან თავს ლეკები, ოსმალები, ირანელები... საქართველო ამ მტრებს ვერ გაუმკლავდება. 3. ამიტომ ძლიერი მფარველი უნდა გამოვძებნოთ. ასეთია რუსეთი, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი აქვს, „ან განთქმულია მისი სახელი“ და თან „დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი - სარწმუნოება“.<sup>5</sup>

ეს საბუთები პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა ერეკლე II-ს ათქმევინა და ამიტომ, - წერს გრიგოლ კიკნაძე, - სრულიად უეჭველია, ისიც იმის მხარეზე იქნება, ვისაც მეტი საბუთი წარმოადგენინაო.

ბუნებრივია, ეს აზრი ლოგიკას არ არის მოკლებული, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, ის არგუმენტაც ყურადსაღებია, რომ პოემაში ორი პერსონაჟი - სოლომონი და მისი მეუღლე თავისუფლებას ახმოვანებენ, და არ არის გამორიცხული, თავად ავტორიც ამ თვალსაზრისს იზიარებდეს.

3 ლეონიძე, გ. 1945. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. გვ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №35 (88), გვ.4.

4 ბარათაშვილი, ნ. 1968. „ლექსები“. თბილისი. გვ. 75.

5 კიკნაძე, გრ. 1978. „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, თბილისი, გვ. 197.

ხსენებულ დიალოგში სოლომონის პასუხი ძლიერი ემოციის გამომხატველია. სოლომონის აზრით, ერთმორწმუნეობა არათერაპიულ ნიშნავს, თუ ადამიანური ბუნება და ერის თვისება განსხვავებულია.

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,  
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?  
„იცი, მეფეო, რომე ივერნი  
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?  
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა  
არარას არგებს, ოდეს თვისება  
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“.<sup>6</sup>

ერეკლემ კარგად უნცის თავისუფლების თვასი, მაგრამ საქართველოს ისტორიისთვის უმძიმეს უამს, როდესაც ერის თიზიკური გადარჩენის, ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, იგი იძულებულია, თავისუფლების დროებითი დაკარგვით, ისტორიულად გარდაუვალი გადარჩევითი მიიღოს. ეს არის გარემოებით გამონჯველი მეფის არჩევანი - ერის სრულ კატასტროფასა და თიზიკურ გადარჩენას შორის.

„ახლა კი დროა, სოლომონ რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა,  
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“.<sup>7</sup>

ეს სიტყვები ცხადად მონიშნავს კრწანისის ბრძოლის შემდგომ შექმნილ სავალალო ვითარებას. მეფე დარწმუნებულია, რომ ერთმორწმუნე რუსეთის საფარქვეშ საქართველო თავს დააღწევს მაჰმადიანურ სახელმწიფოებს და გააგრძელებს მშვიდობიან არსებობას.

პოემაში ერის ღირსებისა და თავისუფლების იდეას სოლომონის მეუღლეც - სოფიოც ახმოვანებს. მათი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. სოფიოს უცხო ქვეყნის დიდება და ფუფუნება არად მიაჩნია თავისუფლების გარეშე.

„ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?  
თავის მამულში მას გაჭირება  
სხვადასხვა რიგად ენუგეშება:  
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის  
და გულსა გულის პასუხი ესმის“!<sup>8</sup>

ეს ადგილი ბარათაშვილის დიდი მასწავლებლის, საქართველოში ევროპეიზმის ერთ-ერთი პირველის პროპაგანდისტისა და დამამკვიდრებლის - სოლომონ დოდაშვილის სიტყვებსაც ეხმიანება:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი რჯულნი, თავისნი სარწმუნოება, თავისი ენა და თავისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფე და არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აქ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მონყლულ იყო და დამხობილ მათგან“...<sup>9</sup>

ეს სტრიქონები ეროვნული ღირსებისა და თავისუფლების იდეის გამომხატველია,

6 ბარათაშვილი, ნ. 1968. „ლექსები“. თბილისი. გვ. 82.

7 იქვე. გვ. 83.

8 იქვე. გვ. 87.

9 „თავისუფლება, სამართლიანობა და დემოკრატია ქართულ აზროვნებაში“, 2019. თბილისი, გვ. 19.

რითაც ქართველობა მუდამ თავს იწონებდა. პოემაშიც ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის ძვირფასია თავისუფლების იდეა, მეფემაც მშვენივრად იცის სოლომონის სიტყვების ფასი:

„...რომე ქართველებს არად მიაჩნით უბედურება,  
თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“!<sup>10</sup>

მაგრამ „უბედობის და დარღვევის დროს“ მას სხვა გზა აღარ რჩება და იძულებულია, რუსეთისკენ გადაიხაროს.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემის გმირების განცდათა ფონზე ასახავს ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის, იმავდროულად, ადამიანის არსში წვდომას ცდილობს. თუნდაც, როგორი ოსტატობითაა გადმოცემული მეფის განცდები: არაგვის პირას, ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ, გულს დარდები შემოაწვება ერეკლეს, არაგვის ჩხრიალის ხმაზე, ბუნებაში, მწუხარე და მარტოსულია თავისი გადანყვეტილების პირისპირ დარჩენილი მეფე:

„ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე  
და სიამითა მოჰფინა არე.  
ცამ, მოჭედულმა ვარსკვლავებითა,  
მთისა ჰაერმან, სავსემ შვებითა,  
და მთვარის შუქზედ არაგვის წყალთა,  
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,  
გულს აუშალეს დარდები ბატონს,  
ოხვრა დაჰმართეს, ვით კაცსა ლიტონს“...<sup>11</sup>

დიდხანს იყო ასე „დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად“... მიყურადებული გულისთქმას, თითქოს უხილავად ებრძოდა საკუთარ თავს და ბედისწერას, და რას ეუბნებოდა იმ წუთებში გულისთქმა, ვინ იცის?

ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში წარსულის გამოსახვის გზა სტატიკურად კი არ გვიჩვენა, არამედ - ახლებურად, „ცოცხალი წარსულის წვდომით“, ანუ ევროპული გზით.

„ანტიკურობის სტატიკურ კულტს, რომელიც განმანათლებლობასა და კლასიციზმში ბატონობდა, რომანტიზმმა დაუპირისპირა ცოცხალი წარსულის წვდომის იდეა. მათთვის წარსული არაა გაყინული იდეალი, ის რეალობაა თავისი პლუსებით და მინუსებით“.<sup>12</sup>

ეს რეალობა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მღელვარე განცდით დახატა სწორედ პოემაში „ბედი ქართლისა“. მთელ მის შემოქმედებაშიც ხომ ბედისადმი დაუმორჩილებლობის მოწოდება ბატონობს.

ეს დაუმორჩილებელი სული მძლავრად იგრძნობა პოემაში, რომელიც, თავის მხრივ, ფილოსოფიური და დიდაქტიკურია, ამაღლევებელი პოეტური განცდებითა და მშობლიური ხალხისა და მიწის სიყვარულით.

„ჩვენ წინაშეა ძალიან დიდი მასშტაბის, კამკამა თვითმყოფადობის პოეტი, რომელმაც თავის პოეზიაში თავისი ხალხისა თუ იმდროინდელ ადამიანთა ბედისწერა

10 ბარათაშვილი, ნ. 1968. „ლექსები“. თბილისი. გვ. 83.

11 იქვე. გვ. 84.

12 კაციტაძე, ვ. ჯამბურია, ვ. 2012. „ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“. თბილისი, გვ.8.

გაბედულ-მასშტაბურად შეისრუტა და გააერთიანა“.<sup>13</sup>

როგორც ლევან ბერძენიშვილი იტყობდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ჩვენი მთავარი ევროპელი“ იყო, რადგან:

„ბარათაშვილი ჩანვდა, რომ ჩვენი კავშირი რუსეთთან მარადიული არ იქნებოდა და მისი პოეზიის მთელი ძალა იმისკენ მიმართა, „ბედი ქართლისაში“ წარსული კი არა, მომავალი ამოგვეკითხა, რომ აუცილებლად მოგვეპოვებინა თავისუფლება!“<sup>14</sup>

### დასკვნა

ერეკლე მეფე მოკავშირეებს ევროპაში გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე ეძებდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ 1780-81 წლებში, მან ელჩები ორჯერ გააგზავნა ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის მეფესთან, რომის პაპთან. ერეკლე ითხოვდა სესხს რეგულარული არმიის შესაქმნელად. ევროპული ყაიდის არაერთი რეფორმაც ჩაატარა, მაგრამ უშედეგოდ, ხმა ვერ მიანვდინა ევროპას.

ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ მაშინდელ ვითარებაში რუსეთზე ორიენტირების გარდა გამოსავალი არ იყო. მაშინ სარწმუნოება იდენტობას ნიშნავდა. სარწმუნოება და ქართველობა გაერთიანებული იყო და ჩვენთვის, მაჰმადიანურ აღმოსავლეთთან, ირანთან და ოსმალეთთან შედარებით, რუსეთი მაინც იყო თავისებური ევროპა. ქართული სამყარო „რუსულ ენაზე გავლით განიცდიდა რუსეთიდან მომდინარე ევროპეიზაციას“.<sup>15</sup>

ამ ნაბიჯის მომხრეები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლით იქნებ მაინც მომხდარიყო ევროპასთან კავშირი.

სხვა საკითხია თავად რუსეთის ვერაგული ზრახვანი, ამ გზით ასიმილაციური პოლიტიკისთვის ხელსაყრელი ვითარების შექმნას რომ ისახავდა მიზნად და, ასევე, ის კარგად ცნობილი ტრაგიკული მოვლენები, რაც მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

ფაქტია, რომ ქართლის ბედი საბოლოოდ მაინც კრწანისის საბედისწერო ბრძოლამ გადაწყვიტა. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაც ამის დასტურია. თუმცაღა გვერდს ვერ ავუვლით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ პოემა 1832 წლის შეთქმულების უშუალო შთაბეჭდილებით დაინერა და საქართველოს ბედის საკითხი დასმულია 1801 და 1832 წლების ამბების შედეგების გათვალისწინებით. ის, რომ თავისუფლება ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის არსებობის უმაღლესი ფორმა იყო, ამას პოემაც მოწმობს.

დამაფიქრებელია ნაწარმოების ბოლო სტრიქონები:

„... მაგრამ ამაო იყო ყოველი,  
დიდი ხანია გულს ირაკლისა

<sup>13</sup> ნეუპოკოევა, ირ. 2019. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული პოეზია“, „სჯანი“, №20/2, გვ.55. [http://sjani.ge/sjani-20-\(2\)/neupokoieva.pdf](http://sjani.ge/sjani-20-(2)/neupokoieva.pdf) ბოლო შემოწმების თარიღი - 23.08.2022.

<sup>14</sup> ბერძენიშვილი, ლ. სექტემბერი 2018. „ნიკოლოზ ბარათაშვილის პროექტი - ალიბი საქართველოსთვის“. <http://liberali.ge/articles/view/39274/nikoloz-baratashvilis-proeqti--alibi-saqartvelostvis> ბოლო შემოწმების თარიღი - 23.08.2022.

<sup>15</sup> ბრისკუ, ა. 2017. „ასე შორს, და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია“, <https://ge.boell.org/ka/2017/05/05/ase-shors-da-mainc-ase-axlos-evropis-saxe-xatisakartveloshi-ideata-istoria> ბოლო შემოწმების თარიღი - 23. 08. 2022.

გარდუნევეტია ბედი ქართლისა“...<sup>16</sup>

„მაგრამ ამაო იყო ყოველი“, - ვეთანხმები გურამ ასათიანს: „აქ პოეტის მიერ შექმნილი განწყობილება, თავისი მოძრაობით, თითქოს სასიკვდილოდ დაჭრილი ფრინველის ტრაექტორიას იმეორებს“.<sup>17</sup> ეს სტრიქონები თითქოს გარდაუვალი ბედისწერის შემოჭრის მაუნყებელია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდი სითბოთი და თანაგრძნობით მოიხსენიებს მეფე ერეკლეს, რომელიც დარწმუნებულია თავისი ნაბიჯის ისტორიულ გარდაუვალობაში. მაგრამ პოემის დასასრული და ერეკლეს განცდები მაინც გვაფორიაქებს, მიგვანიშნებს, რომ რუსეთი ერეკლეს კი არ მოჰყავდა, მოდიოდა და „დიდმა პოლიტიკამ ერეკლეს სხვა არჩევანი არ დაუტოვა“.<sup>18</sup>

### ბიბლიოგრაფია:

1. აბაშიძე, ვ. 1970. „ეთიუდები ეტიუდები XIX საუკუნის საუკუნის საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
2. ბერძენიშვილი, ლ. სექტემბერი 2018. „ნიკოლოზ ბარათაშვილის პროექტი - ალიბი საქართველოსთვის“.  
<http://liberali.ge/articles/view/39274/nikoloz-baratashvilis-proeqti--alibi-saqartvelostvis>
3. ბარათაშვილი, ნ. 1968. ლექსები, „საბჭოთა საქართველო“.
4. ბრისკუ, ა. 2017. „ასე შორს, და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია“, <https://ge.boell.org/ka/2017/05/05/ase-shors-da-mainc-ase-axlos-evropis-saxe-xati-sakartveloshi- ideata-istoria>
5. გურული, ვ. ივნისი 2022. „რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა“?  
<http://science.org.ge/?p=11197>
6. „თავისუფლება, სამართლიანობა და დემოკრატია ქართულ აზროვნებაში“, 2019. თბილისი.
7. კაციტაძე, ვ. ჯამბურია, ვ. 2012. „ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტენაციონალური საზღვრები“. თბილისი, „საარი“.
8. ლეონიძე, გ. 1945. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. №35 (88).
9. ნეუპოკოევა, ირ. 2019. „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ევროპული პოეზია“, „სჯანი“, №20/2. [http://sjani.ge/sjani-20-\(2\)/neupokoieva.pdf](http://sjani.ge/sjani-20-(2)/neupokoieva.pdf)
10. სურგულაძე, ავ. სურგულაძე, ვ. 1991. „საქართველოს ისტორია“. თბილისი.
11. „ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია“, 2008. I. თბილისი.

16 ბარათაშვილი, ნ. 1968. „ლექსები“. თბილისი. გვ. 89.

17 „ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია“. 2008, თბილისი, გვ. 72.

18 გურული, ვ. ივნისი, 2022. „რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა“? <http://science.org.ge/?p=11197> ბოლო შემოწმების თარიღი - 23. 08.2022.



**Tamar Shaishmelashvili**

*Assistant-Professor*

*Georgian Technical University*

## **EUROPEANISM AND THE POEM OF NIKOLOZ BARATASHVILI “BEDI KARTLISA”**

### **Abstract**

**Key words:** Europeanism, Poetry, Freedom

Recently, the process of European integration has become relevant. That was my goal - how much it resonates today in light of the idea of a European perspective.

Moreover, at one time Ilya Chavchavadze called Nikoloz Baratashvili a brilliant representative of Europeanism, who combined Georgian poetry with European romanticism and added a new voice and content to Georgian poetry.


In this regard, the epic poem “Bedi Kartlisa” stands out. Its story unfolds against the background of the invasion of Agha Mohammed Khan in 1795 and the fatal battle of Krtsanis. Georgia, weakened by defeat, finally fell under the yoke of Russia.

Two positions, two confrontations and the search for the salvation of Georgia - this is the main idea of the poem.

King Heraclius sees no other way out for the defeated and weakened Georgia, except for the patronage of Russia. Solomon Leonidze, the judge of Erekle, reminds the king of the loss of freedom by entering the protection of Russia.

Although one part of the researchers determines the position of the author, Nikoloz Baratashvili, according to the number of arguments of King Erekle, I still think that the poet is on the side of freedom in this poem.

The paper summarizes the results of the study - against the backdrop of the idea of dignity and freedom.



9772960997003